PRIME Time

N35 (285) ორშაბათი, 8 სექტემბერი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

SOS!

„სიკვდილი“ EXCLUSIVE ურეცეპტოდ იყიდება

„პრაიმტაიმის“ სპეციალური რეპორტაჟი

რომელი აფთიაქები ყიდიან ურეცეპტოდ ფსიქოტროპულ წამლებს

რა არ ხმაურდება ვაკეში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე

ზვიად ქორიძე: „გიდასტურებთ, რომ კომისიამ რეკომენდაცია გაუწია გიორგი ოქროპირიძეს და 2014 წლის იანვარში პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ის შეიწყალა“

პრეზიდენტის მიერ შეწყალებულმა მორიგი მკვლელობა ჩაიდინა

EXCLUSIVE

რა კავშირი აქვს დაჩი დარჩიას მკვლელობასთან რატი მილორავას?

„ჩემი ერთადერთი „დანაშაული“ ის არის, რომ ეკა ბესელიას შვილი ვარ“...

EXCLUSIVE

სკანდალური ექსკლუზივი

ეროსი კიწმარიშვილის საქმეში საეჭვო დეტალები იკვეთება

- რას ეძებენ ექსპერტები ეროსი კიწმარიშვილის მანქანაში?
- რა საეჭვო დეტალი აღმოაჩინეს ავტოფარეხის დათვალიერებისას?
- რომელი ვიდეოკადრები გახდება საჯარო უახლოეს მომავალში?
- რისი არ სჯერა ეროსი კიწმარიშვილის ძმას?

EXCLUSIVE

შემთხვევის ადგილზე ახალი მტკიცებულება აღმოაჩინეს

რა მოხდა უელსის სამიტზე სინამდვილეში

როგორ იქცევა რეალობა პროპაგანდად და რატომ დუმან მარგველაშვილი და ალასანია სამიტის დეტალებზე

EXCLUSIVE

საპარტნიორო ფონდის წლიური აუდიტი დასრულდა

EXCLUSIVE

„რთველი 2014“-ის ფარგლებში მევენახეების შემოსავალი უკვე 22 მილიონამდე ლარია

EXCLUSIVE



რა გახდა 20 წლის ჯარისკაცის გარდაცვალების მიზეზი?!

EXCLUSIVE

„პრაიმტაიმის“ რეპორტაჟი

თვითმკვლელობა თუ დაუდევრობა?

ჯანდაცვის სამინისტრო ეპიდემიას მალავს?!

EXCLUSIVE

„ეს არის ხელოვნურად შექმნილი ვირუსი. ეპიდემია აუცილებლად უნდა გამოცხადდეს“

რა ცვლილებები იგეგმება ტელევიზიებში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ



იმ დროისთვის, როცა შეწყალების კომისიამ ოქროპირიძეს პრეზიდენტთან რეკომენდაცია გაუწია, ელისაშვილი კომისიის თავმჯდომარე გახლდათ

სალომე გოგოხია

პრეზიდენტ მარგველაშვილისთვის უფლებების შეკვეცის ფონზე, ბევრს ლოგიკურად გაუჩნდა კითხვა, ხომ არ აჯობებდა, რომ მისთვის შეწყალების უფლებაც ჩამოერთმიათ. რაც ბოლო დროს მის მიერ განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებულთა შეწყალებას უკავშირდება. ამჯერად, პრეზიდენტის მიერ შეწყალებულმა განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებულმა, გიორგი ოქროპირიძემ, გასულ კვირას, 27 წლის ლაშა მახარაძე სიცოცხლეს გამოასალმა.

მკვლელობა ვაკეში, აბაშიძის ქუჩაზე მოხდა. მკვლელობიდან მალევე, შსს-მ დანაშაული გახსნილად გამოაცხადა და ვლადიმერ ბერძენიშვილი დააკავა. გამოძიების ინფორმაციით, სწორედ ბერძენიშვილმა მიიყვანა გიორგი ოქროპირიძე დანაშაულის ადგილზე. მკვლელობის შემდეგ კი სწორედ მისი მანქანით მიიმალა ოქროპირიძე. ბერძენიშვილს დანაშაულის შეუტყობინებლობა ედება ბრალად. რაც შეეხება ოქროპირიძეს, პროკურატურის განმარტებით, ის ამ დრომდე არ დაუკავებიათ.

მკვლელობა ვაკეში დღისით მოხდა. ერთ-ერთი ვერსიით, გიორგი ოქროპირიძეს, იგივე „ოქრიკას“, ჩხუბი მოუვიდა ლაშა მახარაძის მეგობრებთან. მას რამდენიმე პირმა სცემა. მოგვიანებით, შურისძიების მიზნით, „ოქრიკა“ საქმის გასარჩევად აბაშიძის ქუჩაზე მივიდა, სადაც მას ლაშა მახარაძე შეხვდა, რომელსაც ძმაკაცების ადგილსამყოფელი ჰკითხა. რაზეც მახარაძემ მიუგო, რომ მათი ადგილსამყოფელი არ იცოდა და ჰკითხა, რამე პრობლემა თუ გაქვს მითხარიო. ამის თქმაზე, მანქანაში მყოფმა „ოქრიკამ“ მახარაძეს სთხოვა, რომ მანქანასთან ახლოს მისულიყო. მოახლოვებულ მახარაძეს კი ესროლა. გასროლის შემდეგ მანქანა წავიდა, ხოლო მახარაძე საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

გავრცელებული ინფორმაციით, მოკლული მახარაძეც წარსულში ნასამართლევია. თუმცა, ამის შესახებ სასჯელაღსრულების სამინისტროში კომენტარს არ აკეთებენ და აცხადებენ, რომ ეს კონფიდენციალურია.

როგორც ჩანს, ბოლო ორი კვირის მანძილზე საქართველოში მომხდარი მკვლელობების ფონზე, მახარაძის მკვლელობა პიკი აღმოჩნდა. საზოგადოების მწვავე რეაქციის კატალიზატორი კი გიორგი ოქროპირიძის წარსული აღმოჩნდა. როგორც უკვე გითხარით, ის, წარსულში განზრახ მკვლელობისთვის არის ნასამართლევი, ხოლო საპატიმრო ვადაზე ადრე დატოვა. იგი პრეზიდენტმა მარგველაშვილმა შეწყალა.

მახარაძის ოჯახის ტრაგიკული ისტორია. შარშან, მახარაძის ძმა ცოლ-შვილთან ერთად ავარიაში დაიღუპა. დარჩა მხოლოდ ლაშა, რომელიც ძმის წლისთავამდე რამდენიმე დღით ადრე სიცოცხლეს გამოასალმეს.

მახარაძეების ოჯახში ენით აუწერელი ტრაგედია ტრიალებს. მომხდართან დაკავშირებით ოჯახს საუბარი არ სურს. თუმცა, პირად საუბრებში ოჯახის ახლობლები აცხადებენ, რომ ლაშა მახარაძე ტყუილუბრალოდ გაწირეს.

მახარაძის მკვლელობას საზოგადოების მძაფრი რეაქცია მოჰყვა. სოციალურ ქსელებში მომხმარებლები აქტიურად წერდნენ მომატებული კრიმინალის შესახებ, რასაც ფართომასშტაბიან ამნისტიას და პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ მკვლელებს უკავშირებენ.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა



რა არ ხმაურდება ვაკეში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე

პრეზიდენტი მარგველაშვილი განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებულებს იწყალებს. 31 ივლისს მან 4 პირი შეიწყალა. მათ შორის, ერთ-ერთი ელენე ჯავახიაა, რომელმაც ქმარი მოკლა, ხოლო მეორე, „პრესა.გე“-ს ინფორმაციით, მაკა ჩიჩუას ნახევარ ძმა, განზრახ მკვლელობისთვის მსჯავრდებული მიხეილ მგალობლიშვილია. მის შეწყალებასაც ხელი სწორედ მარგველაშვილმა მოაწერა.

როგორც ჩანს, მახარაძის მკვლელობა ბოლო წვეთი აღმოჩნდა საზოგადოებისთვის და უკმაყოფილების ტალღამ სოციალური ქსელის მეშვეობით იფეთქა. თავდაპირველად, სწორედ სოციალური ქსელით დასახელდა მახარაძის მკვლელის ვინაობა და მისი ფოტოებიც გავრცელდა.

მოგეხსენებათ, სრულიად საქართველო „ფეისბუქში“ ცხოვრობს და ჭორ-მართალიც სოციალური ქსელით ვრცელდება. თუმცა, „ფეისბუქში“ გავრცელებული ინფორმაცია საბოლოო ჯამში სიმართლე აღმოჩნდა და პროკურატურამ მახარაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილად სწორედ გიორგი ოქროპირიძე დაასახელა.

ეს სწორედ ის „ოქრიკაა“, რომელიც 2010 წელს ლევან თალაკვაძის მკვლელობისთვის გაასამართლეს და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ალბათ, გახსოვთ, საპარლამენტო არჩევნების წინ არაერთი სატელევიზიო სიუჟეტი გავიდა, სადაც ოქროპირიძის დედა ცირა გოდერძიშვილი შვილის წამებაზე აპელირებდა და უფლებადამცველ ორგანიზაციებს დახმარებას სთხოვდა. ოქროპირიძის საქმე მაშინდელი სახალხო დამცველის გიორგი ტულუშის ანგარიშშიც შევიდა. შემდეგ იყო საპარლამენტო არჩევნები და უკვე პარლამენტარმა მანანა კობახიძემ, როგორც ის აცხადებს, ოქროპირიძეს რეკომენდაცია კი არ გაუწია, არამედ, მისი განცხადება შეწყალების თაობაზე სხვადასხვა უწყებებში გადაამისამართა.

საბოლოო ჯამში, ოქროპირიძის საქმე შეწყალების კომისიამ განიხილა, რომელმაც, თავის მხრივ, ოქროპირიძეს რეკომენდაცია გაუწია პრეზიდენტთან. მარგველაშვილის მიერ ოქროპირიძის შეწყალების ფაქტი „პრაიმტაიმს“ თავად შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ, ზვიად ქორიძემ დაუდასტურა.

„გიდასტურებთ, რომ კომისიამ რეკომენდაცია გაუწია გიორგი ოქროპირიძეს და 2014 წლის იანვარში პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ის შეიწყალა. რამდენადაც მახსოვს, მაისში ის ვადამდე გათავისუფლების კომისიამ საპატიმროდან გაათავისუფლა. ოქროპირიძეს სასჯელის დარჩენილი დრო გაუნახევრდა. საპატიმრო სასჯელის შეცვლა არის შეწყალების აქტი. ამ ფორმით პრეზიდენტმა შეიწყალა. შეწყალების კომისიაში განცხადება თავად მსჯავრდებულს ჰქონდა შემოტანილი. კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ პრეზიდენტისთვის ასეთი ტიპის რეკომენდაცია შეეთავაზებინა. პრეზიდენტმა სასჯელი გაუნახევრა. ეს იყო შეწყალების აქტი. რაც შეეხება მის გათავისუფლებას, ოქროპირიძე სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიამ გაათავისუფლა“.

- რა კრიტერიუმებით ხდება შეწყალება და მორალურად რამდენად გამართლებულია განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებულის შეწყალება?

- სხვადასხვა კრიტერიუმებია, ავადმყოფობა, საპატიმროში როგორ იქცევა და ა.შ. თუ საპატიმრო დაწესებულებაში სხედან დამნაშავეები, სასამართლოს მიმართ თუ გვაქვს ასეთი დამოკიდებულება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია, მაშინ ადამიანი, რომელიც საპატიმროში იმყოფება, დამნაშავეა. ზოგი მკვლელობისთვის, ზოგი განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის, ქურდობისთვის, გაუპატიურებისთვის და ა.შ. შესაბამისად, შეწყალების აქტი ასეთი დამნაშავეების მიმართ გამოიცემა. უდანაშაულო ადამიანს პრეზიდენტი ვერ შეიწყალებს. ამიტომ, იმათი შეწყალება ხდება, ვინც მსუბუქი, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის იმყოფება საპატიმროში. ამ შემთხვევაში მორალი მდგომარეობს იმაში, რომ შეწყალების აქტი არის ჰუმანური აქტი. პრეზიდენტი სასჯელის შემცირებით, შეწყალებით, მსჯავრდებულს მოუწოდებს უფრო მეტად დაფიქრდეს რამდენად შეუძლია შემდეგი რესოციალიზაცია, რომ საზოგადოების თანასწორ წევრად იქცეს. მეორე მხრივ, პრეზიდენტი საზოგადოებას ეუბნება, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ჰუმანურები. ამ ადამიანს (ოქროპირიძეს) სასჯელი რომ გაუნახევრდა, ამაში მორალურობის დილემა არ უნდა ვეძებოთ. პრეზიდენტმა ამ ფორმით დააკმაყოფილა ოქროპირიძის თხოვნა შეწყალებაზე. სრულად არ შეიწყალა.

აღსანიშნავია, რომ ოქროპირიძის თემას გამოეხმაურა საკრებულოს წევრი და შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ კომისიას ოქროპირიძისთვის რეკომენდაცია არ გაუწევია. თუმცა, როგორც გავარკვიეთ, ელისაშვილი იტყუება, როცა ამას ამბობს, რადგან იმ დროისთვის, როცა შეწყალების კომისიამ ოქროპირიძეს პრეზიდენტთან რეკომენდაცია გაუწია, ელისაშვილი კომისიის თავმჯდომარე გახლდათ. „პრაიმტაიმს“ ელისაშვილმა განუცხადა, რომ კომისიას შეწყალების თხოვნით ოქროპირიძემ მიმართა, მაგრამ რეკომენდაცია არ გაუწიეს, რადგან მკვლელობისთვის მსჯავრდებული იყო. ცოტა არ იყოს, გაუგებარია მისი მხრიდან ამ ფაქტის უარყოფა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მახარაძის მკვლელობით ელისაშვილი სინდისმა შეაწუხა, რადგან მის მიერ რეკომენდაცია გაწეულმა პატიმარმა, რომელიც შემდეგ პრეზიდენტმა შეიწყალა, გათავისუფლებიდან ძალიან მალე, მეორე ადამიანი მოკლა.

რაც შეეხება ვადამდე ადრე გათავი-

„კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ პრეზიდენტისთვის ასეთი ტიპის რეკომენდაცია შეეთავაზებინა. პრეზიდენტმა სასჯელი გაუნახევრა. ეს იყო შეწყალების აქტი. რაც შეეხება მის გათავისუფლებას, ოქროპირიძე სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიამ გაათავისუფლა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მა მორიგი მკვლელობა ჩაიდინა

სუფლების კომისიის გადაწყვეტილებას. ოქროპირიძის გათავისუფლების პერიოდში ამ კომისიას სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის მოადგილე გიგა გიორგაძე ხელმძღვანელობდა. ამჟამად, კომისია თავმჯდომარის გარეშეა დარჩენილი, რადგან გიორგაძემ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში გადაინაცვლა. რა კრიტერიუმით მოხდა ოქროპირიძის შეწყალება, ამაზე კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ. სასჯელაღსრულების დაწესებულების პრესცენტრში განგვიცხადეს, რომ კომისია 7 წევრისგან შედგება, მათ შორის, სასჯელაღსრულების სამინისტროს მხოლოდ ორი წარმომადგენელია, დანარჩენი არასამთავრობო ორგანიზაციის, იუსტიციის საბჭოს, საგანმანათლებლო დაწესებულების, პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელი და პარლამენტს გარეთ დარჩენილი უმრავლესობის წარმომადგენლები არიან.

„გადაწყვეტილებას უმრავლესობა იღებს. რამდენიმე კრიტერიუმი, მათ შორის, ავადმყოფობა, როგორ იქცეოდა საპატიმროში და სხვა“. - განაცხადეს პრესცენტრში.

პრეზიდენტის მიერ შეწყალებული ოქროპირიძეს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა ლევან თალაკვაძის მკვლელობისთვის მიუსაჯეს. მას შემდეგ, რაც მახარაძის მკვლელობასთან დაკავშირებით აჟიოტაჟი შეიქმნა, სოციალურ ქსელებში სატელევიზიო სიუჟეტები გავრცელდა, სადაც გიორგი ოქროპირიძის დედა აცხადებს, რომ ციხის საავადმყოფოში მის შვილზე ფიზიკურ ზეწოლას აქვს ადგილი, აწამებენ და პატიმარმა მშრალი შიმშილობა დაიწყო. მოგვიანებით, სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეწყალების კომისიაზე ოქროპირიძეს შუამდგომლობა დეპუტატმა მანანა კობახიძემ გაუწია. ამ ფაქტს „ფეისბუქით“ გამოეხმაურა მოკლული თალაკვაძის დედა, ჟუჟუნა თალაკვაძე, რომელმაც მანანა კობახიძეს მიმართა:

„ქალბატონო მანანა! მე გახლავართ გ.ო-ს მიერ მოკლული ლევან თალაკვაძის დედა. ბუნებრივია, თვალს ვადევნებ მის მიერ კიდევ ერთი მოკლულის ლაშა მახარაძის საქმის გარშემო გავრცელებულ ინფორმაციას. წავიკითხე თქვენი ინტერვიუ ამ დანაშაულის შესახებ. სამწუხაროდ, ინტერვიუში ჩანს თქვენი პროფესიული არაკომ-

მანანა კობახიძე: „მისთვის რეკომენდაცია არ გამიწევია, ეს არის მტკნარი სიცრუე, დეზინფორმაცია“

პეტენტურობა, რადგან თქვენ დანაშაულის არასწორ ინტერპრეტაციას ახდენთ. რასაც თქვენ წერთ - სიცრუეა. ნუთუ არ იცით რამდენი დანაშაული აქვს ჩადენილი მას (სახელის ხსენებაც მზარავს). ნუთუ არ გაღელვებთ ამ ბიჭების სიკვდილი? დაფიქრდით, ეს არ არის პოლიტიკური რეკლამა. ჩვენი შვილები იხოცებიან, თქვენ კი აუღელვებელი სახით, სრულიად საქართველოს წინაშე თავს იმართლებთ“, - წერს ჟუჟუნა თალაკვაძე.

თუმცა, „პრაიმტაიმთან“ საუბარში პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ოქროპირიძეს რეკომენდაცია გაუწია, სიცრუე უწოდა.

მანანა კობახიძე:

- მე ვიყავი მისი, როგორც წამების საქმეზე დაზარალებულის ადვოკატი, როცა მას ციხის საავადმყოფოში ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ეს ფაქტი მაშინ ძალიან გახმაურებული იყო. მკვლელობის საქმესთან არანაირი შეხება არ მქონია. საქმის მასალებსაც არ გავცნობივარ, რადგან საქმე დამთავრებული იყო და ოქროპირიძე უკვე მსჯავრდებული გახლდათ. მისთვის რეკომენდაცია არ გამიწევია, ეს არის მტკნარი სიცრუე, დეზინფორმაცია. არ ვიცი რატომ ააგორეს. დედამისი მიმართავდა პრეზიდენტს, ე.წ. უდო-ს კომისიას,

EXCLUSIVE

ყველას მიმართავდა. მათ შორის, მეც, როგორც დეპუტატს მომმართეს. მათი განცხადებები გადავამისამართე შესაბამის უწყებებში. მათ გარდა სხვა ათეულობით პატიმარი მომმართავს და კიდევ მომმართავენ. ვწერდი, განიხილეთ კომპეტენციის ფარგლებში და მიიღეთ კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება უარი ეთქვათ ან დაეკმაყოფილებინათ. სასჯელაღსრულების სამინისტროდან უარი მივიღე, სასჯელის კონკრეტული ვადა უნდა გაუვიდესო. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მისი გათავისუფლების საკითხი უდო-ს კომისიაზე გადაწყდა. თუ არ ვცდები, პრეზიდენტის მხრიდან მოხდა შეწყალება, სასჯელის განახევრება. როგორც ვიცი, მერე უდო-ს კომისიამ გადაწყვიტა საბოლოოდ. ეს ადამიანი საალდგომოდ გამოვიდა. მე მას რეკომენდაციას არ გავუწევდი, რადგან ვიცოდი, რომ მკვლელობისთვის იყო გასამართლებული.

- როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია, როცა პრეზიდენტი განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებულებს იწყალებს? ხომ არ ფიქრობთ, რომ პარლამენტის მიერ გამოცხადებული საყოველთაო ამნისტია ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება იყო და ხარვეზებს შეიცავდა?

- ამნისტია ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს, ეს არის ჰუმანური აქტი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს ამნისტია შეეხო ერთი მეოთხედით. ისინი არ გაგვითავისუფლება. თუ ერთეულებმა, ნაძირალებმა, ვერ შეაფასეს ეს ჰუმანური აქტი და განმეორებით ჩაიდინეს მძიმე დანაშაული, მათი ქმედების მიმართ ხელისუფლება ძალიან მკაცრი იქნება და არავითარი დანდობა არ ექნებათ. თითოეული მკვლელობა ჩვენთვის განგაშის სიგნალი იქნება და არ შევურიგდებით. ვუსამძიმრებ დაღუპულების ოჯახის წევრებს. კანონით, შეწყალება დასაშვებია, მიუხედავად იმისა, ჩაიდინა თუ არა მკვლელობა. ინდივიდუალურად ხდება განხილვა. ამას აფასებს შეწყალების კომისია. იმ დასკვნამდე თუ მივლენ, რომ შესაძლებელია შეწყალება, იქ ყურადღება ექცევა წამების ფაქტს, ავადმყოფობას, სხვადასხვა ფაქტორებია. კანონი არ კრძალავს მკვლელის შეწყალებას. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ კანონი და პრეზიდენტს ავუკრძალოთ შეწყალება, გავაუქმოთ ამნისტიის მიღების კანონის შესაძლებლობა, შეგვიძლია სიკვდილით დასჯა შემოვიღოთ. ბევრი ინსტრუმენტია, გააჩნია საზოგადოების დაკვეთა რა იქნება.

- პრეზიდენტისთვის უფლებების შეზღუდვის ფონზე, საზოგადოების უკმაყოფილების გათვალისწინებით, ხომ არ დადგება საკითხი, რომ პრეზიდენტს შეწყალების უფლება ჩამოერთვას?

- პრეზიდენტს თუ შეწყალების უფლებას არ აძლევ, ეს მიუღებელია იმ ქვეყნისთვის, რომელსაც დემოკრატიული ქვეყანა ჰქვია.

პრეზიდენტს ამნისტიის და შეწყალების უფლება აქვს, თუმცა, მორალურად რამდენად გამართლებულია განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებულების შეწყალება, ეს სხვა საკითხია. ექსპერტი ლევან ალაფიშვილი აღიარებს, რომ განზრახ მკვლელობისთვის გასამართლებულების შეწყალება მორალურად მძიმე გადაწყვეტილებაა, თუმცა, ალაფიშვილის განმარტებით, პრეზიდენტმა ეს პასუხისმგებლობა კომისიასთან ერთად გაინაწილა.

მანანა კობახიძე: „კანონი არ კრძალავს მკვლელის შეწყალებას. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ კანონი და პრეზიდენტს ავუკრძალოთ შეწყალება, გავაუქმოთ ამნისტიის მიღების კანონის შესაძლებლობა, შეგვიძლია სიკვდილით დასჯა შემოვიღოთ. ბევრი ინსტრუმენტია, გააჩნია საზოგადოების დაკვეთა რა იქნება“



ზვიად ქორიძე: „ბიდასტურებთ, რომ კომისიამ რეკომენდაცია გაუწია გიორგი ოქროპირიძეს და 2014 წლის იანვარში პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ის შეიწყალა“

საპარტნიორო ფონდის ყველა ფინანსური პარამეტრი გაუმჯობესებულია

საპარტნიორო ფონდმა გასულ წელს 73,569 მილიონი ლარის მოგება მიიღო

საპარტნიორო ფონდის და მისი შვილობილი კომპანიების 2013 წლის ფინანსური ანგარიშის მიხედვით, მათი ყველა ფინანსური მონაცემი, წინა წელთან შედარებით, გაუმჯობესებულია.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, გაზრდილი ფინანსური მაჩვენებელი ხელს შეუწყობს ფონდს და მის შვილობილ კომპანიებს, უფრო მეტი პროექტი განახორციელონ ქვეყნის მასშტაბით.

„ჩვენ ძირითადად მსხვილ პროექტებს ვახორციელებთ, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ვფიქრობ, ყველა მიმართულებით ფონდის გაუმჯობესებული მონაცემები მოგვცემს საშუალებას, რომ ყველა ჩვენთვის პრიორიტეტული პროექტი დავაფინანსოთ“,- განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

2013 წლის ფინანსური ანგარიშის თანახმად, ფონდის მოგებამ შეადგინა 73 მილიონ 569 ათასი ლარი, რაც თითქმის 8%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. მთლიანმა შემოსავლებმა 979 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო ჯამური აქტივები კი 3%-ით გაიზარდა და 5 მილიარდ ლარს გადააჭარბა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, საპარტნიორო ფონდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში „ძალიან კარგი მაჩვენებელია“. „ფონდის და მისი შვილობილების კონსოლიდირებულმა მაჩვენებელმა 1 მლრდ ლარს მიაღწია“,- აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

2013 წლის ფინანსური ანგარიში შეამოწმა საერთაშორისო აუდიტორთა დიდი ოთხეულის წევრმა აუდიტორულმა კომპანიამ KPMG-მ, რომლის დასკვნითაც ფონდის ფინანსური ანგარიში სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

2013 წლის ანგარიშში შესულია საპარტნიორო ფონდის და მისი შვილობილი კომპანიების, მათ შორის „საქართველოს რკინიგზის“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, „ელექტროსისტემების კომერციული ოპერატორისა“ და „თელასის“, ფინანსური მონაცემები.

საპარტნიორო ფონდი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეროსი კიწმარიშვილის საქმეშ

• რას ეძებენ ექსპერტები ეროსი კიწმარიშვილის მანქანაში?
• რა საეჭვო დეტალი აღმოაჩინეს ავტოფარეხის დათვალიერებისას?
• რომელი ვიდეოკადრები გახდება საჯარო საზოგადოებისთვის უახლოეს მომავალში?
• რა ვერ უზრუნველყო გამოძიებამ?
• რისი არ სჯერა ეროსი კიწმარიშვილის ძმას, ზურა კიწმარიშვილს?

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

ყველასთვის შესამჩნევი გახდა, რომ ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებული საქმის გამოძიების შესახებ უკვე დიდი ხანია აღარავინ საუბრობს. დაახლოებით ერთი თვის წინ მის ავტოფარეხში ალტერნატიულ ექსპერტებთან ერთად ჩატარებული განმეორებითი დათვალიერების შემდეგ, რომლის შესახებაც ინფორმაცია საკმაოდ მწირი გახლდათ, თითქოს ყველა პირშეკრულივით დუმს.

„პრაიმტაიმმა“ შეიტყო, რომ მომავალ კვირას კიდევ ახალი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდება ამ საქმის გარშემო და სწორედ ამ დეტალების შესახებ ვუამბობთ ვრცლად ჩვენს მკითხველს:

რას ეძებენ ექსპერტები ეროსი კიწმარიშვილის მანქანაში?

რა საეჭვო დეტალი აღმოაჩინეს ავტოფარეხის დათვალიერებისას?

რომელი ვიდეოკადრები გახდება საჯარო საზოგადოებისთვის უახლოეს მომავალში?

რა ვერ უზრუნველყო გამოძიებამ?

რისი სჯერა, ან არ სჯერა ეროსი კიწმარიშვილის ძმას, ზურა კიწმარიშვილს?

რა ეტაპზეა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება?

ამ და სხვა მრავალ კითხვაზე გასცემენ პასუხს „პრაიმტაიმის“ მკითხველს ჩვენი ქვემოთ წარმოდგენილი რესპონდენტები.

მანამდე კი მოგახსენებთ, რომ ამ კვირაში ჩატარდება თვალით უხილავი ნაწილაკების აღმოჩენისთვის ეროსი კიწმარიშვილის მანქანის განმეორებითი დათვალიერება. რას ნიშნავს ეს და რა შედეგებს ელიან ამ საგამოძიებო მოქმედებისგან, ამის შესახებ სწორედ ამ სტატიაში შეიტყობთ:

ექსპერტ-კრიმინალისტი ზაზა ალთუნაშვილი:

– თვალით უხილავი ნაწილაკები შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს და მათ აღმოსაჩენად სპეცტექნიკა უნდა გამოიყენო. ეს საკითხი თავის დროზე დავსვით, პროკურატურამ დააკმაყოფილა და ოჯახს დაუკავშირდა, რათა მათაც მიიღონ მონაწილეობა.

– ეს მოთხოვნა როდის დააყენეთ?

– თავის დროზე, როდესაც ავტოფარეხი შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ დაათვალიერა, ჩვენ მაშინ მონაწილეობა არ მიგვიღია, გაგვიჩნდა გარკვეული კითხვები და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ხელმეორედ მომხდარიყო მისი დათვალიერება. პირველ შემთხვევაში არ გამოუყენებიათ სპეცტექნიკა, რომელიც იმ საკითხებს ამოწურავდა, რაც იმ ეტაპზე გვაინტერესებდა.

– რა საკითხებს გულისხმობთ?

– თუნდაც თვალით უხილავი ნაწილაკების აღმოჩენას. ეს არის ბიოლოგიური გამონაყოფი, სისხლი, ქსოვილის ნაწილაკები და ა.შ.

– ანუ თქვენ გაინტერესებდათ, სხვა ადამიანის ბიოლოგიური გამონაყოფი აღმოჩნდებოდა თუ არა შემთხვევის ადგილზე?

– საერთოდ, აღმოჩნდებოდა თუ არა. ერთი სიტყვით, ამ დათვალიერებით იმ კითხვებზე პასუხები მივიღეთ, რაც იმ ეტაპზე გვქონდა. ამ პასუხების მიღების შემდეგ გაგვიჩნდა ახალი კითხვები და მოთხოვნა, რომ ავტომანქანაც დაგვეთვალიერებინა. ავტომანქანა რომ დავათვალიეროთ, გვჭირდება სხვა ექსპერტიზებისა და კვლევების დასკვნები, ვთქვათ. ვიზირება, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და ა.შ. მაშინ ეს დასკვნა პროკურატურას არ ჰქონდა.

– რა ტიპის სპეცტექნიკა აღმოაჩენს თვალით უხილავ ნაწილაკებს?

– კრიმინალისტებს აქვთ ასეთი ტექნიკა, რომელიც აღმოაჩენს თვალით უხილავ კვალს, ან აღმოჩენილ კვალს იკვლევს. ერთი სიტყვით, ეს ტექნიკა გამოიყენება აღმოჩენილი კვალის ფიქსაციის, ამოღებისა და შემდგომი გამოკვლევის მიზნით.

– რამე საეჭვო აღმოაჩინეთ და იმიტომ გადაწყვიტეთ ამ სპეცტექნიკის გამოყენება უკვე მანქანაში?

– ჩვენ გაგვიჩნდა გარკვეული კითხვები, რომლის ამოსახსნელად გვჭირდება მანქანის დათვალიერება.

– მას შემდეგ, რაც ალტერნატიულმა ჯგუფმა ავტოფარეხი დაათვალიერა, საინფორმაციო საშუალებებში გაჩნდა ვერსია, რომ თითქოს მკვლელი შესაძლოა, უკანა სავარძელზე მჯდარიყო. რა გახდა ამ ვერსიის გავრცელების საფუძველი?

– არა, საკითხი ასე არ დამდგარა. თუ მკვლელი უკან იჯდა, გამოდის, რომ საქმე მკვლელობასთან გვაქვს? ჩვენ საკითხი ასე არ დაგვისვამს.

– ბოლოს და ბოლოს, შეგიძლიათ, კონკრეტულად გვიპასუხოთ, რას ელოდებით მანქანის ხელმეორედ დათვალიერებისგან? რისთვის გჭირდებათ ეს?

– მე ამ თემაზე ვერ დავკონკრეტდები, რადგან, ეს რომ გავაჟღერო, თუ მკვლელობაა, მკვლელს მივცემ ინფორმაციას, თუ თვითმკვლელობაა – მაშინ მოვლენებს უნდა გავასწრო წინ. შესაბამისად, არასწორად მიმაჩნია ამ საკითხზე კონკრეტული პასუხის გაცემა. დავუშვათ, მკვლელობაა: საუბარი იმაზე, რომ თითის ანაბეჭდები ამოვიდა, თუ არ ამოვიდა და სხვა მსგავს საკითხებზე, არასწორად მიმაჩნია, რადგან ამ შემთხვევაში ინფორმაციას აძლევ მკვლელს და აძლევ მანიპულირების საშუალებას.

– მანქანაში, სადაც სისხლი ისედაც იყო, რაში გჭირდებათ უხილავის ძებნა? თუ ფიქრობთ, რომ აღმოაჩენთ უცხო პირის უხილავ ბიოლოგიურ ნაწილაკებს?

– იქ სხვა გარემოებები დგინდება: გარდაცვლილის აღმოჩენის დროს მანქანის მდგომარეობა ისეთი იყო, როგორიც მის გარდაცვალებამდე?



– ანუ, ეს ექსპერტიზა გასცემს პასუხს, ხომ არ იყო რამე კვალი წაშლილი?

– ეს ექსპერტიზა გასცემს პასუხს, რა მდგომარეობაში იყო მანქანა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებამდე და მისი აღმოჩენის შემდეგ.

– შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ თქვენი მუშაობა ამ კუთხით დააზუსტებს, საქმე მკვლელობასთან გვაქვს თუ თვითმკვლელობასთან?

– საგამოძიებო მუშაობა მოიცავს ოპერატიულ საგამოძიებო მოქმედებებს და მასთან ერთად სპეციალური ცოდნის გამოყენებას. საქმე რომელიმე ამ მიმართულებით იხსნება. ჩვენ ყველა ნივთიერ მტკიცებულებას ვსნავლობთ იმისთვის, რომ რაღაც დავადგინოთ, ან გამოვრიცხოთ.

– ამ ეტაპზე რამე გამორიცხეთ, ან დაადგინეთ?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ი ახალი დეტალები იკვეთება

რა ეტაპზეა გამოძიება

„დაახლოებით 18 ექსპერტიზაა ჩატარებული. რაღაცებზე დასკვნები უკვე არსებობს და რაღაცები კიდევ ემატება“

– დანაშაულის გახსნისას მხოლოდ ერთი სახის ექსპერტიზა არ თამაშობს ძირითად როლს. ექსპერტიზების ერთობლიობა სხვა მტკიცებულებებთან ერთად უნდა შეფასდეს და მერე უნდა დაიდოს სურათი.

– მოდით, მარტივად გკითხავთ: ავტოფარეხში უხილავი ნაწილაკების აღმოჩენის პროცესში რამე საეჭვო აღმოაჩინეთ?

– დათვალიერების დროს ამოიღეს რაღაც ნაჭერი. ის გადაიგზავნა ლაბორატორიული კვლევის ჩასატარებლად. თუმცა, ჯერ არ ვიცით კვლევის პასუხი.

– ის ხომ საერთო და ღია ავტოფარეხია? იქ ნებისმიერი ნაჭერი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამან რატომ გაგიჩინათ ეჭვი?

– საერთო და ღია ავტოფარეხი არის, მაგრამ იქ ნაჭრები მიმოფანტული არ არის. თანაც ეს ეროსი კიწმარიშვილის ავტომანქანასთან ახლოს ეგდო.

დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, მაია ნიკოლეიშვილი:

– გვითხრეს, რომ რამდენიმე დღეში ვიზირება უნდა გაკეთდეს. ვიზირება კი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გარეშე არ კეთდება.

– გამოდის, რომ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა უკვე არის...

– როგორც ჩანს, ასეა.

– შეგიძლიათ, მკითხველს აუხსნათ, რა არის ვიზირება?

– ჩვენთვის ცნობილია, რა ადგილას იყო ტყვიის შემავალი და გამომავალი ხვრელი, ვიცით, შემთხვევის ადგილზე, რა ადგილას იქნა აღმოჩენილი ტყვია. გადამოწმდება საკუთარი ხელით, თუ ასე დაიწყო ტყვიამ მოძრაობა, განავითარებდა თუ არა იმ ტრაექტორიას, რაც სახეზეა. გადამოწმდება, ასეთი ტრაექტორიის შემთხვევაში მასრა აღმოჩნდებოდა თუ არა იმ ადგილას, სადაც ის აღმოჩენილ იქნა. ცნობილია, რა ფორმით იყო დაჭერილი იარაღი, როცა ტყვიამ მოძრაობა დაიწყო. პისტოლეტის ამ მდგომარეობაზე მიგვითითებდა ლულის ანაბეჭდი გარდაცვლილის საფეთქელზე. აი, ამ საწყისი პოზიციიდან იწყება კვლევა და ტრაექტორიის დადგენა.

– თუმცა, გვახსოვს, რომ დაისვა კითხვა, იყო კი შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ტყვია ის ტყვია, რომელმაც გარდაცვლილის თავში გაიარა?..

– დიახ. ჩვენ რომ ვიცოდეთ, დეენემი აღმოჩნდა თუ არა ამ ტყვიაზე, მაშინ უკვე ბევრი რამ გვეცოდინებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არ ვიცით. პასუხი ჯერ არ გვაქვს.

– უხილავის ექსპერტიზაში თქვენც მონაწილეობთ?

– მანქანის დათვალიერების დროს, მე ვნახე ყველაფერი, რაც ჩემი სპეციალობით მაინტერესებდა – სისხლის წვეთები, შხეფები, ნაჟღენთები, მათი განლაგება, ლოკალიზაცია და მათი დაცემის კუთხის განსაზღვრა. ახლა უკვე კრიმინალისტის სამუშაოა, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია, რამე ხომ არ არის მანქანაში იმის გარდა, რაც თვალით ხილული იყო. თუმცა, თუ ოჯახი ჩათვლის, რომ ჩემი დასწრება იქ საჭიროა, რა თქმა უნდა, დავესწრები.

– თქვენ დაესწარით გვამის გაკვეთას და ბუნებრივია, გაქვთ თქვენი მოსაზრებები კონკრეტულ საკითხებზე. იმ დროს, როდესაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა უკვე არსებობს, თქვენი კვლევის საგანი ეს დასკვნა იქნება?

– ამ შემთხვევაში მიდგომა სხვა არის – ყველა ექსპერტიზა უნდა შეჯერდეს და მოზაიკასავით აიწყოს. მხოლოდ ამის შემდეგ გავაკეთებ დასკვნას. ცალკე სასამართლო-სამედიცინო დასკვნას არ დავწერ, რადგან მე მხოლოდ დამსწრე ვიყავი გვამის გაკვეთის დროს და არა მონაწილე. ჩვენ შევეცადეთ, რომ მაქსიმალურად აგველო ყველაფერი, რაც კი შეიძლება მერე საჭირო გამხდარიყო. ჩატარებულია იმდენი კვლევა, რამდენიც პრაქტიკულად არ ტარდება ხოლმე.

ზურა კიწმარიშვილი, ეროსი კიწმარიშვილის ძმა:

– პირველ ეტაპზე ინფორმაცია გამოძიებისგან, ასე თუ ისე, არსებობდა. უკვე დიდი ხანია, არავინ აღარაფერს საუბრობს თქვენი ძმის გარდაცვალების მიზეზებზე. გაქვთ რამე ინფორმაცია გამოძიებისგან?

– გამოძიება თავს იკავებს ამაზე საუბრისაგან. არც რაიმე დეტალსა თუ მიმდინარე პროცესებზე გვაყენებს საქმის კურსში. არის მხოლოდ მშრალი პასუხები – ვმუშაობთ, ვიძიებთ და როცა დასრულდება პასუხს მაშინ გეტყვით. რაც შეეხება პირველ ეტაპს, მაშინ უფრო მეტად საეჭვო გარემოებების გაცხადება ხდებოდა ჩემი თუ ჩვენი ალტერნატიული გამომძიებლების მხრიდან. ამის შემდგომ იყო პერიოდი, რომელიც ახლაც გრძელდება, როდესაც გამოძიება ადგენს ყველა გარემოებას, რათა ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე იქნას საბოლოოდ ყველა პასუხი გაცემული. ითქვა, რომ ყველაფერი გაკეთდება ამისთვის. მეც ამ მოლოდინში ვარ. ამ ეტაპზე როგორ მუშაობს გამოძიება, ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს და მიმაჩნია, რომ მათ სრული უფლება აქვთ, ყველაფერში არ ჩამახედონ... მეც არ ვუშლი ხელს. კი ბატონო, იმუშაონ. ყველაფერი გავაკეთე, რომ ჩემი მხრიდან გამოძიებას დავხმარებოდი და მომავალშიც დავეხმარები. მაგრამ საბოლოოდ, დღეს იქნება თუ ხვალ, ეს დასკვნები უნდა დაიდოს , აბსოლუტურად ყველა კითხვაზე უნდა მივიღოთ პასუხი, რაც მეც მაინტერესებს, და რაც სამართლიან გამოძიებასაც უნდა აინტერესებდეს. ვფიქრობ, რომ ეს ასეც იქნება და ამ მხრივ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. უბრალოდ, ველოდები გამოძიების დასასრულს.

– გამოდის, რომ მთავარ კითხვაზე პასუხთან – მკვლელობა იყო თუ თვითმკვლელობა? – ჯერჯერობით ახლოსაც არ ვართ?

– ჩემი შინაგანი რწმენით პირადად მე ამ კითხვაზე, პასუხთან, რა თქმა უნდა, ახლოს ვარ, მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გამოძიების ობიექტურ და ეფექტურ შედეგს. ვფიქრობ, ისინი კეთილსინდისიერად შეასრულებენ ყველაფერს.

– რაკი უკვე ჯერი დგება ექსპერტიზების შეჯერებაზე, გამოდის, რომ გარკვეული ექსპერტიზის პასუხები უკვე მზად უნდა იყოს...

– დაახლოებით 18 ექსპერტიზაა ჩატარებული. რაღაცებზე დასკვნები უკვე არსებობს და რაღაცები კიდევ ემატება. ცალკეული დასკვნების გაგებას, აფიშირებასა და საზოგადოებისთვის მიწოდებას, ვფიქრობ, აზრი არ აქვს. ყველა დასკვნამ თავი უნდა მოიყაროს და ამან უნდა გაამტკიცოს რეალური ვერსია იმის შესახებ, რა მოხდა.

– თუმცა, საზოგადოებისთვის საინტერესო იქნებოდა შემთხვევის ადგილზე ნაპოვნ ტყვიაზე დეენემის კვლევის შედეგი, ვინაიდან თავის დროზე ითქვა, რომ ეს ერთ-ერთი საკვანძო საკითხი იქნებოდა...

– შესაძლოა, ამ ეტაპისთვის ამაზე პასუხი გაცემულია, მაგრამ მე ბევრი ვიფიქრე ასეთ საკვანძო მომენტებზე: იქნებ დანაშაულის ჩადენის დროს კვალის არევის მიზნით ისე გაკეთდა ყველაფერი, რომ ასეთ საკვანძო საკითხებს თვითმკვლელობის სურათი წარმოეჩინა... ჩემი შინაგანი რწმენა მკარნახობს, რომ დამნაშავეს ჰქონდა მიზანი, ყველა დეტალი გაეთვალა თვითმკვლელობის დასადასტურებლად.

– თქვენი პასუხი მაფიქრებინებს, რომ დეენემზე პასუხი უკვე არსებობს და ის თქვენი ძმისას ემთხვევა...

– გულწრფელად ვამბობ, ნამდვილად არ ვიცი. რა თქმა უნდა, მაინტერესებს, მაგრამ გამოძიებამ თავი შეიკავა ამ ტიპის კითხვებზე პასუხის გაცემისგან და მეც არანაირი ლეგიტიმაცია და რესურსი არ მაქვს, რომ ჩუმად და ძალადობრივად მოვიპოვო ეს ინფორმაცია. არც ვაქტიურობ ამ მიმართულებით. შესაძლოა, ამ ტყვიაზე იყოს ეროსის დეენემი, მაგრამ ეს ჩემთვის არ წარმოადგენს ამ საქმის გასაღებს. ამაზე რომ ვიმსჯელო და ჩავუღრმავდე, შეიძლება სულ ტყუილად ვნაყო წყალი. საქმეში ჩავრთეთ ადამიანები, რომელთაც საკმაოდ დიდი კვალიფიკაცია და გამოცდილება აქვთ. საბოლოო პასუხი რომ დაიდება, მერე ისინი შეისწავლიან ყველა პუნქტს, შეადარებენ იმას, რაც მათ ნახეს და თუ შეუსაბამობები იქნა, ამასთან დაკავშირებით ჩვენც მოვამზადებთ ჩვენს პოზიციას და შევეცდებით, ჩიხში შესვლის ნაცვლად, ბოლომდე გავიდეთ.

– თქვენს ექსპერტებთან ერთად ავტოფარეხის დათვალიერების დროს რამე მნიშვნელოვანი აღმოაჩინეთ?

– მოდით, ბოლოს და ბოლოს, ეს საკითხი გავიაროთ და ვიცოდეთ, რომ ის, რაც ჩვენ გვაინტერესებდა, ვერ განხორციელდა: იმ ფართობის – კედლების, ასფალტის, გარეთა პერიმეტრის დათვალიერება გვინდოდა მძლავრი ხელსაწყოთი, რომელსაც მძლავრი სინათლის ნაკადი აქვს, მაგრამ ის აპარატურა, რომელიც მოიტანეს, საამისოდ არ გამოდგა ვარგისი. არ აღმოჩნდა ასეთი აპარატურა კრიმინალისტების არსენალში და ჩვენ იქვე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სპეციალური ხსნარით დამუშავებულიყო კონკრეტული ადგილები. ბუნებრივია, პატარა პულვიზატორით 300 და 400კვ/მ ფართობის დამუშავება გამორიცხულია. დაახლოებით 3-4კვ/მ ამ ხსნარით დავამუშავეთ და იქიდან მივიღეთ რაღაც შედეგი, რომელიც შემდგომში ანალიზისთვის და მსჯელობისთვის გამოდგება. მერე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ იგივე გაგვეკეთებინა მანქანაში. ერთი სიტყვით, ექსპერტიზები იმ კვირაში დამთავრდება. უამრავი ადამიანია დაკითხული, ზოგი რამდენჯერმეც კი. ამოღებულია ვიდეომასალა, რომელიც საზოგადოებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

– იმ ცნობილი ვიდეომასალის გარდა, რაც ინტერნეტსივრცეში გავრცელდა?

– დიახ, საუბარია იმ კამერებიდან ამოღებულ მასალებზე, რომელიც იმ დროს, იმ გარემოში მუშაობდა. ეს არის აზერბაიჯანის საელჩოს მიმდებარედ არსებული კამერები, ფარეხის ჩასასვლელის მოპირდაპირედ არსებული კამერა, ასევე არის იარაღის მაღაზიის მიმდებარედ არსებული კამერიდან ამოღებული მასალები.

– რამე საეჭვო დაფიქსირდა?

– დაფიქსირდნენ ადამიანები, ვინც მოძრაობდა იქ, ვინც ავტოფარეხში იყო ჩასული... ახლა გამოძიების საქმეა, ვინ უნდა ამოიცნოს და რა გზებით. ეს მასალა არსებობს და სჭირდება პროფესიონალის მუშაობა. ამის გარდა, უამრავი მასალაა ამოღებული კომპიუტერიდან, პლანშეტიდან, ტელეფონებიდან, მათ შორის აღდგენილია უკვე ნაშლილი მასალა. ასე რომ, უამრავი სამუშაოა. კი, მე მჯერა, რომ მოხდა მკვლელობა და იმისიც მჯერა, რომ ეს ჩადენილი იყო მაქსიმალური სიფრთხილით, შესწავლილი ექნებოდათ გარემოც, გადაადგილებებიც, დროც, მაგრამ ამის მიუხედავად, 21-ე საუკუნეა და უკვე მოლეკულების დონეზე შეიძლება კონკრეტული გარემოებების დადგენა. დანაშაულის ჩამდენი უჩინმაჩინი ვერ იქნებოდა. ასე რომ, რაღაც ძაფები აუცილებლად უნდა გამოჩნდეს, რომელიც მერე რეალურ სურათთან მიგვიყვანს.

– უკაცრავად, მაგრამ თუ ეს ასე არ არის?..

– გასაგებია, რომ არ არსებობს არც წინასწარ დაწერილი წერილი, არც ვიდეომასალა, რომელშიც ჩანს ეს ყველაფერი... ამ შემთხვევაში ყველა სხვა საშუალებით უნდა იყოს ეს დადასტურებული. ეს მარტო მე არ მჭირდება და არც მარტო ოჯახს, ეს გამოძიებისთვისაც საჭიროა, ვინაიდან ეს მათი პრესტიჟის საქმეა.

– დაბოლოს, აუცილებლად უნდა გკითხოთ – მანქანის ანთებულ ფარებს, ჩამოწეულ სამზეურებს, უკან ჩამოწეულ ფანჯრებს, გადაჭერილ ღვედსა და კიდევ სხვა მსგავს საეჭვო გარემოებებს რით ხსნით?

– ფარები რა სიტუაციაში აინთო, კაცმა არ იცის, სავარაუდო მკვლელთან ურთიერთობაც გაურკვეველია ჩემთვის – ნაცნობი იყო, თუ მან თავიდანვე იარაღის მუქარით იმუშავა... ეს მომენტები ჩემთვის გამოუცნობია და მე ამას ვერ ვხსნი. რაც შეეხება სამზეურებს, ის ჩამოიწევა იმისთვის, რომ შემთხვევითი შემომსვლელისთვის, თუ გამსვლელისთვის არ იყოს თვალსაჩინო, რა ხდება მანქანაში... რაც შეეხება ფანჯრების ჩამოწევას, ვფიქრობ, დამნაშავემ ეს სუნის გაყვანის მიზნით გააკეთა, ვინაიდან კრიმინალისტების ძაღლებს მისი სუნი არ აეღოთ. არ ვიცი, რა მოტივებით შეიძლება, სავარაუდო მკვლელს ემოქმედა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველაფერს რაღაც ახსნა აქვს. ეს ყველაფერი ერთადერთ რამეს მიუთითებს, რომ თვითმკვლელისთვის არ იქნებოდა აქტუალური, არც ფანჯრებისა და სამზეურების ჩამოწევა, არც ღვედის გადაჭერა, არც ფარების ანთება და ა.შ. მე ვლაპარაკობ იმაზე, რაც ლოგიკასთან ახლოსაა. ვფიქრობ, რომ ეს არ იქნებოდა ბუნებრივი თვითმკვლელისთვის. მკვლელს კი რა მოტივები ამოძრავებდა, ამაზე ვერაფერს გეტყვით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა გახდა 20 წლის ჯარისკაც

სალომე გოგოხია

სანამ თავდაცვის მინისტრი უელსის სამიტზე იმყოფებოდა, კიდევ ერთი ჯარისკაცი გარდაიცვალა. ალბათ, ასეთი ფაქტები შეშფოთებას უნდა იწვევდეს, თუმცა, მედიის გარდა მომხდარზე ნაკლებად თუ ვინმე რეაგირებს. ჯარში ჯარისკაცის გარდაცვალება ყოველთვის ბევრ შეკითხვას ბადებს. მით უმეტესს, როცა ნამდვილი მიზეზი დადგენილი არ არის. რა გახდა 20 წლის გიორგი ასანიძის გარდაცვალების მიზეზი - დაუდევრობა თუ თვითმკვლელობა, ამას გამოძიება დაადგენს. იმედი ვიქონიოთ, რომ გამოძიება გონივრულ ვადაში ამცნობს ჭეშმარიტებას, როგორც გარდაცვლილის ოჯახს, ასევე, საზოგადოებას.

20 წლის, დედისერთა, გიორგი ასანიძე, 3 სექტემბერს, გვიან ღამით, მორიგემ დაჭრილი იპოვა. იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. თავიდანვე, მისი გარდაცვალების მიზეზად თვითმკვლელობა დასახელდა, თუმცა, მოგვიანებით, „პრაიმტაიმს“ გარდაცვლილის ოჯახმა უთხრა, რომ გამოძიება მთავარ ვერსიად იარაღთან დაუდევრად მოპყრობას განიხილავს. უცნაურია, როცა გამოძიება არ დასრულებულა, ხოლო ექსპერტიზის დასკვნა არ არსებობს, რატომ ფიქრობენ უწყებაში, რომ ასანიძის გარდაცვალება სწორედ დაუდევრობით, გაუფრთხილებლობით გასროლამ გამოიწვია?! გარდაცვლილის ოჯახი თვითმკვლელობის ვერსიას კატეგორიულად გამორიცხავს და უწყების ვერსიას - დაუდევრობას იზიარებს.

მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 20 წლის გიორგი ასანიძე გარდაცვლილი იპოვეს. ასანიძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2013 წლიდან ირიცხებოდა. იგი შეიარაღებული ძალების გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების სკოლაში სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა. მას ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული.

ალასანიას უწყების ინფორმაციით, დაჭრილი გიორგი ასანიძე სამხედრო ნაწილის მორიგემ იპოვა.

მას ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიყენებული, რის შემდეგაც, წვევამდელი საავადმყოფოში გადაიყვანეს. თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. საქმეში სამხედრო დანაშაული არ იკვეთება, ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო სამმართველო მთავარი პროკურატურის უშუალო ზედამხედველობით აწარმოებს.

დაუდევრობას ჰქონდა ადგილი თუ თვითმკვლელობას, ამას ექსპერტიზა დაადგენს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჯარისკაცის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების შემთხვევა პირველი არ არის.

სამწუხაროდ, თავდაცვის სამინისტრო ერთ-ერთი დახურული უწყებაა. სამხედრო ნაწილში ხშირია ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებიც. თუმცა, უწყება ყოველთვის ცდილობს, რომ მომხდარი არ გამოაშკარავდეს, რაც მათ მიმართ ნდობის ხარისხზე ნეგატიურად აისახება. როგორც ჩანს, ბატონი ალასანია მხოლოდ „წარმატებულ“ რეფორმებს ამჩნევს, ხოლო ჯარის პრობლემებზე ნაკლებად ან თითქმის არ საუბრობს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ყველაფერი სამინისტროს შეცდომებსა და სამხედრო ბაზებზე არასათანადო მდგომარეობაზე მიუთითებს.

როგორც ჩანს, ბოლო მაგალითიც ამაზე მეტყველებს. სამინისტრო გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზებზე არ საუბრობს, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოჯახთან საუბარში უწყება არა თვითმკვლელობის, არამედ დაუდევრობის ვერსიაზე აკეთებს აქცენტს. ეს კი უკვე შეკითხვებს ბადებს, როცა ექსპერტიზის დასკვა ჯერ არ არის, ხოლო გამოძიება არ დასრულება.

როგორც „პრაიმტაიმს“ გარდაცვლილის ოჯახმა უამბო, გიორგი ერთი ტყვიით არის გარდაცვლილი. მას ტყვია ნიკაპის ქვემო აქვს მოხვედრილი, ტყვიამ თავში გაიარა და სახე დაუზიანა.

„პრაიმტაიმი“ გიორგი ასანიძის ოჯახში იმყოფებოდა. მომხდართან დაკავშირებით გიორგი ასანიძის ნათესავი გვესაუბრა. მისივე თხოვნით რესპონდენტის ვინაობას არ ვწერთ.

- პირველად გვითხრეს, რომ გიორგიმ თავი მოიკლა, მაგრამ დღეს-დღეობით, აბსოლუტურად ყველა ამბობს, დაველოდოთ ექსპერტიზას, ისეთი რაღაცები გამოიკვეთა, რომ თითქმის დასტურდება გაუფრთხილებლობით, დაუდევრობით გასროლაო. მკვლელობის ვერსია საერთოდ გამორიცხულია. ჩვენ არც თვითმკვლელობის ვერსიის არ გვჯეროდა. ძალიან მხიარული ადამიანი იყო, მთელ სამეგობროში გამორჩეული.

- როდის შეიტყვეთ მისი გარდაცვალების შესახებ?

- გასროლა ღამის 12-დან პირველის ნახევრამდე მოხდა. ოჯახს იმავე საღამოს, ღამის 2 საათზე შეგვატყობინეს. თურმე, გული სამჯერ გაუჩერდა და სამჯერ აუმუშავეს, რომ საოპერაციოში შეეყვანათ, მაგრამ ვერ გადაარჩინეს.

- თავდაპირველად თვითმკვლელობის ვერსია გავრცელდა, ამის საფუძველი თუ ჰქონდა? იქნებ, ჯარში დაძაბულ დისციპლინას ფსიქოლოგიურად ვერ გაუძლო, ან სხვა მიზეზია?

- გიორგი დედისერთა იყო. მას სავალდებული სამხედრო სამსახურის მოხდა არც ევალებოდა. თავისი სურვილით წავიდა. იარაღზე გიჟდებოდა. ჯარში პრობლემები თუ ჰქონდა, გვეტყოდა. პირიქით, გარდაცვალებამდე 4 დღით ადრე ვნახე, ძალიან გახარებული იყო. მითხრა, ჩემმა უფროსობამ რეკომენდაცია გამიწია და ჯარის დამთავრების შემდეგ, საკონტრაქტოზე გადავალო. 115 ჯარისკაციდან საკონტრაქტოზე 7-ს გაუწიეს რეკომენდაცია და მათ შორის გიორგიც იყო. დავუშვათ, ჯარში პრობლემები ჰქონდა, სავალდებულო სამსახურის დასრულებამდე 2 თვე იყო დარჩენილი, ასეთ შემთხვევაში კონტრაქტის გაგრძელებაზე ხომ არ იფიქრებდა? დაელოდებოდა იმ ორი თვის გასვლას და შინ დაბრუნდებოდა.

- გიორგის ჯარის დამთავრებამდე 2 თვე იყო დარჩენილი, მეტნაკლებად მას ჰქონდა იარაღთან ურთიერთობის გამოცდილება, უშვებთ გაუფრთხილებლობით გასროლის ალბათობას?

- ეს შეკითხვა მეც დავუსვი ნაწილის მეთაურს. ასე მიპასუხა, ომგამოვლილი ვარ, ამხელა პრაქტიკა მაქვს, მაგრამ 6 თვის წინ ირაღი მეც გამივარდა, ამისგან დაზღვეული არავინ არისო. მეორეც, გიორგის რა ისეთი გამოცდილება უნდა ჰქონოდა?!

- ისიც კი ითქვა, რომ შეყვარებულის გამო მოიკლა თავიო.

- არა, არა. შეყვარებული ჰყავდა, კინკლაობაც მოსდიოდათ, მაგრამ შეყვარებულის გამო თავს არ მოიკლავდა. თანაც, ვინმეს გულისთვის როცა იკლავ თავს, სტრესი ხომ უნდა გქონდეს? სულ კარგ ხასიათზე იყო, სულ იცინოდა. გარდაცვალების წინა დღესაც, უბანში იყო გასული, ისე აცინა ბავშვები. სულ სხვების გამხიარულებას ცდილობდა. არც ის მომენტია, რომ ვთქვათ, თამაშობდა და ფული წააგო, ამაზე შეიშალა და ამიტომ გამოჰკრა ჩახმახს თითი. რა მოხდა არავინ იცის, მაგრამ თვითმკვლელობა თითქმის გამორიცხულია. საპატრიარქომ ყველა გამოკითხა, რიგითი ჯარისკაცები, მეთაურები, რომ დაედგინათ ფსიქიკური პრობლემები ხომ არ ჰქონდა. თვითმკვლელისთვის წესის აგება ხომ არ ხდება. თვითმკვლელობას გამოვრიცხავთ. უბანში ნებისმიერი გააჩერეთ და ჰკითხეთ, ვერც ერთი გეტყვით რატომ უნდა მოეკლა თავი. დედისერთა იყო, მამა არ ჰყავდა. დედა და დეიდები არაფერს აკლებდნენ, განებივრებული ჰყავდათ. დედა ორი თვის წინ თურქეთში სამუშოდ წავიდა. გაჭირვებაში და ობლობაში ისე გამოზარდა, რომ ამ ბავშვს არაფერი უგრძნია, არაფერი დაჰკლებია.

- უშუალოდ მომხდარის შესახებ რა იცით?

- ჯარისკაცები თავიანთ პოსტებზე იყვნენ განაწილებული. როცა გასროლის ხმა გაიგონეს, ყველა გარეთ გაცვივდა. გიორგი ადგილზე არ დახვდათ. პოსტიდან ას მეტრში ქვაზე ჩამომჯდარა. როცა ტყვია მოხვდა, მოწყვეტით ძირს დავარდნილა. იარაღში მჭიდი ჰქონდა. ბიჭები შემჩნეულები არიან, ღამით თამაშობენ, იარაღს დაშლიან, ააწყობენ; ეს უფროსობამ იცოდა, ამიტომ, ჩუმად ამოწმებდნენ, მოულოდნელად თავს დაადგებოდნენ. გიორგი მსგავსს რამეში შემჩნეული არასდროს ყოფილა. უშუალოდ გასროლის დროს მასთან არავინ ყოფილა. სმენის ბიჭები ყველა დაკითხეს. ექსპერტიზა დაადგენს რა მოხდა სინამდვილეში - იარაღი შემთხვევით გაუვარდა თუ თავი მოიკლა.

- თუ დადგინდა, რომ თვითმკვლელობაა, რას იზამს ოჯახი?

- რა უნდა ქნას? რისთვის უნდა მოსთხოვოს სამინისტროს პასუხი, თუ ადამიანი თავს იკლავს?

- იქნებ პირობები არ მოსწონდა და ამის შესახებ ოჯახში არ ამბობდა?

- ვინმე სცემდა ან აშინებდა, ეს გამორიცხულია. როგორც დედისერთას, ნებისმიერ დროს შეეძლო განცხადება დაეწერა და ჯარიდან წამოსულიყო. მე მიხაროდა, რომ ჯარში წავიდა, რა კარგ გზას ადგასმეთქი, რადგან დღევანდელ დროში გიორგის თანატოლი ბიჭები ბირჟაზე დგანან, „წამალს“ იკეთებენ და ა.შ. ნაწილში რამე რომ მომხდარიყო, აუცილებლად გამოვიდოდა ხმა. ისედაც, რამე საეჭვო რომ ყოფილიყო, მე პირადად ვაპირებდი, რომ დამოუკიდებელი ექსპერტიზა დამენიშნა, მაგრამ თვითმკვლელობის ვერსია თითქმის გამორიცხულია. ამიტომ, თავი შევიკავეთ.

სამხედრო ექსპერტი გიორგი

„გარდაცვალებამდე 4 დღით ადრე ვნახე, ძალიან გახარებული იყო. მითხრა, ჩემმა უფროსობამ რეკომენდაცია გამიწია და ჯარის დამთავრების შემდეგ, საკონტრაქტოზე გადავალო. 115 ჯარისკაციდან საკონტრაქტოზე 7-ს გაუწიეს რეკომენდაცია და მათ შორის გიორგიც იყო. დავუშვათ, ჯარში პრობლემები ჰქონდა, სავალდებულო სამსახურის დასრულებამდე 2 თვე იყო დარჩენილი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ის გარდაცვალების მიზეზი?!

„რა მოხდა არავინ იცის, მაგრამ თვითმკვლელობა თითქმის გამორიცხულია. საპატრიარქომ ყველა გამოკითხა, რიგითი ჯარისკაცები, მეთაურები, რომ დაედგინათ ფსიქიკური პრობლემები ხომ არ ჰქონდა. თვითმკვლელისთვის წესის აგება ხომ არ ხდება“

„ჯარისკაცები თავიანთ პოსტებზე იყვნენ განაწილებული. როცა გასროლის ხმა გაიგონეს, ყველა გარეთ გაცვივდა. გიორგი ადგილზე არ დახვდათ. პოსტიდან ას მეტრში ქვაზე ჩამომჯდარა. როცა ტყვია მოხვდა, მოწყვეტით ძირს დავარდნილა. იარაღში მჭიდი ჰქონდა. ბიჭები შემჩნეულები არიან, ღამით თამაშობენ, იარაღს დაშლიან, ააწყობენ; ეს უფროსობამ იცოდა, ამიტომ, ჩუმად ამოწმებდნენ, მოულოდნელად თავს დაადგებოდნენ“

EXCLUSIVE

თვითმკვლელობა თუ დაუდევრობა?

გიორგი თავდგირიძე: „რაც არ უნდა თავდაყირა დადგეს სამინისტრო, ნდობის მოპოვებას დროს სჭირდება. მისი ინფორმაცია არის არა უწყების მიერ მუნდირის ღირსების დაცვა, არამედ ღია, საჯარო ინფორმაცია, რაც სახელმწიფო საიდუმლოებებს არ განეკუთვნება. ამას კი დრო სჭირდება. მთლიანად შეიარაღებული ძალები საჭიროებს ტრანსფორმირებას“

თავდგირიძე ორივე ვერსიას დასაშვებად მიიჩნევს. მისი თქმით, რას ჰქონდა ადგილი იარაღიდან დაუდევრობით გასროლას თუ თვითმკვლელობას, ამ შეკითხვებს პასუხი ექსპერტიზამ უნდა გასცეს.

თუმცა, ერთი რამ ფაქტია, ჯარში არსებული პრობლემები სხვადასხვა სახით ყოველთვის ვლინდება - იქნება ეს ჯარისკაცების თვითმკვლელობების ფაქტები თუ მათი მოწამვლა. ამ მხრივ, ალასანიას უწყებას სკანდალი არასდროს აკლდა და ყურადღების ცენტრშიც ხშირად ხვდებოდა. მინისტრის მხრიდან კი, წარმატებულ რეფორმებზე უფრო მეტი აქცენტი კეთდება, ვიდრე ჯარში არსებულ პრობლემებზე. ამას ისიც ემატება, რომ სამინისტრო მუდმივად ცდილობს მსგავსი ფაქტების მიჩქმალვას. ფაქტია, რომ საინფორმაციო პოლიტიკა თავდაცვის სამინისტროსგან გარკვეულ დახვეწას მოითხოვს.

მაშინ, როცა ალასანიას უწყება დასავლურ სტანდარტებზე გადასვლაზე საუბრობს, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ დასავლური სამხედრო კულტურა პირდაპირ მოითხოვს საზოგადოებასთან ფართო ურთიერთობებს, ინფორმაციის სანდოობას.

აჩიკო კაიკაციშვილი უფლებადამცველი, „ახალგაზრდა ადვოკატების“ დამფუძნებელი და დირექტორი: „ბუნებრივია, სახელმწიფომ ოჯახს და საზოგადოებას უნდა მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია. საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ სხვა მუხლითაც დაკვალიფიცირდეს, თუ რა მოხდა კონკრეტულად, ეს არის გამოწვევა და მნიშვნელოვანი ფაქტი თავდაცვის სამინისტროსთვის. ყველა იმის მოლოდინში ვართ, რომ ამასთან დაკავშირებით ობიექტური გამოძიება წარიმართოს. ვიდრე გამოძიება არ დასრულდება, ძნელია რაიმე კონკრეტულ შეფასებებზე ვისაუბროთ. გარდაცვალება ისეთ გარემოში მოხდა, რომ ბევრი კითხვა არსებობს. ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს. როცა თავდაცვის სისტემა გადადის განვითარების სხვა საფეხურზე, მხედველობაში მაქვს ნატოს სტანდარტები, ასევე, თავდაცვის უნარიანობის ამაღლების სხვადასხვა ღონისძიებებთან მიმართებაში, მაგრამ ასეთი კონკრეტული შემთხვევა არ უნდა იქნას ისე აღქმული, რომ რაღაც პროცესს ხელი შეეშლება. ასეთი ფაქტების გამოძიება და ოფიციალური პასუხი ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია. ასევე, მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა. დარწმუნებული ვარ, გონივრულ ვადებში სამინისტრო პასუხს გასცემს ამ საკითხზე წარმოშობილ კითხვებს. ამ ჯარისკაცის გარდაცვალების თემა მხოლოდ ერთი სამინისტროს საკითხი არ არის. ეს ახალ პოლიტიკურ რეალობაში არის ისეთი ხარისხის თემები, რომ ყველაზე მთავარია ობიექტური გამოძიება, გავიგოთ რასთან გვქონდა საქმე, დაუდევრობასთან, თუ კიდევ რამე სხვასთან“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სიკვდილი“ ურე

my View

ხათუნა
მგალობლიშვილი

რომელი აფთიაქებ
ურეცეპტოდ ფსიქოტროპ

„არის ინფორმაცია, რომ შენაერთებზე ინფორმაცია ყველაზე მეტად ვრცელდება სოციალურ ქსელებში, თუმცა დოზები სხვადასხვა სახით არის მითითებული და მათი მომზადება და მიღება, როგორც წესი, სიკვდილს იწვევს ხოლმე“



EXCLUS

უკვე ერთ კვირაზე მეტია, აფთიაქები კონკრეტულ წამლებს რეცეპტის გარეშე აღარ ყიდიან. უფრო სწორად, წესით, აღარ უნდა ყიდდნენ, თუმცა ფაქტები აბსოლუტურად საწინააღმდეგოს ამტკიცებს... ფსიქოტროპული წამლების რეალიზაციაზე კონტროლის გამკაცრება შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივა იყო. სწორედ მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით, მომზადდა პროექტი, რომელიც საბოლოოდ პარლამენტს გადაეგზავნა განსახილველად და მიიღო კიდეც. კანონის დაუცველობის შემთხვევაში დაწესებულმა ისედაც სოლიდურმა ჯარიმებმა სასჯელის მაქსიმუმს მიაღწია.

ალექსანდრე ჭიკაიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი:

– ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების რეცეპტის გარეშე გაყიდვა გამოიწვევს აფთიაქის მფლობელის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას და ფარმაცევტული საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, მინიმუმ 10 წლით.

თავის მხრივ, სამინისტრომ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა. პროექტის განხილვა მოხდა როგორც ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში, ასევე, სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

თუმცა დღევანდელი მდგომარეობიდან ჩანს, რომ კანონი ბევრისთვის წინაღობა სულაც არ არის. „პრაიმტაიმი“ აღნიშნულ საკითხზე ხშირად წერდა და ძალიან ბევრჯერ დაბეჭდილა მასალები, როგორ თავისუფლად მოიპოვებენ ახალგაზრდები, მათ შორის არასრულწლოვნები ფსიქოტროპულ მედიკამენტებს აფთიაქებში, ისე რომ თანამშრომლები მათ ასაკსაც კი არ ეკითხებიან. „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარის, გია ბურჯანაძის განცხადებით, პირველი სექტემბრის შემდეგ, ანუ იმ დღიდან, რაც კანონი კიდევ უფრო გამკაცრდა, სიტუაცია არ შეცვლილა. ფსიქოტროპულ წამლებს ისევ ისე თავისუფლად მოიპოვებენ, საჭიროების შემთხვევაში, ურეცეპტოდ, როგორც პირველ სექტემბრამდე. აფთიაქები კი სასჯელის გამკაცრების მიუხედავად, კვლავ თავისუფლად ყიდიან მედიკამენტებს. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ერთ რიგით აფთიაქში ერთ დღეში გაიცემა 3-დან 5 ათას ლარამდე ფსიქოტროპული მედიკამენტი, მათი დიდი ნაწილი – რეცეპტის გარეშე. გია ბურჯანაძის განცხადებით, აქ საუბარია საკმაოდ სერიოზულ ფინანსურ დაინტერესებაზე. შესაბამისად, აფთიაქებს ულირთ პირველ ჯერზე 6 ათასლარიანი ჯარიმის, ხოლო შემდეგ 12 ათასლარიანი ჯარიმის გადახდა...

„პრაიმტაიმმა“ სწორედ „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარესთან ერთად ჩაატარა რეიდი ფსიქოტროპულ აფთიაქებში. სამწუხაროდ, „მიზანს“ უმოკლეს დროში მივაღწიეთ. პირველ აფთიაქს, რომელსაც ვესტუმრეთ, როგორც გაირკვა, იმ საღამოს სერიოზული ვაჭრობა ჰქონდა და „ბაკლოსანიც“ და „გრიმოდინიც“ უკვე „ამოყიდული“ დაგვხვდა. აფთიაქის თანამშრომელმა დამწუხრებული ხმით გვითხრა, უკვე არც ერთი აღარ დამრჩა, მაგრამ ხვალ შემოიტანენ და აუცილებლად იქნებაო... ისე, რომ არც რეცეპტი უკითხავს, არც ის დაუზუსტებია, რომ ურეცეპტოდ ვერ მოგვყიდდა... შესაბამისად, მეორე დღეს „შეხვედრაზე“ შევთანხმდით...

მეორე აფთიაქში „გაგვიმართლა“. იქ ფსიქოტროპულების მარაგი ჯერ კიდევ იყო...

„პრაიმტაიმის“ თანამშრომელი: „ბაკლოსანი“ მომეცით, თუ შეიძლება.

აფთიაქის გამყიდველი: რამდენი გინდათ?

„პრაიმტაიმის“ თანამშრომელი: ოთხასიანი, ხუთი ლარის.

აფთიაქის გამყიდველი: ინებეთ...

ყოველგვარი ზედმეტი კითხვის გარეშე... ბუნებრივია, რეცეპტის ხსენებაზეც კი ზედმეტია საუბარი... ჩვენს შემდეგ რიგში ახალგაზრდა ბიჭი იდგა, მისი მოთხოვნაც „ბაკლოსანი“ იყო. მანაც უპრობლემოდ შეიძინა მედიკამენტი.

იგივე აფთიაქში იმავე დღეს „ანტიკორუფციული კავშირის“ ნევრებმაც შეიძინეს „ბაკლოსანი“, ასევე, ურეცეპტოდ. გია ბურჯანაძის განცხადებით, ის ორი კონკრეტული აფთიაქი, რომელშიც ჩვენ აკრძალული წამლები შევიძინეთ, გამონაკლისი არ არის. თბილისის მასშტაბით ბევრ ფსიქოტროპულ აფთიაქში მოიპოვება მედიკამენტები, რომლებსაც ახალგაზრდები გასაბრუებლად იყენებენ. თუმცა, როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, თუ აფთიაქის გამყიდველები კონკრეტულ ადამიანს ეჭვის თვალით შეხედავენ, შესაძლოა, უარი უთხრან „ბაკლოსანის“ ან „გრიმოდინის“ მიყიდვაზე. ეს არ არის დასასრული. როგორც ირკვევა, არსებობს „ჯადოსნური“ სიტყვა, უფრო სწორად სახელი, რომლის ხსენების შემდეგაც მედიკამენტს უპრობლემოდ იგდებ ხელში, რა თქმა უნდა, ურეცეპტოდ...

გია ბურჯანაძე, „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე:

– როდესაც სამედიცინო პრეპარატებთან დაკავშირებით მოხდა გაყიდვების გამკაცრება, მე ვთხოვე მონიტორინგის სამსახურს, დაახლოებით ერთი კვირაა, უკვე ვსწავლობთ და როგორც ირკვევა,

„ქიმიკოსობენ და წინასწარ იმის გამოცნობა, ხვალ და ზეგ რას გამოიგონებენ, შეუძლებელია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ცეპტოდ იყიდება

ი ყიდიან
ულ წამლებს

SOS!

IVE

ჩვეულებრივ ხდება გაყიდვა. ანუ არაფერი შეცვლილა.

– ისევ იყიდება აკრძალული წამლები?

– დიახ, იყიდება ფსიქოტროპული წამლები, მაგალითად, თამარ მეფის ქუჩაზე აფთიაქებში, სადაც არაერთხელ ჩავატარეთ მონიტორინგი, დღესაც რეცეპტის გარეშე იყიდება ფსიქოტროპული წამლები.

– მხოლოდ რამდენიმე აფთიაქში თუ მასიურად?

– უკვე მასიური სახე აქვს, საბურთალოზეც ხდება გაყიდვა, სპორტის სასახლის უკან აფთიაქში. ანუ ჩვენ პირველ რიგში გადავამოწმეთ ის აფთიაქები, რომლებიც აღრიცხული გვყავდა და იყო ფაქტები ფსიქოტროპული მედიკამენტების გაყიდვის. მათთვის არაფერი შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ ფინანსური სანქციები მაქსიმალურად გაზარდა.

– რამდენია ჯარიმა?

– თორმეტი ათასი ლარის ოდენობაა. ყველას გვახსოვს შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებაც, რომ პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დამდგარიყო იმ კონკრეტული ადამიანებისა, რომლებიც ფსიქოტროპულ მედიკამენტებს ყიდდნენ – არაფერმა არ იმოქმედა. იმიტომ რომ, როდესაც კონკრეტული აფთიაქი დაჯარიმდება ფსიქოტროპული მედიკამენტის ურეცეპტოდ გაყიდვის გამო, გადაიხდის 12 ათას ლარს, შემდეგ ადგება და ჩამოაყალიბებს ახალ შპს-ს. ამისთვის მხოლოდ 105 ლარი სჭირდება, სულ თხუთმეტწუთიანი პროცედურაა იუსტიციის სახლში და 105 ლარის გადახდის შემდეგ ხდება ახალი ფიზიკური პირი, რომელიც ჩვეულებრივ გააგრძელებს საქმიანობას. ამის შემდეგ ის კვლავ ურეცეპტოდ გაყიდის ფსიქოტროპულ მედიკამენტს, მიიღებს ისევ ჯარიმას, წავა ისევ იუსტიციის სახლში და შეუცვლის სახელს საკუთარ შპს-ს და ასე გაგრძელდება დაუსრულებლად. ჩვენი მონიტორინგის დასკვნით არაფერი შეცვლილა, ფსიქოტროპული მედიკამენტები ისევ ისე იყიდება, როგორც ადრე, თუმცა ჩვენ აბსოლუტურად სხვა პრობლემას წავაწყდით.

– რა არის ეს პრობლემა?

– ადამიანები, რომლებსაც მართლაც ჰაერივით სჭირდებათ ეს მედიკამენტები, შექმნილი სისტემიდან გამომდინარე, ვეღარ ყიდულობენ საჭირო მედიკამენტებს. ნარკომანების რაოდენობამ დაჩაგრა ადამიანები, პენსიონერები, რომლებიც მედიკამენტურ მკურნალობას გადიან და მათი სიცოცხლე მართლაც ამ მედიკამენტებზეა დამოკიდებული.

– საჭირო რაოდენობა აღარ რჩება, თუ რატომ ვეღარ ყიდულობენ, ვისაც მართლა სჭირდება?

– როდესაც რეცეპტით შედის ადამიანი აფთიაქში, მას გამყიდველი არ აძლევს წამალს, სამაგიეროდ ნარკომანს, ვისაც წლებია, იცნობს და ადრეც აძლევდა ფსიქოტროპულ მედიკამენტს, კვლავ აძლევს. ანუ აფთიაქებს აქვთ შავი შემოსავალი, რომლის შეწყვეტისთვისაც იყო ეს ნაბიჯი გადადგმული, ერთი მხრივ. ამ სისტემის შექმნით ჩვენ პრობლემა შევუქმნით იმ კეთილსინდისიერ ადამიანებს, რომლებსაც მართლაც სჭირდებათ აღნიშნული მედიკამენტები. ამაში მონაწილეები ჩვენც ვართ და მინდა, ჯანდაცვის სამინისტროსთან, თანამდებობის პირებთან ერთად გავიაროთ ეს საკითხები, შევცვალოთ უკეთესობისკენ და რაღაც ქმედითი ნაბიჯები გადავდგათ. არ უნდა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ საჭირო მედიკამენტები რეცეპტის გარეშე გაიცემა ნარკომანებზე, ნარკოდამოკიდებულებზე და პენსიონერი, რომელსაც მართლაც სჭირდება ფსიქოტროპული მედიკამენტი, დარჩეს უწამლოდ და გარდაიცვალოს, იმიტომ რომ მას რეცეპტი არ აქვს.

– თუმცა საჭიროების შემთხვევაში რეცეპტის მიღება პრობლემა არ არის, ხომ ასეა?

– რეცეპტის მიღების პროცესი იმდენად ხარვეზული და პრობლემურია, რომ ადამიანები დისკომფორტს განიცდიან.

– თქვენ განაცხადეთ, რომ ჯანდაცვასთან ერთად აპირებთ მუშაობას, რა არის დაგეგმილი ამ მხრივ?

– მე ჯანდაცვაში ვეკონტაქტები პირველ მოადგილეს, ზაზა სოფრომაძეს, ასევე დავით მაჭარაშვილს, რომელთან ერთადაც ამ თემებზე ვმუშაობ და ხშირად ვკამათობთ ხოლმე. დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გააკეთებენ მანკიერი მხარეების მოსაგვარებლად.

– თავად თუ გაქვთ ალტერნატიული გზა წარმოდგენილი? როგორც ჩანს, ამ გზამ არ გაამართლა...

– კი, ნამდვილად არ აღმოჩნდა ეს გზა წარმატებული, ვერ მივედით იქამდე, სადამდეც უნდა მივსულიყავით. ჩვენთან მუშაობს შესაბამისი კომისია, რომელთანაც პირველ რიგში გავივლით კონსულტაციებს, ასევე ვილაპარაკებთ ჯანდაცვასთან და ერთობლივად შევჯერდებით. ერთად უნდა გადავწყვიტოთ პრობლემები. ჯანდაცვა სწორედ თქვენი ფურცლებიდან გაიგებს, რომ ეს პრობლემა არსებობს და წამლები კვლავ იყიდება.

– თუმცა, როგორც ამბობენ, ახალგაზრდებმა უკვე იპოვეს ალტერნატიული გზები, მაგალითად, ყურის წვეთების სახით...

– ყურის წვეთები, თვალის წვეთები აქამდეც იყო აპრობირებული. უბრალოდ, რადგან ახლა რეცეპტით გაიცემა, როგორც ჩანს, სხვა ქიმიური შემადგენლობების მიღნევის გზა უფრო ადვილი გახდა. ეს პრობლემა, ბუნებრივია, ასე მარტივად არ მოგვარდება. იგივე ბიო რომ ავიღოთ, ორი წელია, ამაზე ვყვირით, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ. ბიოა ის თემა, ბიზნესის სახე, რომელიც შეიძლება სხვა დაშვებული მედიკამენტების შერევით კვლავ წარმოიშვას. რაღაცას აკრძალავ, ახალს გამოიმუშავებენ. ახლის ძიება და ეგრეთწოდებული „ნოუჰაუ“ მუდამ გამოჩნდება. შეიძლება ადამიანებმა ამ სიახლის მოსაპოვებლად ოცდაათი ლარის ნაცვლად ათი ლარი დახარჯონ, ან პირიქით, ორმოცდაათი ლარი, მაგრამ ეგრეთწოდებულ გასაბრუებელ ქიმიურ ნაერთს მაინც მიიღებენ სხვადასხვა მედიკამენტების შეზავებით. წვეთებს, რომლებზეც თქვენ საუბრობთ, დიდი ხანია იყენებენ. ხვალ თუ ეს აკრძალულ წამლებში მოხვდება, არ არის გამორიცხული, ფეხსაცმლის წებო გამოიყენონ და მაინც მიაღწიონ შედეგს. სხვათა შორის, არის ინფორმაცია, რომ შენაერთებზე ინფორმაცია ყველაზე მეტად ვრცელდება სოციალურ ქსელებში, თუმცა დოზები, როგორც წესი, სხვადასხვა სახითაა მითითებული და მათი მომზადება და მიღება, როგორც წესი, სიკვდილს იწვევს. ფატალური შედეგი უამრავია. ქიმიკოსობენ და წინასწარ იმის გამოცნობა, ხვალ და ზეგ რას გამოიგონებენ, შეუძლებელია.

„პრაიმტაიმმა“
ფსიქოტროპული პრეპარატი „ბაკლოსანი“ ურეცეპტოდ შეიძინა

გია ბურჯანაძე:
„აფთიაქებს აქვთ შავი შემოსავალი, რომლის შეწყვეტისთვისაც იყო ეს ნაბიჯი გადადგმული...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ არიან ექიმები, რომლებიც რეცეპტებს დიაგნოზის გარეშე გასცემენ?

მარიამ ნადირაძე

ამას წინათ ერთმა ახლობელმა გაკვირვებულმა გვიამბო, რომ მამისთვის შესაძენი სინტომიცინის მალამო რეცეპტს დაქვემდებარებულ წამლებში აღმოაჩინა, თუმცა გაგარინის მოედანზე მდებარე „ავერსის“ აფთიაქს ამის გამო მისთვის პრობლემა არ შეუქმნია. მიუთითეს, რომ კორპუსის უკან ნახავდა ექიმის აბრას, სადაც მას უპრობლემოდ გამოუწერდნენ რეცეპტს. ასეც მოხდა – ცხადია, ჩვენს მეგობარს ექიმთან მამა არ მიუყვანია გასასინჯად, თუმცა მამას კი მიუტანა რეცეპტით შეძენილი სასურველი სამკურნალო საშუალება.

„პრაიმტაიმმაც“ გადაწყვიტა, რომ იგივე გზას დასდგომოდა, თუმცა, აღმოჩნდა, რომ თურმე „ავერსის“ ექიმები“ შაბათ-კვირას არ მუშაობენ. ჩვენსა და აფთიაქში მომუშავე ფარმაცევტს შორის კი ასეთი დიალოგი შედგა:

– ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით იქნება ექიმი. 11-დან 7 საათამდე.

– სხვა არც ერთ აფთიაქში არ არის ექიმი დღეს?

– ასეთი მომსახურება მხოლოდ ჩვენს ქსელშია...

– მითხრეს, ექიმი რეცეპტს გამოგიწერსო. უნდა გამსინჯოს და მერე მომცემს რეცეპტს?

– არა. უნდა გქონდეთ ექიმის დანიშნულება და ამას დაწერს სპეციალურ ბლანკზე. აქ გასინჯვით ვერ გაგსინჯავთ.

– ანუ ექიმთან მაინც მომიწევს დანიშნულებისთვის წასვლა?

– თქვენ თუ ექიმთან არ ყოფილხართ, აქ გამოკვლევას ვერ ჩაგიტარებთ. აქ არ გვაქვს ამის საშუალება.

ამ ორი ისტორიის საფუძველზე, მკითხველი მიხვდება, რომ საქმე გვაქვს ორი სახის პრობლემასთან. პირველ შემთხვევაში ექიმი უპრობლემოდ, ანუ „ზაკაზით“ წერს რეცეპტს... მეორე შემთხვევაში კი დანიშნულებას ითხოვს და შესაბამისად, ჩნდება კითხვა, მაშინ რა ფუნქცია აქვს იმ ექიმს, რომელიც შტატში აიყვანა სააფთიაქო ქსელმა?

ვითარებაში გასარკვევად, „პრაიმტაიმმა“ სპეციალისტებს მიმართა და ჩვენს მკითხველს სწორედ მათ პოზიციებს გავაცნობთ:

ზურაბ ფუტკარაძე, ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყაროს“ თავმჯდომარე:

– მეც ვიყავი მომსწრე, რომ ზოგიერთ აფთიაქში ან ოთახია გამოყოფილი, ან მიმდებარე ტერიტორიაზე ჰყავთ ერთი ექიმი, ვისთანაც უშვებენ პაციენტებს. ამ პაციენტმა ექიმს რა წამალიც უნდა სთხოვოს, ყველაფერზე უწერენ ეს ექიმები რეცეპტებს. არადა, რეცეპტების შემოღების მთავარი დანიშნულება ის იყო, რომ თვითმკურნალობა არ ყოფილიყო და მიგვეღო წამლები, რომელიც ლაბორატორიული გამოკვლევებისა და ექიმის დანიშვნის შედეგად დადგინდება, რომ სჭირდება ავადმყოფს. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც თვითმკურნალობის დროს ადამიანები ოცი დასახელების წამალსაც კი იღებდნენ თვითნებურად. ახლა კი, თუ ამ ოცი დასახელების წამალს ასეთი პაციენტი აფთიაქის ექიმს სთხოვს და ისიც უპრობლემოდ გამოუწერს მასზე რეცეპტს, მაშინ რა გამოდის? რა შეიცვალა? თანაც ასეთი ექიმები უპრობლემოდ კი გასცემენ რეცეპტს, მაგრამ ერთი აკრძალვით – ამ რეცეპტით წამალი პაციენტმა იმ აფთიაქში უნდა იყიდოს, რომლის წარმომადგენელიც ეს ექიმი გახლავთ. ეს არის ყოვლად მიუღებელი. მე რომ მკითხოთ, თავის დროზე ჯანდაცვის სამინისტრომ შეცდომა დაუშვა, როდესაც მან ყველა სერტიფიცირებულ ექიმს მისცა რეცეპტის გამოწერის უფლება. ეს შეცდომაა, რადგან ამის უფლება მხოლოდ მკურნალ ექიმს უნდა ჰქონდეს. თუ ადამიანი საავადმყოფოში წევს და მერე აგრძელებს მკურნალობას ბინაზე, მას ფორმა 100 უნდა გამოატანონ და ამის მიხედვით რეცეპტი უბნის ექიმმა უნდა გამოწეროს. დღეს კი ამის უფლება ყველა სერტიფიცირებულ ექიმს ეძლევა. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ ფარმაცევტულმა კომპანიებმა ექიმები მოისყიდეს.

ზურაბ ფუტკარაძე

– მოსყიდვაში რას გულისხმობთ?

– აწერინებენ რეცეპტებს, ვინაიდან ამ კომპანიებს თავისი ბიზნესინტერესები აქვთ, რომ რაც შეიძლება მეტი წამალი გაყიდონ. ეს ყველაფერი კი, ცხადია, უარყოფითად იმოქმედებს იმ პოლიტიკაზე, რისთვისაც საერთოდ ეს ინსტიტუტი იყო შემოღებული და შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობაზეც. თუ წამალი მაინც უპრობლემოდ იყიდება, მაშინ, საერთოდ რა აზრი ჰქონდა ამ ინსტიტუტის შემოღებას? თანაც სერტიფიცირებული ექიმების 20-30 პროცენტი იცით, რომ დღეს უმუშევარია? მათაც ეძლევათ რეცეპტის გამოწერის საშუალება.

– მერე ეს შავი ფულის მოძრაობას არ წაახალისებს?

– საქმეც ეს არის. როდის ჰყავდა, აბა, ფარმაცევტულ კომპანიებს ექიმები? ახლა აიყვანეს უმუშევარი ექიმები და, ალბათ, გაყიდული წამლების რაოდენობის მიხედვით პროცენტის სახით მისცემენ ანაზღაურებას.

– ზოგადად, ცნობილია, რომ ყურის წვეთებს ნარკოდამოკიდებულები იყენებენ. ამ გზით, როდესაც ადამიანს შეუძლია აფთიაქში ასეთი ექიმისგან რეცეპტის მიღების გზით შეიძინოს ნებისმიერი წამალი, შესაძლებელია თუ არა, რომ გაიყიდოს ისეთი წამალიც, რომელიც კუსტარული ნარკოტიკის დასამზადებლად გამოიყენება?

– სრულიად შესაძლებელია... რეცეპტის შემოღება მიმართული იყო ორი ფაქტორის წინააღმდეგ – თვითმკურნალობისა და ბოლო დროს გავრცელებული ბიონარკომანიის წინააღმდეგ. მთავარი ის არის, რომ დგას კიდევ სხვა პრობლემა – ადამიანები ინტერნეტში ნახულობენ, რომ ესა თუ ის წამალი შველის, ვთქვათ, კუჭის წყლულს. ისიც ცდილობს, შეიძინოს ეს წამალი. ამ დროს შესაძლოა, რომ მას სულაც არ აწუხებდეს კუჭი და სულ სხვა დაავადება ჰქონდეს. ამიტომაც არის გამოკვლევები საჭირო და მასზე დაფუძნებული გამოწერა რეცეპტის. ის ექიმები კი არც კი კითხულობენ შენს ჩივილებს. შენ ეუბნები ჩამონათვალს და ისინიც გამოგიწერენ ყველაფერს. გამოდის, რომ შედეგად მივიღეთ მხოლოდ ქაღალდომანია და მეტი არაფერი.

> **„ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც თვითმკურნალობის დროს ადამიანები ოცი დასახელების წამალსაც კი იღებდნენ თვითნებურად“**

– ამ ინსტიტუტის ამუშავება ფასების ზრდას არ გამოიწვევს წამლებზე?

– რა თქმა უნდა, გამოიწვევს. როცა აფთიაქი დღეში 1000 ლარის წამალს ყიდდა და იქიდან მოგება 200-300 ლარი რჩებოდა, ახლა კი ყიდის 400 ლარის წამალს და მოგება 50 ლარი რჩება, ბუნებრივია, გადაწყვეტს წამალზე ფასის გაზრდას იქამდე, რომ ისევ 200 ლარი დარჩეს მოგება...

– ამ ფასების რეგულაციისთვის სახელმწიფო ინსტიტუტები არ არსებობენ?

– არა. ამ ფასებს ვერავინ დაარეგულირებს. საბაზრო ეკონომიკაა და წამალს კომპანია რა ფასსაც უნდა, იმას დაადებს... ეს ცხადია, უკმაყოფილებას გამოიწვევს მოსახლეობაში და ამიტომაც ჰყავთ ეს ექიმები დაქირავებული, რომ რაც შეიძლება მეტი წამალი გაიყიდოს. ჩემი ინფორმაციით, სექტემბერში, რაც ეს ინსტიტუტი შემოვიდა, აფთიაქებში წამლების გაყიდვამ საგრძნობლად იკლო. ამ ერთ კვირაში, აგვისტოს ერთ ნებისმიერ კვირასთან შედარებით, გაყიდვებს თუ შევადარებთ, მხოლოდ 10 პროცენტია გაყიდული. ამ პრობლემას ახლა თუ არ მიეხედა, მერე კიდევ სულ სხვა პრობლემები იჩენს თავს. თქვენ იცით, რომ დღეს ინტერნეტის საშუალებით ყველაფრის შეძენა შეიძლება, მათ შორის წამლებისაც. ეს კიდევ უფრო დიდი პრობლემა გახდება, რადგან შეიძლება ისეთი წამლებიც კი შემოვიდეს საქართველოში, რომელზეც ნებართვაც კი არ არის გაცემული ჯანდაცვის სამინისტროს მიერ. ვინ იცის ამ თემის გახმაურება არც კი ღირდეს, მაგრამ, ფაქტია, რომ ეს პრობლემაც

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ანომალია

„როცა აფთიაქი დღეში 1000 ლარის წამალს ყიდდა და იქიდან მოგება 200-300 ლარი რჩებოდა, ახლა კი ყიდის 400 ლარის წამალს და მოგება 50 ლარი რჩება, ბუნებრივია, გადაწყვეტს წამალზე ფასის გაზრდას იქამდე, რომ ისევ 200 ლარი დარჩეს მოგება...“

აუცილებლად დადგება და ჯანდაცვის სამინისტრომ ახლავე უნდა გაატაროს ამ კუთხით ზომები, თორემ მერე შეიძლება იატაკქვეშეთში კონტრაბანდული წამლების გაყიდვაც დაიწყონ.

თინიკო ტურძელაძე, ექსპერტი:

– ზუსტად ეს არის ამ სისტემის პრობლემა, რომ ეს სამედიცინო მოდელი, რომლის დანერგვაც დაიწყო ჯანდაცვის სამინისტრომ, არის ე.წ. პათოლოგიური სამედიცინო მოდელი. მას ასე უწოდებენ საერთაშორისო ექსპერტები, როდესაც ფარმაკოთერაპიის რაციონალობის კვლევას ახორციელებენ ხოლმე.

– ეს რას ნიშნავს?

– ეს ნიშნავს იმას, რომ თავად მოდელია პრობლემური და ამ მოდელით ვერ იქნება უზრუნველყოფილი ის, რაც რეცეპტის არგუმენტადაა მოყვანილი, რომ უნდა შევამციროთ წამლების არარაციონალური მოხმარება და გავაუმჯობესოთ მოსახლეობის ჯანმრთელობა. რეცეპტი რაციონალური ფარმაკოპეის საზომი ინსტრუმენტია და არა ფარმაკოპეის რაციონალიზაციის ინსტრუმენტი. იმისთვის, რომ წამლის გამოყენება რაციონალური გახდეს, ბევრი რამ არის გასაკეთებელი და ბოლო ეტაპია რეცეპტი. ჯერ უნდა დაისვას სწორი დიაგნოზი, მერე შეირჩეს მკურნალობის მეთოდი (წამლით თუ უწამლოდ). წამლის შემთხვევაში უნდა შეირჩეს სათანადო თერაპიული ღირებულების პრეპარატი (ამისთვის აუცილებელია ობიექტური ინფორმაციის ფლობა წამალზე), შემდეგ პაციენტის ადეკვატური ინფორმირება და ა.შ. და ბოლოა რეცეპტის გაფორმება, თუ ეს არ ხდება და გასაგებია, რომ ვერ ხდება ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, მაშინ რეცეპტი უფრო საშიშია, ვიდრე სასარგებლო, რამეთუ იძლევა მავნე მანევრირების საშუალებებს, თუნდაც ის, რომ წამალი ბიზნესინტერესებით დაინიშნება და არა რაციონალურად. რაც შეეხება თვითმკურნალობის მასშტაბს საქართველოში, ყველა ურეცეპტო პაციენტი, ცხადია, არ მკურნალობს თავისი გადაწყვეტილებით, მათგან დიდი წილი წამლებს ექიმების კონსულტაციით ყიდულობენ, უბრალოდ, ეს არალეგალურია, არ არის გაფორმებული და, შესაბამისად, დაბეგრილი, ამიტომ შედარებით იაფი ან ზოგჯერ უფასოც, სამწუხაროდ, ახლა ესეც პრობლემაა, ვინაიდან ოჯახის ექიმის გარდა სხვა ექიმების ლეგალური კონსულტაცია უკვე ძალიან გაძვირებს წამალსაც; ექიმის პასუხისმგებლობა, რაც უნდა ახლდეს დანიშნულების გართულებებს, საქართველოში ობიექტურად ვერ განხორციელდება ბევრი მიზეზის გამო, ეს სისტემური მიზეზებია. გამოდის, რომ რეცეპტი და პასუხისმგებლობა ფორმალურია და ვერ უზრუნველყოფს შედეგს. ამ მოდელით, როცა, მაგალითად, ანტიბიოტიკი დაინიშნება ბაქტერიული პათოგენის იდენტიფიკაციისა და მისი მგრძნობელობის ლაბორატორიული კვლევის გარეშე, დანიშნულება ვერასოდეს ვერ იქნება სწორი, იმისდა მიუხედავად, ამას ოჯახის ექიმი გააკეთებს, აკადემიკოსი თუ აფთიაქის ექიმი.

– რას იტყვით კონკრეტულად იმ ფაქტზე, რომ ზოგიერთ აფთიაქში დაუშვეს ექიმის შტატი, რომლებიც გასცემენ რეცეპტებს...

– რეცეპტის გამოწერის უფლება ყველა ექიმს აქვს, ვისაც საქმიანობის უფლება გააჩნია, ექიმთა აფთიაქში მუშაობაც დაშვებულია კანონმდებლობით, მართალია, არა საექიმო საქმიანობის განხორციელებისთვის, არამედ ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელებისთვის, მაგრამ ამისდა მიუხედავად, სისტემაში მაინც საკმარისზე მეტი მიზეზი გაჩნდა, რომ არასწორად დაინიშნოს ექიმის მხრიდან და არასწორად გამოიყენოს პაციენტმა წამალი, ეს არის ნეგატიურად მოტივირებული სისტემა, რომელიც პაციენტის იძულებაზეა აწყობილი, ის ვერ იმუშავებს და შექმნის დამატებით პრობლემებს.

თუ ეს ყველაფერი ასე დარჩა, აუცილებლად გაჩნდება შავი ბაზარიც...

ბუნებრივია, „პრაიმტაიმი“ ოფიციოზის პოზიციითაც დაინტერესდა. გთავაზობთ ინტერვიუს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ფარმაცევტული საქმიანობის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, დავით მაჭარაშვილთან:

ДАВИТ МАЧАРАШВИЛИ

– თუ დიაგნოზის დასმისა და პაციენტის გამოკვლევის გარეშე ხდება რეცეპტის გამოწერა, ეს, რა თქმა უნდა, დარღვევაა და ასეთი ქმედებისთვის კანონმდებლობაში პირდაპირ განსაზღვრულია შესაბამისი ადმინისტრაციული ზომები. მაგრამ თუ ეს ექიმი ზის და იცავს კანონმდებლობით დადგენილი პირველადი ჯანდაცვის ყველა წესს, მაშინ პრობლემა არ არის.

– კანონმდებლობით როგორ არის გათვალისწინებული?

– ექიმი პაციენტს რომ მიიღებს, მისი მოთხოვნის მიხედვით ხომ არ გასცემს დანიშნულებას? რა თქმა უნდა, მან უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს, რა სამკურნალო საშუალება ესაჭიროება მას. თუ პაციენტი მივა და ეტყვის, გამომიწერე ანტიბიოტიკიო და ისიც გამოუწერს, ცხადია, ეს დარღვევაა.

– ჩვენ დღეს ვიყავით ერთ-ერთ აფთიაქში, სადაც გაგვიმარტეს, რომ მათი ექიმი ადგილზე ვერ გაგვსინჯავს და დიაგნოზს ვერ დაგვისვამს. თუ-რმე უნდა მივიტანოთ ექიმის დანიშნულება და ადგილზე რეცეპტს გამოგვიწერენ. თუ ექიმთან ვიყავი და დანიშნულება მომცა, მაშინ იგივე ექიმი გამომიწერს რეცეპტს, არა? რაში მჭირდება მაშინ აფთიაქის ექიმი?

– „აფთიაქის ექიმი“ – ასეთი ცნება კანონმდებლობაში არ არსებობს...

– ვგულისხმობთ ექიმს, რომელიც ფარმაცევტულ დაწესებულებაში ზის, ან რომლისკენაც მიგვითითებს ფარმაცევტული დაწესებულება...

– ეს საერთოდ ძალიან უხეში დარღვევაა.

– რა ზომების გატარებას აპირებთ, ბატონო დავით?

– რა თქმა უნდა, გამოვავლენთ ამ ფაქტებს და დადასტურების შემთხვევაში გატარდება კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი ღონისძიებები. ამის ასე მიტოვებასა და რეაგირების გარეშე დატოვებას ნამდვილად არ ვაპირებთ.

– ზომები გატარდება კონკრეტული ექიმების თუ ფარმაცევტული დაწესებულებების მიმართ?

– გააჩნია, რა სახის სამართალდარღვევა გამოვლინდება.

– კიდევ ერთი კითხვა: არასამთავრობოები აცხადებენ, რომ რეცეპტის გამოწერის უფლება მიეცა ყველა სერტიფიცირებულ ექიმს, რომელთა დიდი ნაწილი დღეს უმუშევარია...

– მაპატიეთ, მაგრამ აქვე შეგაწყვეტინებთ, ვინაიდან ეს არაფერ კავშირში არ არის რეცეპტის ინსტიტუტის აღდგენასთან. ის, რომ დამოუკიდებელი საქმიანობის სუბიექტს, ანუ სერტიფიცირებულ ექიმს რეცეპტის გამოწერის უფლება რომ ჰქონდა, ეს აქამდეც იდო კანონში და ახლაც დევს. ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა. ეს არ არის კავშირში იმ რეგულაციებთან, რომელიც ძალაში პირველი სექტემბრიდან შევიდა.

ТИНИКО ТУРДЖЕЛАДЗЕ

„ეს სამედიცინო მოდელი, რომლის დანერგვაც დაიწყო ჯანდაცვის სამინისტრომ, არის ე.წ. პათოლოგიური სამედიცინო მოდელი. მას ასე უწოდებენ საერთაშორისო ექსპერტები“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა კავშირი აქვს დაჩი დარჩიას მკვლელობასთან რატი მილორავას?

EXCLUSIVE

„ჩემი ერთადერთი „დანაშაული“ ის არის, რომ ეკა ბესელიას შვილი ვარ“...

მირიან ბოქოლიშვილი

29 აგვისტოს „სქაი ბარის“ მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისში ცნობილი დიჯეი, დაჩი დარჩია მოკლეს. სამართალდამცველებმა მკვლელობაში ბრალდებული 20 წლის ახალგაზრდა მალევე დააკავეს, თუმცა მედიასა და სოციალურ ქსელებში ვრცელდებოდა ინფორმაცია ამ საქმესთან დეპუტატ ეკა ბესელიას ვაჟის, რატი მილორავას კავშირის შესახებ. ითქვა, რომ მკვლელობის მომენტში ადგილზე სწორედ რატი მილორავაც იმყოფებოდა, რომელიც თითქოს მკვლელობაში ბრალდებულის ახლო მეგობარი გახლდათ.

„ეჭვმიტანილმა, რომელიც ეკა ბესელიას შვილთან, რატი მილორავასთან ერთად იყო, დარჩიას „რამე კაის“ დაკვრა სთხოვა, რაზეც მან უპასუხა, რომ „ასეთები „სქაიში“ არ ხდება“. სწორედ ეს გახდა იმ ბიჭსა და დაჩის შორის კონფლიქტის მიზეზი. მათ შორის დაწყებული დაპირისპირება „სქაი ბარის“ დაცვამ განმუხტა, რომელმაც ეჭვმიტანილს ბარი დაატოვებინა. ამის შემდეგ ბარი მალევე დატოვა ბესელიას შვილმა, რატი მილორავამაც, ორ მეგობართან ერთად“, – წერდნენ ამ ფაქტის შესახებ ინტერნეტმედიაში.

გავრცელებულ ინფორმაციას მალევე გამოეხმაურა პირადად ეკა ბესელია, რომელიც პატივისა და ღირსების შელახვისთვის სასამართლოს მიმართავს. დეპუტატის თქმით, სასამართლოში თავის მართლება იმ ადამიანებს მოუწევთ, რომლებმაც „სქაი ბარში” მომხდარი ტრაგედია მის შვილთან დააკავშირეს.

„ყველა ამ ცილისწამებაზე სასამართლოში მიბრძანდებიან და პასუხს იქ აგებენ. უნდა დამკვიდრდეს ელემენტარული პასუხისმგებლობა იმ ადამიანების მიმართ, ვინც თავის თავს, მედიის ნაწილს უწოდებს“, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

რეალურად სად იმყოფებოდა იმ დღეს და იცნობს თუ არა მკვლელობაში ბრალდებულს რატი მილორავა? ზოგადად, ის ჟურნალისტებთან ურთიერთობას ერიდება, თუმცა გავრცელებული ინფორმაციის სიმძიმიდან გამომდინარე „პრაიმტაიმთან“ გამონაკლისი დაუშვა და განმარტების გაკეთება გადაწყვიტა.

– რატი, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ იმ დღეს შენც „სქაი ბარში“ იმყოფებოდი...

– ეს არის სრული სისულელე. იმ დღეს ფიზიკურად ვერ ვიქნებოდა „სქაი ბარში“ და ვერც ვერანაირი შეხება ვერ მექნებოდა ამ საქმესთან. ნამდვილად ტრაგედია მოხდა, ახალგაზრდა ბიჭი დაიღუპა და ძალიან სამწუხაროა. მაგრამ ზოგიერთები ამ ტრაგედიას სათავისოდ იყენებენ და შანსს არ უშვებენ, ტალახი არ ისროლონ.

– სად იმყოფებოდი იმ დღეს?

– იმ დღეს არათუ „სქაი ბარში“, საერთოდ თბილისშიც კი არ ვყოფილვარ. თბილისში ბოლო ერთ თვეზე მეტია არც ერთხელ არ ჩამოვსულვარ. ბოლო კვირა კი აჭარაში ვიმყოფებოდი, ჩემებთან ერთად, მე და ჩემი ბიძა ვიყავით 25-31 აგვისტომდე ქობულეთში, სასტუმროში, 28-ში მოძღვარი ჩამოვიდა თბილისიდან და ორი დღე მასთან და მეგობრებთან ერთად ვიყავი აჭარაში, ბათუმში ჩავდიოდი და მერე ისევ ქობულეთში ვბრუნდებოდი. თბილისში საერთოდ არ ჩამოვსულვარ თვეზე მეტია, როგორც გითხარით. ამის გადამოწმება ძალიან მარტივია. თქვენ ჟურნალისტი ხართ და შეგიძლიათ, თვითონაც გადაამოწმოთ სასტუმროში, დაუკავშირდით იმ ადამიანებს რომლებიც იმ დღეს ჩემთან ერთად იყვნენ. არ მესმის, რატომ უნდა ააგორონ ასეთი ბინძური ჭორი და არარსებული ფაქტები დააკავშირონ ჩემს სახელთან. ამ ბოლო დროს ამ დეზინფორმაციებმა საკმაოდ ინტენსიური სახე მიიღო და, მე მგონი, მიზანმიმართულად ხდება.

– და ისე თუ იცნობდი მკვლელობაში ბრალდებულს? ან თუ მეგობრობდი მასთან? ხომ შეიძლება ეს გამხდარიყო ინფორმაციის გავრცელების საფუძველი?

– არა, არასდროს მინახავს ის პიროვნება. მის შესახებ მეც მას შემდეგ გავიგე, რაც ეს ჭორი ააგორეს. არასდროს ნანახი არ მყავს ეს ადამიანი. თავიდან ვიფიქრე, ეშლებათ-მეთქი, ამიტომ მოვიკითხე ჩემს მეგობრებთან, ჩავთვალე, რომ შეცდომაში იყვნენ შეყვანილები და მიზანმიმართულად არ იტყუებოდნენ, მაგრამ, როდესაც მოვიკითხე, საერთო ნაცნობიც კი ვერ გამოვძებნე. უკვე გასაგები გახდა, რომ ამ პიროვნებასთან ჩემი სახელის დაკავშირება მიზანმიმართულად ხდებოდა.

– ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც შენი სახელი კრიმინალურ შემთხვევასთან დააკავშირეს... ამას ეკა ბესელიას პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებ, თუ რეალურად არსებობს მაინც რაღაც საფუძველი?

– არანაირი საფუძველი არ არსებობს. ჩემი ერთადერთი „დანაშაული“ ის არის, რომ ეკა ბესელიას შვილი ვარ. სხვა დანარჩენი ამბებიც ისეთივე ტყუილია, როგორც იმ დღეს „სქაი ბარში“ ჩემი ყოფნა, ან იმ საქმესთან ჩემი კავშირი. ორი აზრი არ არსებობს, რომ ჩემ მიმართ ასეთი ინფორმაციების აგორება ხდება იმიტომ, რომ ამით დედაჩემს მიაყენონ დარტყმა, ეს პირდაპირ კავშირშია ეკას პოლიტიკურ საქმიანობასთან. მაგრამ უკვე იმდენი ტალახი ისროლეს, რომ იმუნიტეტი გამოვიმუშავე. ცდილობენ დედაჩემის დისკრედიტაცია მოახდინონ ასეთი სიბინძურეების აგორებით, მაგრამ მინდა, ამ უნიჭო ჭორების ავტორებს ვუთხრა, რომ ამით ვერც მე და ვერც ეკა ბესელიას ჩრდილს ვერ მოგვაყენებენ.

– მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, რას საქმიანობს რატი მილორავა, რომელიც ხშირად ხდება სკანდალური ინფორმაციების ეპიცენტრში...

– ამჟამად პოლონეთის უნივერსიტეტში ჩავაბარე და იქ ვაგრძელებ სწავლას. ბიზნესისა და მართვის სპეციალობა ავირჩიე. ეს საქმე მომწონს და სამომავლოდ ჩემი ბიზნესის დაწყებას ვფიქრობ. ბავშვობიდან მინდა ჩემი საკუთარი საქმე მქონდეს. ვნახოთ, რა იქნება მომავალში. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არ ვაპირებ კრიმინალურ საქმიანობას, როგორც მომაწერენ ხოლმე. ის კი არა, პოლიტიკაც საერთოდ არ მაინტერესებს. ვაპირებ, ვისწავლო და ჩემი საქმე გავაკეთო, მაგრამ იმის გამო, რომ დედაჩემი პოლიტიკაშია, ხშირად ვხდები უსაფუძვლო ბრალდებების სამიზნე. საერთოდ, ინტერვიუების მიცემაც და თავის წარმოჩენაც არ მიყვარს, ახლაც მხოლოდ იმიტომ დაგთანხმდით, რომ ასეთ მძიმე ტრაგედიას სათავისოდ იყენებენ და სრულიად უსაფუძვლოდ უკავშირებენ ჩემს სახელს. ამიტომ არ ვთქვი უარი. მეტიც, შეიძლება ჩემს ნათქვამში ვინმემ ეჭვი შეიტანოს, ამიტომ შეგიძლიათ მიმართოთ სასტუმროს ადმინისტრაციას, გამოითხოვოთ შესაბამისი ცნობა და დარწმუნდებით, რომ იმ დღეს თბილისში საერთოდ არ ვიმყოფებოდი. ძალიან საწყენია, როცა ასეთ სიბინძურეებს ავრცელებენ.

„პრაიმტაიმმა“ სასტუმრო „ჯორჯია პალასიდან“ მართლაც გამოითხოვა რატი მილორავას შესახებ ინფორმაცია, მისივე თანხმობის საფუძველზე. მოწოდებული ინფორმაციით, ირკვევა, რომ 29 აგვისტოს მილორავა მართლაც ქობულეთში, სასტუმრო „ჯორჯია პალასში“ ისვენებდა.

დასახელება: შ.პ.ს "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია"-ს ფილიალი "Georgia Palace Hotel"
საიდენტიფიკაციო № 201 948 063
მისამართი: ქ.ქობულეთი
დადმაშენებლის გამზ. № 275
ბანკი: "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის №GE12BG0000000763070300

GPH ★★★★★

Mr.
Sergo Beselia

Mr.Rati Milorava

Room:	418
Arrival:	25.8.2014
Departure:	31.8.2014
Reservation No	152894
Page:	1/2
Invoice	No 21936

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ცვლილებები იგე

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

სატელევიზიო ცვლილებები ყოველთვის საინტერესოა, მით უფრო, როდესაც წამყვანი ჟურნალისტები, პროდიუსერები და საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელები ერთი არხიდან მეორეზე გადადიან. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ იგივე პროცესი მიმდინარეობს „რუსთავი 2“-ზე. როგორც ამბობენ, საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი, გიორგი ლაფერაშვილი შესაძლოა, საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადავიდეს. ითქვა, რომ ლაფერაშვილთან ერთად მაუწყებელზე ნინო შუბლაძე და კიდევ რამდენიმე „რუსთავი 2“-ელიც შეიძლება გამოჩნდეს, თუმცა თავად შუბლაძე აღნიშნულ ინფორმაციას უარყოფს და აცხადებს, რომ ჯერ კიდევ დასვენების პროცესშია.

ნინო შუბლაძე, ჟურნალისტი:

– მსგავსი არაფერი გამიგია პირადად მე, ვისვენებ, ჯერჯერობით სახლში ვარ.

რაც შეეხება „რუსთავი 2“-ის საინფორმაციოს ხელმძღვანელს, ის ადასტურებს ინფორმაციის არსებობას, თუმცა, როგორც ლაფერაშვილი აცხადებს, მასთან კონკრეტული შეთავაზებით ჯერ არავინ გამოჩენილა.

გიორგი ლაფერაშვილი, „რუსთავი 2“:

– მეც გავიგე მსგავსი ინფორმაცია, ჟურნალისტები მოდიან და მეკითხებიან, სად მიდიხარო... ამის მეტი ინფორმაცია არ მაქვს.

– შემოთავაზება თუ იყო, ან თუ გქონდათ საუბარი ამ თემაზე?

– ამ ეტაპზე არავისთან არ მქონია საუბარი „პირველ არხზე“ გადასვლასთან დაკავშირებით, არც შემოთავაზება ყოფილა, მხოლოდ კითხვები მოდის ჟურნალისტებიდან, რეკავენ და მეკითხებიან, მართალია თუ არა აღნიშნული ინფორმაცია.

– თუ იქნება მსგავსი შემოთავაზება, დაფიქრდებით?

– ჯერჯერობით ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს იქ, სადაც ვმუშაობ.

„რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ახალი სეზონიდან ეთერში აღარ გავა პოლიტიკური თოქშოუ „პოზიცია“. **პაატა იაკობაშვილის** განცხადებით, მისთვის კონკრეტული მიზეზი უცნობია.

დავით კიკალიშვილი: „თუ კონკურენცია იქნება, მით უკეთესი, რაც უფრო მეტი გადაცემა გავა ჩვენს სატელევიზიო სივრცეში და ერთმანეთს შეეჯიბრებიან, მაყურებელიც უკეთეს გადაცემებს მიიღებს“

ლევან ჯავახიშვილი: „არსად წასვლას არ ვაპირებ“

პაატა იაკობაშვილი, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი:

– დიახ, გადაცემა აღარ გავა ეთერში. ასე გადაწყდა. დაასრულა თავისი დრო და ჯერჯერობით ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ.

– რამე ახალ გადაცემაზე ხომ არ მუშაობთ?

– ჯერჯერობით არა, მერე ვნახოთ.

უკვე ცნობილია რომ „რუსთავი 2“-ის ცნობილი ტელეწამყვანი, მაია ასათიანი ახალ არხს უხელმძღვანელებს. „ქალთა არხი“ ეთერში უახლოეს მომავალში გავა.

კიდევ უფრო მეტი სიახლის მოლოდინშია „რუსთავი 2“-ის კონკურენტი ტელევიზია. „იმედზე“ ცვლილებების ჯაჭვი უკვე რამდენიმე თვეა, გრძელდება და, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დიდხანს არ დასრულდება. არხის გაევროპულებაზე კვლავ ნათია აბრამია მუშაობს. რამდენად კმაყოფილია თავად უცხოეთიდან ჩამოყვანილი ჟურნალისტი, უცნობია, რადგან კომენტარების გაკეთებაზე ის ყოველ ჯერზე უარს აცხადებს. თუმცა როგორც ტელევიზიიდან გამოდის ხმები, თავად ჟურნალისტები არ არიან კმაყოფილები. მიზეზი ნათია აბრამიასგან მიღებული მეილებია. როგორც ამბობენ, ჟურნალისტის გაშვების გადაწყვეტილების მიღებისას მას სამი თვის კომპენსაცია უნდა აუნაზღაურონ. იმ შემთხვევაში კი, თუ არხზე მომუშავე ჟურნალისტს ორ გაფრთხილებას მისცემენ, მაშინ ხელმძღვანელობას უფლება აქვს, მესამე შენიშვნისთანავე ის ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და რაც მთავარია, კომპენსაციის გარეშე გაუშვას. სწორედ ამ მეთოდს მიმართავენ აბრამიას რჩევით ხელმძღვანელები. შენიშვნებს კი სწორედ აბრამია უგზავნის ჟურნალისტებს, ოღონდ მეილით და არა პირადი შეხვედრების დროს. მსგავსი მეილი არაერთმა ჟურნალისტმა მიიღო. ყველა მათგანი მესამე გაფრთხილების მოლოდინშია, ნაწილი კი ცდილობს, აბრამიას ასეთ მეთოდს დაასწროს და არხი საკუთარი სურვილით დატოვოს. რაც შეეხება გაფრთხილებებს, ის სხვადასხვა საკითხს ეხება. მაგალითად, ინფორმაციების მოპოვების ნაკლებობას, ან ნაკლებად აქტიურობას. დაწუნებული ჟურნალისტების შემცვლელებად

პაატა იაკობაშვილი: „დიახ, გადაცემა აღარ გავა ეთერში. ასე გადაწყდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მაესტრო

აბრამიას სურვილით „იმედზე“ უკვე გადავიდნენ ინტერნეტგამოცემების წარმომადგენლები. თუმცა „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, აბრამია თავადვე იყო უკმაყოფილო მისი ინიციატივით გადაყვანილი ჟურნალისტების მიერ მომზადებული სიუჟეტებით.

მომდევნო ცვლილება, რომელიც იმედზე განიხილება, არ არის ცნობილი, რამდენად კავშირშია ნათია აბრამიასთან, თუმცა დადასტურებული ფაქტია, რომ 8-საათიან „ქრონიკას“ „იმედზე“ ლევან ჯავახიშვილის ნაცვლად თეა სიჭინავა წაიყვანს. როგორც ამბობენ, ჯავახიშვილის გაშვება გადაწყვეტილია, თუმცა თავად წამყვანი ინფორმაციას ნაწილობრივ ადასტურებს.

ლევან ჯავახიშვილი, „იმედის“ ტელეწამყვანი:

– არსად წასვლას არ ვაპირებ.

– ითქვა, რომ თეა სიჭინავა წაიყვანს თქვენს მაგივრად საინფორმაციოს.

– მერე რა, რომ თეა წაიყვანს ჩემს მაგივრად საინფორმაციოს?

– ანუ ეს სიმართლეა?

– კი, ეს სიმართლეა. მაგრამ მე არსად არ მივდივარ.

– რატომ მოხდა ჩანაცვლება?

– ეს მე არ ვიცი.

რამდენიმე დღის წინ სამსახური დატოვა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციოსამსახურის უფროსმა.სოფო მოსიძე მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურს უხელმძღვანელებს.

„იმედზე“ იგივე დღეს და იგივე დროს გავა ინგა გრიგოლიას გადაცემა „რეაქცია“, თუმცა გრიგოლია კიდევ ერთი, ახალი გადაცემისთვის ემზადება. მისი განცხადებით, დეტალების გარკვევა სწორედ ახლა მიმდინარეობს.

ინგა გრიგოლია: „რეაქცია“ როგორც ადრე გადიოდა ეთერში, ყოველ პარასკევს, ისევ ისე გავა. განიხილება კიდევ ერთი ახალი გადაცემა, რომელიც კვირას უნდა გავიდეს ეთერში“.

სავარაუდოდ, გრიგოლიას ახალი გადაცემა „რუსთავი 2“-ის P.S.-ის დროს დაემთხვევა. შესაბამისად, საინტერესოა, რამდენად მოახერხებს ერთი გადაცემა მეორისთვის კონკურენციის გაწევას. კონკურენციის ნაკლებად ეშინია დავით კიკალიშვილს. მისი განცხადებით, ის ჩვეულ რეჟიმში ემზადება ახალი სეზონისთვის და აცხადებს, რომ P.S.-ს პირველ ეტაპზე მხოლოდ ერთი ახალი რუბრიკა დაემატება.

დავით კიკალიშვილი, P.S.-ის წამყვანი:

– დიდად არაფერი იცვლება ჯერჯერობით, ჩვეულებრივი გადაცემა იქნება, ერთი რუბრიკა ემატება ევროპასთან დაკავშირებით, მეტი არაფერი.

– როგორც ითქვა, შეიძლება ინგა გრიგოლიას გადაცემა დაემთხვას კვირას...

ნინო შუბლაძე: „მსგავსი არაფერი გამიგია პირადად მე, ვისვენებ, ჯერჯერობით სახლში ვარ“

– ამასთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, ვინ აკეთებს, როგორ და ასე შემდეგ, ეს ერთი და მეორეც, თუ კონკურენცია იქნება, მით უკეთესი, რაც უფრო მეტი გადაცემა გავა ჩვენს სატელევიზიო სივრცეში და ერთმანეთს შეეჯიბრებიან, მაყურებელიც უკეთეს გადაცემებს მიიღებს.

„იმედი“ არხი ახალი ჟურნალისტების ძიებაშია. იქ უკვე გადავიდა მაუწყებლიდან ორი ჟურნალისტი – ქეთი ბოჯგუა და სოფო ოხანაშვილი. სავარაუდოდ, ჟურნალისტების გადადინების პროცესი კიდევ გაგრძელდება.

ცვლილებებია „მაესტროზეც“. რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერმა, ტატა გამყრელიძემ დატოვა. უფრო სწორად გაათავისუფლეს, თანაც ისე, რომ თავად პროდიუსერისთვის იყო ეს სიახლე... ტატა გამყრელიძე განთავისუფლების შემდეგ აცხადებდა, მე თვითონაც გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გავიგეო.

ტატა გამყრელიძე:

– გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გავიგე თავადაც, რომ იქ აღარ ვარ. რატომ არის ეს საინტერესო მედიისთვის, ამას გულწრფელად ვერ ვხვდები. რაიმე განსაკუთრებული მიზეზი არ ყოფილა, უბრალოდ, ასე გადავწყვიტეთ მეც და ხელმძღვანელობამაც. ჯერჯერობით არ ვიცი, სად გავაგრძელებ საქმიანობას. ეს ერთობლივი გადაწყვეტილება იყო.

“მაესტროზე” კიდევ ერთი სიახლეა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ არხზე თოქ-შოუს კოკა ყანდიაშვიოლი გააკეთებს.

„მაესტროზე“ საუბარი მამუკა ღლონტმა არ ისურვა. მისი განცხადებით, ის რადიოს საკითხებშია ჩართული და ტელევიზიის ოფისში უკვე თვეებია, არც კი ყოფილა...

მამუკა ღლონტი, „მაესტროს“ ხელმძღვანელი:

– რადიო „მაესტროს“ რაც შეეხება, ეს არის ლიდერი რადიო. ჩვენ დავიწყეთ ძალიან საინტერესო ახალი რუბრიკების კეთება, ეს არის საინფორმაციო ამბები, რუბრიკები, სამედიცინო ამბები, სამოგზაურო ამბები. გარდა ამისა, გვქონდა ძალიან კარგი ხანგრძლივი რუბრიკა „საქართველოს ისტორია“ და ამ მიმართულებითაც ვაპირებთ გაგრძელებას. ახალი იქნება ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიები, რომელიც პატარ-პატარა რუბრიკებად დაიყოფა. განსაკუთრებით სიახლე იქნება მანდილოსნებისთვის, იგივე სამზარეულოს თემებზე, ფარმაცევტიკაზე, თავის მოვლასთან დაკავშირებით.

გიორგი ლაფერაშვილი: „მეც გავიგე მსგავსი ინფორმაცია, ჟურნალისტები მოდიან და მეკითხებიან, სად მიდიხარო“

მამუკა ღლონტმა ტელევიზიის მენეჯმენტთან გადაგვამისამართა, თუმცა ბაია გადაბაძესთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„რთველი 2014“-ის ფარგლებში მევენახეების შემოსავა

თამარ გორთამაშვილი

კახეთის რეგიონში რთველი გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ გლეხს ყურძნის მოსავლის ნაწილი ჯერ გვალვამ, შემდეგ კი სეტყვამ გაუნადგურა, მევენახეები შემოსავალს არ უჩივიან. ღვინის ქარხნების მიერ გადამუშავებული ყურძნის რაოდენობა უკვე 5-ჯერ მეტია, ვიდრე შარშან ანალოგიურ პერიოდში. 6 სექტემბრის მონაცემებით უკვე გადამუშავებულია 18 ათას ტონაზე მეტი მოსავალი.

რთველის დაწყებისთანავე საფერავზე უპრეცედენტოდ მაღალი ფასი დაფიქსირდა - 1 კილოგრამზე 1.50 ლარი, თუმცა რამდენიმე დღეში გლეხმა ის 2.35 ლარამდე გაზარდა... 6 სექტემბერს ფასმა 1 კგ. საფერავზე 3.40 ლარს მიაღწია. თავისუფალი ბაზრის პრინციპიდან გამომდინარე, ფასს ღვინის მწარმოებლები გლეხებთან მოლაპარაკებით, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ადგენენ, ასე ვთქვათ, ფასი მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად განისაზღვრება. ფასის მატებამ ღვინის მწარმოებლებს პრობლემები შეუქმნა, რადგან, ბუნებრივია, თუ ნედლეულში ბევრს გადაიხდი, პროდუქტიც უნდა გააძვირო, რაც არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში არც სახელმწიფოს აწყობს და არც ღვინის კომპანიებს. ამის გამო ღვინის მწარმოებლებმა ფასის 1.50 ლარამდე დაწევა სცადეს, რასაც გლეხების უკმაყოფილება და საპროტესტო აქციაც კი მოჰყვა...

იმ დროს, როდესაც ბუნებრივმა კლიმატურმა პირობებმა წელს ყურძნის მოსავალი და მისი ხარისხი ისედაც შეამცირა, რთველის პროცესის შეფერხებამ და ჩაშლის მცდელობამ საბოტაჟის სახე მიიღო... ეჭვის საფუძველი ნამდვილად არსებობს, რადგან წლევანდელ რთველზე ყურძნის ფასი ისედაც ისტორიულ მაქსიმუმს შეადგენს. მაგალითად, საფერავის ფასი შარშანდელთან შედარებით 50 %-ით მეტია. გარდა ამისა, სახელმწიფოს ხელშეწყობით, მოსახლეობას დაზიანებული ყურძნის ჩაბარების პრობლემაც არ შექმნია. აქედან გამომდინარე, მევენახეების მხრიდან ფასის გაპროტესტებამ და რთველის შეფერხების მცდელობამ, მართლაც გააჩინა ეჭვი, ხომ არ იყო ეს პროცესი ხელოვნურად მართული?!

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის ლევან დავითაშვილის გაცხადებით, სახელმწიფო ფასების რეგულაციაში არ ჩაერევა და ფასს ბაზარი არეგულირებს. მისივე თქმით, საქართველოში დასრულდა ის დრო, როდესაც სახელმწიფო უხეშად ერეოდა რთველის პროცესში, თავად განსაზღვრავდა ყურძნის ფასს და კერძო სექტორის კონკურენტი ხდებოდა.

დავითაშვილმა კიდევ ერთხელ მოუწოდა მევენახეებს, აგროვადების დაცვით მოახდინონ ყურძნის კრეფა და არ შეაფერხონ რთველის პროცესი, რადგან არსებულ კლიმატურ პირობებში ყოველი დამატებითი დღე ყურძნის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს, რაც მის ფასზეც აისახება.

გელა არევაძე: „სიმართლე უნდა ითქვას, წინა წლებთან შედარებით სოფლად სიტუაცია გაუმჯობესებულია. ყველა ჩვენ გვეხმარება, წელსაც ყველაფერი მოგვცეს. როგორ უნდა ვინუნუნო?!“

„პრაიმტაიმი“ ადგილზე შეეცადა სიტუაციის გარკვევას და კახეთს ესტუმრა. ამ დროისთვის სიტუაცია დარეგულირებულია და უპრეცედენტოდ მაღალი ფასის მიუხედავად, ღვინის მწარმოებლები საფერავის მიღებას განაგრძობენ, თუმცა შიშობენ, რომ საბოლოოდ ეს პროდუქციის ფასზე იმოქმედებს, ამიტომ არ გამორიცხავენ ალტერნატიული ბაზრის მოძიებას, უცხოური იაფი ნედლეულის შეძენას და მის გადამუშავებას. ღვინის მწარმოებლებს და გლეხებს „პრაიმტაიმი“ ადგილზე გაესაუბრა.

ზურაბ მარგველაშვილი („თბილღვინო“): - აღსანიშნავია, რომ რთველი დაიწყო მაღალი და სპეკულაციური ფასით. თავიდან, 5 დღის განმავლობაში ხდებოდა შედარებით სამართლიანი ფასის გადახდა. ვგულისხმობთ იმას, რომ ყურძნის მიღება ხდებოდა 1,5 - 1,6 ლარად და აქედან გლეხის მოგება შეადგენდა 1 ლარს. დღეს ფასმა უკვე 2 ლარს გადააჭარბა და ფაქტობრივად, ქართული მეღვინეობის ბედი საკმაოდ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ არის. იმიტომ, რომ 2 ლარად და მეტად შეძენილი ყურძნიდან მიღებული სუფრის წითელი ღვინის გაყიდვა, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება და არამგონია, რომ ეს დადებითად აისახოს ქართული ღვინის გაყიდვებზე. ბუნებრივია, რომ ყურძნის გაზრდილი ღირებულება საბოლოო გაყიდვებზე მოქმედებს, იმიტომ, რომ ყურძნის ფასი თუ გაიზრდება, გასაყიდი ღვინის ფასიც უნდა გაიზარდოს. რამდენად მზად იქნება ჩვენი საერთაშორისო ბაზრები, რომ გლეხის მიერ გაზრდილი ფასის გამო, მეტი გადაიხადოს ქართულ ღვინოში, რთული სათქმელია.

ზურაბ მარგველაშვილი: „ადამიანების შრომას აქვს აზრი, როცა მისი შრომის ფასი არის სამართლიანი და თუ შრომის ფასი სამართლიანობას მნიშვნელოვნად ასცდება და პროვოკაციული და სპეკულაციური გახდება, ალბათ, ასეთ დროს ბიზნესის წესია და ბიზნესი ცდილობს, რომ გონივრული ალტერნატივა შეიქმნას“

- რატომ მოხდა, ისედაც უპრეცედენტოდ მაღალი ფასის კიდევ უფრო გაზრდა, ფასს ხომ კომპანიები მევანეხეებთან მოლაპარაკებით ადგენთ?

- ასე გადაწყვიტა ყურძნის მეპატრონეების ნაწილმა... რა თქმა უნდა, რაც მეტს მიიღებენ, უკეთესია. თუმცა აქ არის ერთი მომენტი - ე.წ. დამამზადებლის ინსტიტუტი. არიან კეთილსინდისიერი დამამზადებლები, რომლებიც, ასე ვთქვათ, წინასწარ დაკვეთებს ასრულებენ და არიან დამამზადებლები, რომლებიც გლეხებს პრაქტიკულად ეუბნებიან, რომ არ დაკრიფონ ყურძენი. ამას მოჰყვება ის, რომ ზოგიერთი კომპანია თავს ვერ შეიკავებს, ცდუნებას აჰყვება და მერე, როცა დამამზადებელს დაიყოლიებს, ისიც მაღალ ფასს ახდევინებს. სამწუხაროდ, სწორედ ეს არის ის პროცესი, რა პროცესშიც ჩვენ ვიმყოფებით. ეს არის სპეკულაცია. არაკეთილსინდისიერი მცდელობა ყურძენზე არასამართლიანი ფასის დაფიქსირებისა.

- როგორ აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას?

- ამ პრობლემის მოგვარების რამდენიმე გზა არსებობს. რადგან ასე უაზროდ და სპეკულაციურად იზრდება ფასი, აჯობებს სახელმწიფო ჩაერიოს, რომ ღვინის კომპანიებსა და გლეხებს შორის არ იყოს შუალედური რგოლი - ე.წ. დამამზადებელი... მეორე გზა არის ის, რომ ვინაიდან ასეთი არანორმალური გახდა ფასი, ჩვენ, ალბათ, ვიფიქრებთ მაღალხარისხიანი ღვინომასალის იმპორტი სხვა ქვეყნებიდან მოვახდინოთ. მესამე არის ის, რომ კომპანიებმა დავიწყოთ საკუთარი ვენახების გაშენება და ამით ეს პრობლემა გარკვეულწილად დაბალანსდება. იმ გლეხზე, რომელიც უსამართლო ფასს აფიქსირებს, ფასზე დამოკიდებულება მინიმალურზე დავიდეს.

- თქვენ წელს უკვე რამდენის მიღება მოახერხეთ და რა ფასად?

- ჩვენ შეძენილი გვაქვს 700 ტონა საფერავი, დაახლოებით 300 ტონა რქაწითელი. საშუალო ფასის თქმა მიჭირს, რადგან ყოველდღე სხვადასხვა ფასებია.

- თქვენ საფერავზე უკვე გაზრდილი ფასი გადაიხადეთ, 2 ლარზე მეტი?

- რთველის დასაწყისში ვიხდიდით 2 ლარამდე. რადგან თავიდანვე ასეთი აჟიოტაჟი ატყდა, გადავწყვიტეთ 2 ლარზე მეტი არ გადაგვეხადა და პარალელურად, დაგვესაბუთებინა ჩვენს კოლეგებთან ერთად, რომ ეს არის ძალიან მაღალი ფასი. 1,5-1,6 ლარი ნიშნავს იმას, რომ 1 ლარი გლეხს მოგება რჩება და მინდა აღვნიშნო, რომ სუფრის წითელ ღვინოებში, ქართული ღვინის კომპანიების უმრავლესობას 1 ლარი მოგება ნამდვილად არ რჩება... ამიტომ გვაქვს ასეთი, საკმაოდ რთული სიტუაცია.

- თქვენ შეწყვიტეთ საფერავის შეძენა თუ აგრძელებთ?

- ვაგრძელებთ საფერავის შეძენას, იძულებულები ვართ, რომ გარკვეული რაოდენობა ვიყიდოთ, მაგრამ ჩვენ ვიყიდით იმაზე ბევრად ნაკლებს, ვიდრე დაგეგმილი გვქონდა, რადგან ჩვენ ფინანსურ შესაძლებლობებს აქვს თავისი ზღვარი. ჩვენ გარკვეული თანხა გვაქვს გამოყოფილი იმისთვის, რომ შევიძინოთ ყურძენი და ეს თანხა რა რაოდენობისთვისაც გვეყოფა იმ რაოდენობის ყურძენს ვიყიდით.

- თუ თქვენ მსგავსად სხვა კომპანიებმაც გადაწყვიტეს ნედლეულის შემოტანა, ეს მომავალში ხომ ისევ გლეხებზე იმოქმედებს, რადგან მათ შრომას ფასი დაეკარგება...

- ადამიანების შრომას აქვს აზრი, როცა მისი შრომის ფასი არის სამართლიანი და თუ შრომის ფასი სამართლიანობას მნიშვნელოვნად ასცდება და პროვოკაციული და სპეკულაციური

ზურაბ მარგველაშვილი: „რადგან ასე უაზროდ და სპეკულაციურად იზრდება ფასი, აჯობებს სახელმწიფო ჩაერიოს, რომ ღვინის კომპანიებსა და გლეხებს შორის არ იყოს შუალედური რგოლი - ე.წ. დამამზადებელი... “

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლი, 6 სექტემბრის მდგომარეობით, 30 მილიონამდე ლარია

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2014 წლის 8 თვეში (იანვარ-აგვისტო) საქართველოდან ღვინის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 83%-ით გაიზარდა და 118 მლნ.$-ზე მეტი შეადგინა. 38 ქვეყანაში ექსპორტირებულია 36 მილიონ ბოთლზე მეტი, რაც 69%-ით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს

ზურაბ რამაზაშვილი: „კომპანიების მხრიდან არის იმის შიში, რომ შეიძლება შეიქმნას დეფიციტი, ამან კი, გარკვეულწილად, ფასის მატება გამოიწვია. დღეს თავისუფალი ბაზარია და გლეხებსა და კომპანიებს შორის ყოველთვის ინდივიდუალური მოლაპარაკება ხდება“

EXCLUSIVE

გახდება, ალბათ, ასეთ დროს ბიზნესის წესია და ბიზნესი ცდილობს, რომ გონივრული ალტერნატივა შეიქმნას. ჩვენ არ გვინდოდა ამის გაკეთება, მაგრამ წლევანდელი რთველი იძულებულს გვხდის, რომ ძალიან სერიოზულად დავფიქრდეთ იმაზე, თუ რამდენად გვიღირს მომავალ წლებში ასეთ სპეკულაციურ ფასებთან გვქონდეს საქმე. მსოფლიოში დიდი კონკურენციაა მეღვინეობაში. არც ერთ კონკურენტ ქვეყანაში ფასები არ იზრდება, საქართველოში კი ქართულ ღვინოზე ყოველთვის იზრდება ფასი, რადგან გლეხი ზრდის მას. აქედან გამომდინარე, არამგონია, რომ საერთაშორისო მომხმარებელი მზად იყოს, რომ გლეხის მიერ გაზრდილი ფასის გამო, ყოველ წელს მეტი გადაიხადოს ქართულ ღვინოში.

შედარებით უკეთეს სიტუაციაშია „თელავის ღვინის მარანი“, რადგან ის საკუთარ ვენახს ამუშავებს და მხოლოდ გლეხის ყურძენზე არ არის დამოკიდებული. თუმცა გლეხებისგან ამ დროისთვის 400 ტონამდე საფერავი აქვს შეძენილი.

ზურაბ რამაზაშვილი („თელავის ღვინის მარანი“): - წელს საფერავზე ფასთა დიდი სხვაობა იყო 1,6 ლარიდან 2,1 ლარამდე. ეს, პირველ რიგში, იმან განაპირობა, რომ ცუდი მოსავალია, გვალვა იყო და ამის გამო მოსავლის მოლოდინი ისეთი არ არის, როგორც შარშან იყო. კომპანიების მხრიდან არის იმის შიში, რომ შეიძლება შეიქმნას დეფიციტი, ამან კი, გარკვეულწილად, ფასის მატება გამოიწვია. დღეს თავისუფალი ბაზარია და გლეხებსა და კომპანიებს შორის ყოველთვის ინდივიდუალური მოლაპარაკება ხდება. გააჩნია ხარისხს და იმ დღეს დაფიქსირებულ ფასს. სხვადასხვა დღეს სხვადასხვა ფასებია, მოწოდების შესაბამისად.

- მაღალი ფასის პირობებში თქვენი კომპანია რას მოიმოქმედებს, ღვინის ფასსაც ხომ გაზრდის?

- აუცილებლად გაზრდის და საკმაოდ დიდი ხიფათი იმალება ამაში, იმ თვალსაზრისით, რომ თუ ყურძნის ფასმა ნიშნულს გადააჭარბა, (ეს ნიშნული რეალურად არის 2 ლარიდან ზევით), ამ შემთხვევაში ღვინის გასაყიდი, საბაზრო თაროს ფასი, სცილდება საშუალო ნიშნულს, რომელშიც მოთავსებულია ქარხნების უმრავლესობა და ამან შეიძლება გამოიწვიოს ჩვენი ღვინის, სხვა უფრო მაღალ კატეგორიაში გასვლა, რაც ერთმნიშვნელოვნად შეამცირებს გაყიდვის მოცულობას.

- რას აპირებთ? გააგრძელებთ საფერავის გაზრდილ ფასში მიღებას, თუ გლეხებს მოელაპარაკებით?

- მოლაპარაკება აქ უშედეგოა, რადგან, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ გლეხი არ გაყიდის იაფად, ჩვენ, შესაბამისად, ვერ შევძლებთ იაფად შესყიდვას და თუ ასე გაგრძელდა, ვფიქრობ, რომ ეს ფასი შეიძლება უკვე მიუღებელი გახდეს.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს პროცესი ხელოვნურად მართულია?

- იცით რა მოხდა? ძალიან მკვეთრად გაიზარდა ქართული ექსპორტი რუსეთში და ამან გამოიწვია მევენახეთა შორის აზრის წარმოშობა, რომ ღვინო რეალურად ძალიან ძვირად იყიდება და ღვინის კომპანიები იღებენ ზედმეტ მოგებას. მევენახეებმა გადაწყვიტეს თავისი უფლებები დაიცვან. ეს, რასაკვირველია, მათი უფლებაა და გადაწყვიტეს ფასი აწიონ. ეს სოფლის დონეზე ხდება. მეზობლები, მევენახეები შეიკრიბებიან და იტყვიან, ისინი ამდენს შოულობენ და ჩვენც ფასები გავზარდოთო. აი, ასე ხდება ეს ყველაფერი.

- და თქვენც იძულებული ხართ წახვიდეთ ამაზე...

- სხვა რა გამოსავალი გვაქვს, მაგრამ ჩვენ უკეთესი სიტუაციში ვართ იმ თვალსაზრისით, რომ გვაქვს საკუთარი ვენახები, საკმაოდ დიდი მოცულობის. შესაბამისად, ყურძნის მოყვანა უფრო იაფი გვიჯდება და შეგვიძლია ნორმალური საბაზრო ფასი დავიჭიროთ.

კომპანიებისგან განსხვავებით, საფერავის ფასით, კმაყოფილი არიან გლეხები. „ახაშენელმა“ გელა არევაძემ წელს 2 ტონა საფერავი დაკრიფა და მიუხედავად იმისა, რომ გვალვისგან და სეტყვისგან დაზიანებული იყო, მაინც მაღალ ფასში - 1,5 ლარად ჩააბარა. ახლა რქაწითელის მოსავალს აიღებს და იმედი აქვს, რომ ამ შემთხვევაშიც დიდ მოგებას ნახავს. 50 წლის გელა არევაძე 2 ჰა ვენახთან ერთად, ბოსტანსაც ამუშავებს და ექვსსულიან ოჯახს წლიდან წლამდე ასე ინახავს. მიუხედავად იმისა, რომ ვენახი სეტყვამ და გვალვამ გაუფუჭა, უკმაყოფილო არ არის და ამბობს, რომ დახმარება, რომელიც სახელმწიფოსგან მიიღო, უფრო მეტი ინვესტიციის სტიმულს აძლევს.

გელა არევაძე: - სიმართლე უნდა ითქვას, წინა წლებთან შედარებით სოფლად სიტუაცია გაუმჯობესებულია. ყველა ჩვენ გვეხმარება, წელსაც ყველაფერი მოგვცეს. როგორ უნდა ვიწუწუნო?! ერთი ის იყო, რომ წელს გვალვამ და სეტყვამ გაგვიფუჭა ვენახი, მაგრამ მიუხედავად ამისა, წაგებაში არ ვარ... სეტყვა და სიცხე რომ არ ყოფილიყო უკეთესი მოსავალი მექნებოდა, მაგრამ მაინც არ ვუჩივი...

- გვალვამ და სეტყვამ რამდენად გაზარალათ?

- წელს 2 ტონა საფერავი დავკრიფე. ახლა რქაწითელი მაქვს დასაკრეფი. ქარხნების გახსნას ველოდებით, რომ საფერავი დავკრიფოთ.

- რაც შეეხება საფერავის ფასს, თავიდანვე მაღალი ფასი 1,5 ლარი დაფიქსირდა, მაგრამ შემდეგ გლეხებმა აწიეს. რატომ მოხდა ეს? არ გაწყობდათ ეს 1,5 ლარი?

- რაც მეტი იქნება უფრო უკეთესი არ არის?! ფასი იმიტომ გაიზარდა, რომ მოსავალი სეტყვამ გააფუჭა და ნაკლები მიიღო გლეხმა.

- თქვენ რამდენად ჩააბარეთ საფერავი?

- ძალიან გაფუჭებული იყო და 1,5 ლარად ჩავაბარე.

- მიუხედავად იმისა, რომ გაფუჭებული იყო 1,5 ლარი მაინც გადაგიხადეს?

- დიახ. დასეტყვილი იყო და ნელ-ნელა ფუჭდებოდა, ხარისხი აკლდებოდა, ამიტომ 1,5 ლარად ჩავაბარე.

- კმაყოფილი ხართ?

- რა თქმა უნდა. ახლა რქაწითელი მაქვს დასაკრეფი. მანამდე მინდა, რომ შევიდე ქარხნებში და გავიგო ვინ როგორ ჩაიბარებს. ჯერ რქანითელის მიღება ისე არ არის დაწყებული, რომ ჩავაბარო. პრეტენზია არც მე მაქვს და არც სხვას...

- რქაწითელში უფრო დიდ მოსავალს ელოდებით, თუ საფერავმა უფრო მეტი მოგება მოგცათ?

- საფერავი, რა თქმა უნდა, ყოველწლიურად უფრო მაღალ ფასში ბარდება და რქაწითელს, ყოველწლიურად, საფერავთან შედარებით დაბალი ფასი აქვს...

- წელს რამდენია რქაწითელის ჩაბარების ფასი?

- ჯერ არ ვიცი, ვერ გეტყვით. როგორც თქვეს, ფასი 1 ლარიდან და ზემოთ იქნებაო... ფაქტობრივად, ყურძენი არ არის და ვფიქრობ, ჩაუბარებელი არ დაგვრჩება. მგონი ყველა კმაყოფილი იქნება...

„პრაიმტაიმი“ „რთველი 2014“-ის მიმდინარეობას კვლავაც დააკვირდება და ამ თემაზე მომზადებულ რეპორტაჟებს შემდეგ ნომრებშიც შემოგთავაზებთ.

დაბოლოს, საჭირო ინფორმაცია კახელი მევენახეებისთვის:

რთველთან დაკავშირებით მუშაობს ცხელი ხაზი - 2 47 01 01, რომელიც დაინტერესებულ პირებს 24 საათის განმავლობაში ემსახურება. დამატებითი ინფორმაციის, კითხვებისა და კომენტარებისთვის მოსახლეობას შეუძლია მიმართოს ღვინის ეროვნულ სააგენტოს სპეციალურ ელექტრონულ მისამართზე: rtveli2014@georgianwine.gov.ge

ზურაბ რამაზაშვილი: „ჩვენ უკეთესი სიტუაციაში ვართ, იმ თვალსაზრისით, რომ გვაქვს საკუთარი ვენახები, საკმაოდ დიდი მოცულობის. შესაბამისად, ყურძნის მოყვანა უფრო იაფი გვიჯდება და შეგვიძლია ნორმალური საბაზრო ფასი დავიჭიროთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ახალ სეზონზე მუშაობს

ნანა შონია

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ზაფხულის წარმატებული სეზონის და ახალი პროექტების პარალელურად სამომავლო გეგმებზე აქტიურად მუშაობს. წელს ადმინისტრაციამ არაერთი წარმატებული პროექტის განხორციელება შეძლო, ზაფხულში განხორციელებული პროექტის „მობილური გიდის“ მეშვეობით უწყებას 80 ახალი თანამშრომელი შეემატა. „მობილური გიდების“ პროექტში ჩართვის საშუალება ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ყველა იმ სტუდენტს მისცა, ვინც ინგლისურ ენას ფლობს და კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი აქვს.

„მობილური გიდები“ უცხოელ ტურისტებს დედაქალაქის უკეთ გაცნობასა და საჭირო ინფორმაციის მიღებაში ეხმარებიან. მთლიანობაში კი ეს მომსახურებისა და ტურისტების ნაკადის ზრდისკენ არის მიმართული. კიდევ ერთი, მასშტაბური პროექტი, რომელიც ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ განახორციელა, ტაქსის მძღოლების გადამზადების პროგრამა იყო. ამ პროგრამაში ჩართვის საშუალება ადმინისტრაციამ თბილისის ქუჩებში მოძრავი ტაქსის ყველა მძღოლს მისცა. მძღოლებმა ინგლისური ენის გადამზადების კურსები უფასოდ გაიარეს და სპეციალური English Speaking Driver ნიშანი მიიღეს. ამ ნიშნის მიხედვით ტურისტები თბილისის ქუჩებში მათ ცნობას ადვილად შეძლებენ.

როგორი იყო ზაფხულის სეზონი? რა გეგმები აქვს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, ამაზე „პრაიმტაიმთან“ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი თამარ ჩიკვაიძე საუბრობს.

- ზაფხულის სეზონი დასრულდა, რომ შევაჯამოთ, რამდენად კმაყოფილი ხართ ამ სეზონით და რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში?

- საქართველოში, ტურიზმის მხრივ, მიმდინარე სეზონი საკმაოდ წარმატებული იყო. მრავალი პროექტი განხორციელდა, რის შედეგადაც გაიზარდა საერთაშორისო ტურისტების რიცხვი, დაინერგა ახალი სამსახურები და ჩატარდა მრავალი მარკეტინგული კამპანია. ადმინისტრაციამ წამყვანი საერთაშორისო მედიიდან 80-ზე მეტ უცხოელ ჟურნალისტს უმასპინძლა, მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში და ასევე ჩაატარა მრავალი ღონისძიება შიდა ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით.

- როგორია სტატისტიკა, თუ არის უკვე ცნობილი რამდენი ტურისტი სტუმრობდა საქართველოს ამ ხნის მანძილზე?

- 2014 წლის 8 თვის მონაცემების მიხედვით ტურისტების (24 საათი და მეტი ვადით დამრჩენი საერთაშორისო მოგზაურები) ვიზიტების რაოდენობამ - 1 566 646 შეადგინა (საერთო რაოდენობის 42,5%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 12%).

- რომელი რეგიონის გამოყოფა შეგიძლიათ განსაკუთრებით და რა აინტერესებთ უფრო მეტად უცხოელ ტურისტებს?

- 2013 წლის კვლევის თანახმად, საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა (37%). სხვა, ხშირად ნახსენებ მიზეზებს შორისაა: მეგობრებისა და ნათესავების მონახულება (26%), ტრანზიტი (17%), შოპინგი (9%) და ბიზნეს/პროფესიული ვიზიტები (4%). ხოლო ვიზიტების 7% სხვა მიზეზებით განხორციელდა. ვიზიტების 46% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოსდევს ბათუმი 41%-ით. სხვა დანიშნულების ადგილებს ვიზიტორთა უფრო მცირე რაოდენობა ესტუმრა. მათ შორის ყველაზე პოპულარულია მარნეული და ყაზბეგი (8%), სხვა დანიშნულების ადგილებია: რუსთავი (6%), ქობულეთი (6%), მცხეთა (5%), ქუთაისი (5%) და ბორჯომი (2%).

- როგორ ფიქრობთ, ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ზაფხულის პროექტებიდან რომელი იყო ყველაზე წარმატებული?

- ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად მივიჩნევთ მობილური გიდების სამსახურს. მთელი ზაფხულის განმავლობაში თბილისში, ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში 70-ზე მეტმა მობილურმა გიდმა გაუწია დახმარება ჩამოსულ ვიზიტორებს. დაინტერესებულ პირებს ჰქონდათ საშუალება მიეღოთ უფასო რუკები, ინფორმაცია, მიმდინარე ღონისძიებების განრიგები და მრავალი სხვა სიახლე, რაც შეიძლებოდა ტურისტს დასჭირვებოდათ საქართველოში ვიზიტისას. აღნიშნული გიდები გახლდათ სტუდენტები და ადმინისტრაციაში გაიარეს სტაჟირება, რაც მათთვისაც საკმაოდ საინტერესო და ბევრის მომცემი იყო. ტურისტებისგან მრავალი მადლობის წერილი მივიღეთ. მათი თქმით აღნიშნული ტიპის სერვისი არსად შეხვედრიათ და ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს. მიმდინარე თვიდან მობილურმა გიდებმა საქართველოს აეროპორტებში დაიწყეს მომსახურების გაწევა, კონკრეტულად კი თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. ამ ეტაპზე ადმინისტრაციის 26 თანამშრომელი, და არა სტაჟიორი, უწევს დახმარებას საქართველოში ჩამოფრენილ ვიზიტორებს. მეორე საკმაოდ წარმატებული პროექტი გახლდათ ტაქსის მძღოლებისთვის ინგლისური ენის უფასო შემსწავლელი კურსები. საპილოტე პროგრამა 8 კვირა გაგრძელდა და გადამზადდა 7 ტაქსის მძღოლი, მათ გადაეცათ სერტიფიკატები და ასევე მანქანაზე დასამაგრებელი ნიშანი -English Speaking Driver, რომელიც ავტომობილის საქარე მინაზე განთავსდება. სპეციალური ნიშანი ტურისტებისთვის ადვილად საცნობი იქნება. პროექტის მიზანია სერვისის გაუმჯობესება და მძღოლთა საქმიანობის ხელშეწყობა. ვინაიდან საპილოტე პროგრამა საკმაოდ წარმატებულად ჩატარდა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს გადამზადების მეორე ტალღა და მასში 10 ტაქსის მძღოლი მონაწილეობს.

- ზაფხულის სეზონზე იყო თუ არა ხარვეზები რომლის აღმოფხვრაც თვლით, რომ აუცილებელია და მომავალ სეზონზე გათვალისწინებული იქნება?

- მთავარ ხარვეზად, რაც გამოიკვეთა, ისევ რჩება მომსახურების ხარისხის დაბალი დონე. ნებისმიერ მომსახურების სეგმენტში სერიოზული ტრეინინგები და პროექტებია ჩასატარებელი, რაც ხელს შეუწყობს პროფესიულ განვითარებასა და ხარისხის ამაღლებას. აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მზადდება რამდენიმე სახის პროექტი, რომლებსაც მოგვიანებით გაგაცნობთ, ვინაიდან ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული პროექტების დახვეწა.

- რას გვეტყვით სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით? თუ არის უკვე დაგეგმილი ზამთრის სეზონი და რა სიახლეები ელოდება საზოგადოებას ტურიზმის ადმინისტრაციის მხრიდან მომავალ სეზონზე?

- მომავალ წელს, საქართველოს მასშტაბით, მრავალი საინტერესო ღონისძიების ჩატარება იგეგმება, რაც ხელს შეუწყობს შიდა ტურიზმის სტიმულირებას. ამავდროულად დაგეგმილია რამდენიმე პროექტი მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად და ჩატარდება მარკეტინგული კამპანიები, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ცნობადობის ამაღლებას მსოფლიო მასშტაბით, და პოტენციური ვიზიტორების კიდევ უფრო დაინტერესებას არსებული ტურისტული მიმართულებებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯანდაცვის სამინისტრო ეპიდემიას მალავს?!

სალომე გოგოხია



„ეს არის ხელოვნურად შექმნილი ვირუსი. ეპიდემია აუცილებლად გამოცხადებული უნდა იყოს“

ბოლო სამი კვირაა საქართველოს საავადმყოფოებში პაციენტების მომართვიანობამ საგრძნობლად იმატა. ამ მხრივ განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელია მცირეწლოვან ბავშვებში. პაციენტები მედიკოსებს ძირითადი ჩივილებით მიმართავენ - ღებინება, თავბრუსხვევა, ვირუსული დიარეა. მოსახლეობაში უკვე სერიოზული პანიკაა, თუმცა, მედიკოსები ირწმუნებიან, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს.

თუმცა, საპირისპიროზე საუბრობს არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიკოსთა კავშირის“ თავმჯდომარე ქეთევან გეჯაძე. მისი თქმით, ჯანდაცვის სამინისტრო ეპიდემიას მალავს. გეჯაძე დაავადებულთა რაოდენობის მატებას სკოლამდელი დაწესებულებების და სკოლების ამოქმედების შემდეგაც ვარაუდობს.

„ეს არის ხელოვნურად შექმნილი ვირუსი. ეპიდემია აუცილებლად უნდა იყოს გამოცხადებული. როგორ შეიძლებოდა სანიტარული სამსახურების გაუქმება? შესაბამისი სამსახური სადმე მიმდინარეობს? საერთოდ, რა ფუნქციას ასრულებს ჯანდაცვის სამინისტრო? მოსახლეობის მხრიდან ჰიგიენური ნორმების დაუცველობას ასახელებენ, არა? იმას რატომ არ აცხადებენ, რომ ზღვა ფეკალური მასებით არის დაბინძურებული? ბანაობა არ შეიძლებოდა. სწორად ხორციელდება სახელმწიფო კონტროლი? თუ ხორციელდება, სწორ პასუხებს აცხადებენ? ისეთი სახელისუფლებო აპარატი გვყავს, სიმართლეს მალავენ, ხალხს ატყუებენ. განა გასულ გაზაფხულს არ იყო ეპიდემია? ამ ზაფხულს კი ყველა ბავშვს, ვინც ზღვაზე წაიყვანეს, დიარეა დაემართა. ჩვენს ჯანდაცვის მინისტრს კი თავი სირაქლემასავით ქვიშაში აქვს ჩარგული და ვერ ხედავს, კლინიკის ხელმძღვანელი კი ყოველთვის ხელისუფლების ნებას ატარებს. წლიდან წლამდე დაავადებათა რიცხვი იზრდება და შესაბამისად, სიკვდილიანობაც. ახლა შედარებით აგრილდა და მდგომარეობა განეღლდა, მაგრამ სასწავლო წლის დაწყებისთანავე თუ შესაბამისი ღონისძიებები არ ჩატარდება ბაღებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, დაავადების ხელახალ ტალღას უნდა ველოდოთ. რატომ არ აწყობს ეპიდემიის გამოცხადება სახელმწიფოს? ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა გაიღოს ყველა ხარჯი, რომელიც ასევე არ აწყობს“. - აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბარში ქეთევან გეჯაძე.

„სასწავლო წლის დაწყებისთანავე თუ შესაბამისი ღონისძიებები არ ჩატარდება ბაღებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, დაავადების ხელახალ ტალღას უნდა ველოდოთ“

თუმცა, ჩვენთან საუბარში მედიკოსები ირწმუნებიან, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს, იმასაც ამბობენ, რომ საავადმყოფოები გადატვირთული სულაც არ არის და ხშირად პაციენტები, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულებული არ აქვთ, მკურნალობას შინ აგრძელებენ.

ინფექციური საავადმყოფოს დირექტორის, მარინა ეზუგბაიას განცხადებით, პაციენტების მომართვიანობა მაღალი არ არის.

ანალოგიურს აცხადებს იაშვილის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი ექიმი ივანე ჩხაიძე. მისი თქმით, ზოგადად, ზაფხულის პერიოდში მომართვიანობა იმატებს, რაც ტემპერატურის მატებას, ჰიგიენური პირობების დაუცველობას უკავშირდებდა.

„ჩვენ ეს უნდა განვიხილოთ არა როგორც ენტეროვირუსი, არამედ როგორც ვირუსული დიარეა. ენტეროვირუსი ეს არის ვირუსი, რომელიც იწვევს გულის დაზიანებას, თავის ტვინის ანთებას, ყელის დაზიანებას. ჩვენ ვსაუბრობთ იმ ინფექციებზე, რომელიც ნაწლავთა მოქმედების გახშირებით მიდის. სამედიცინო კუთხით სწორი იქნება ვისაუბროთ ვირუსულ დიარეაზე. ეს არის დაავადება, რომელსაც იწვევს ვირუსი. ამ დროს ნაწლავთა მოქმედება გახშირებულია. რატომ მოიმატა? ეს იოლი ასახსნელია თუ ვიტყვით როგორ ვითარდება ეს დაავადება. ეს დაავადება ვითარდება ფეკალურ-ორალური ინფექციის

„წლიდან წლამდე დაავადებათა რიცხვი იზრდება და შესაბამისად, იზრდება სიკვდილიანობაც“

გზით. ანუ, როდესაც ბავშვი პირში ჩაიდებს საგანს, რომელსაც რაღაც შეხება ჰქონდა განავლიან მასებთან. ამ ვირუსს არ ახასიათებს ჰაერ-წვეთოვანი გზით გადაცემა. ვრცელდება დაუბანელი ხელებით. განსაკუთრებით ზაფხულში, ასევე, როცა ხილ-ბოსტნეული კარგად გარეცხილი არ იქნება და ისე მივიღებთ. ამ ვირუსის თავიდან არიდება შესაძლებელია ჰიგიენის დაცვით, ხელის ხშირი დაბანით. არ უნდა დავლიოთ იმ ჭიქიდან, საიდანც დაინფიცირებულმა წყალი დალია და ა.შ. ვირუსის გავრცელების მაღალი რისკი განსაკუთრებით ზაფხულშია. სავარაუდოდ, კლებისკენ ოქტომბრიდან წავა. ეპიდემია გამორიცხულია. ეპიდაფეთქებას ვერავინ დამალავს, ასეთ დროს ათასობით ბავშვი და მოზარდია დაავადებული“. - ამბობს ჩხაიძე.

მართალია, მედიკოსები გვაიმედებენ, რომ პანიკის საფუძველი არ გვაქვს, თუმცა, რეალობა სხვაზე მეტყველებს.

როგორც წესი, ზაფხული ინფექციური დაავადებების გავრცელების მხრივ ხელსაყრელი დროა. ჯერ კიდევ ორი თვის წინ, მედიკოსები აცხადებდნენ, რომ არც წლევანდელი წელია გამონაკლისი და ენტეროვირუსით დაავადებულთა მომართვიანობა თანდათან მატულობს. თუმცა, იქვე დასძენდნენ, რომ ინფექცია გართუბელით არ მიმდინარეობდა. როგორც ჩანს, ტემპერატურის მატებასთან ერთად, სიტუაცია გართულდა და სულ უფრო იმატა დაავადებულთა მიმართვიანობამ. განსაკუთრებული სიმწვავით დაავადება მცირეწლოვანებსა და წლამდე ასაკის ბავშვებში მიმდინარეობს.

წლისა და 5 თვის მაშიკო საავადმყოფოდან რამდენიმე დღის წინ გამოწერეს. მშობლებმა ის დაავადების საკმაოდ მწვავე ფორმით მიიყვანეს.

„ღებინება ჰქონდა, დიარეა, განავალი წყლად მოდიოდა, ბავშვმა სითხე დაკარგა, გონებას ჰკარგავდა. თითქმის კვირაზე მეტი დავრჩით საავადმყოფოში. ძნელად, მაგრამ მაინც დაემორჩილა მკურნლობას“, - გვითხრა მაშიკოს დედამ.

ამ მხრივ გამონაკლისი არც შავი ზღვის რეგიონი აღმოჩნდა. ნაწლავური ინფექციებით ბათუმის საავადმყოფო წელს გადატვირთულია. აქაც, პაციენტის ძირითად ნაწილს მცირეწლოვანები შეადგენდნენ.

ადვილია თქვა, რომ ინფექცია ჰიგიენის ნორმების დაუცველობით ვრცელდება. ამის თქმისას, ნურც დაბინძურებული ზღვა, ტბები და გარემო დაგვავიწყდება, რომელიც ამ ინფექციის გავრცელებისთვის იდეალურია.

ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის სამინისტრომაც რომ აიღოს, ურიგო არ იქნებოდა.

გახსოვთ, ალბათ, აპრილში მენინგო ვირუსის შემთხვევებმა პიკს მიაღწია. ბავშვთა საავადმყოფოები პაციენტების მიღებას ვერ აუდიოდა. სწორედ ამიტომ, განათლების სამინისტრომ სკოლებსა და ბაღებში სწავლება თითქმის ორი კვირით შეწყვიტა. ამ ადგილებში სადეზინფექციო სამუშაოები ჩაატარეს. სიტუაცია მეტ-ნაკლებად განიმუხტა. როგორი იქნება ახალი სასწავლო წელი და მორიგ ეპიდაფეთქებას უნდა ველოდოთ თუ არა, ამას ძალიან მალე გავიგებთ. თუმცა, აჯობებს ჯანდაცვის სამინისტრომ შესაბამისი ზომები მანამდე მიიღოს, სანამ ფაქტის წინაშე დადგება. სხვა შემთხვევაში შეშფოთება და „გადაწყვეტილებას მივიღებთ“ პოზიცია დიდი შედეგის მომტანი ვერ იქნება.

ვანო ჩხაიძე

„რატომ არ აწყობს ეპიდემიის გამოცხადება სახელმწიფოს?! - ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა გაიღოს ყველა ხარჯი, რომელიც ასევე არ აწყობს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა მოხდა უელსის სამიტზე სინამდვილეში

როგორ იქცევა რეალობა პროპაგანდად და რატომ დუმან მარგველაშვილი და ალასანია სამიტის დეტალებზე

ქეთი ხატიაშვილი

მეტწილად სწორედ ისინი, ვინც საქართველოს ახალ ხელისუფლებას ირონიული ტონითაც კი საყვეურობენ, საქართველო გლობალური მოთამაშეა, თქვენ კი პოლიტიკური რუკიდან მის გაქრობას ცდილობთო, ნატოს უელსის სამიტს არა მხოლოდ ქართულ კონტექსტში განიხილავენ, არამედ, რაც ყველაზე პარადოქსულია, ღარიბაშვილი-მარგველაშვილის დაპირისპირების ჭრილშიც კი. ასეთი „გლობალისტების“ ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით.

სოციალურ ქსელებში „გლობალისტებმა“ ეს სამიტი გააჟღერეს, როგორც მარგველაშვილის დიდი ტრიუმფი და ღარიბაშვილის დიდი მარცხი. ყველაზე უცნაური მაინც „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის შეფასება იყო, რომელმაც სოციალურ ქსელებში დაწერა: „ასეთი ტრიუმფალური თუ იქნებოდა უელსის სამიტი, აშკარად არ იცოდა ღარიბაშვილმა, თორემ სხვას გაუშვებდა იქ? შანსი არ არის“. თუმცა, იქვე გვარამია არ აკონკრეტებს, რას მიიჩნევს ის ტრიუმფად და წარმატებად, ან რატომ არის პრეზიდენტის გამარჯვება პრემიერის მარცხი? გაუგებარია, როცა საქმე საქართველოს მომავალსა და საერთაშორისო ურთიერთობებს ეხება, რატომ ეძებენ ქვეყნის შიგნით მხოლოდ ინტრიგებსა და მხოლოდ დაპირისპირებას, რომელსაც ქვეყანა საბედისწერო დაპირისპირებამდე მიჰყავს... სხვებისგან ასეთი შეფასებები არ მიკვირს, ნიკა გვარამია კი ერთ-ერთი პროგრესული ადამიანია, ამიტომაც გამიკვირდა.

მით უფრო, რომ საერთაშორისო ექსპერტებისთვისაც კი საქართველოსთვის ეს სამიტი მნიშვნელობით ერთი რიგითი პოლიტიკური მოვლენა იყო. საქართველომ რეალურად მიიღო იგივე, რაც თავის დროზე 2008 წლის აგვისტოს ომამდე ბუქარესტის სამიტზე. მთავარი მიზანი – მაპ-ი მიღწეული არ არის. მეტიც, არასამთავრობო ორგანიზაცია GRASS-ის წარმომადგენელმა ელენე ხოშტარიამ ჯერ სოციალურ ქსელებში დაწერა, შემდეგ კი „ტაბულასთან“ საუბარში NATO-ს უელსის სამიტის დეკლარაციის 31-ე პარაგრაფზე გაამახვილა ყურადღება. ამ პარაგრაფის მიხედვით, კონფლიქტების არსებობა რეგიონის მოქალაქეების ევროატლანტიკური წევრობისთვის ხელისშემშლელია. ხოშტარიას განმარტებით, ასეთი ჩანაწერი აქამდე არ ყოფილა:

– ამგვარი ჩანაწერი სხვა დროს არ ყოფილა. იყო **stady on enlargement**-ში, რომელიც სავალდებულო დოკუმენტი არ იყო. ეს 31-ე პარაგრაფის ფორმულირება ჯერ ძალიან ბუნდოვანია და არის შანსი, ვიმუშაოთ მეგობრებთან, იმისთვის, რომ შემდგომი დოკუმენტებიდან ამოვიღოთ და არ ჩამოყალიბდეს ნატოს სრულყოფილ დებულებად, იმის შესახებ, რომ კონფლიქტით ვერ შევალთ. NATO წარსულში საპირისპიროს ამბობდა ჩვენს კონფლიქტზე, რომ არ არის წინაღობა, ეს არაერთხელ უთქვამს რასმუსენს, – განმარტა ხოშტარიამ.

სოციალურ ქსელებში ელენე ხოშტარია ამის გამო გააკრიტიკეს კიდეც: რატომ ამახვილებს ეს გოგო ნეგატივზე ყურადღებასო. თუმცა, ეს რეალობაა, რომლის დანახვის შემდეგ მისი შეფასების პრობლემა ბევრს აქვს.

ასე რომ, ის, რაც უელსის სამიტზე მოხდა, კიდევ ერთი კლასიკური მაგალითია იმისა, როგორ ეწირება რეალობა პროპაგანდას. როგორ ახერხებს ზოგ შემთხვევაში მედიაც, – თუკი მას პოლიტიკური ინტერესები აქვს, – თითქმის წაგებული ბრძოლა სრულ ტრიუმფად აქციოს, ოღონდ კი მარგველაშვილი და ღარიბაშვილი ერთმანეთს დააპირისპიროს და შექმნას მითი ეგრეთწოდებულ პროდასავლურ ძალებზე, რომლებსაც დასავლეთი სრული მხარდაჭერას უცხადებს, და ღარიბაშვილზე, რომელიც თითქოს არ იზიარებს დასავლეთის ღირებულებებსა და პოლიტიკას.

სინამდვილეში კი უელსის სამიტი ტრიუმფი კი არა, კრახი იყო. ნატო ახლა მხოლოდ საკუთარი თავის შველაზეა გადასული და სწრაფი რეაგირების დანაყოფსაც კი მხოლოდ იმიტომ ქმნის, რომ უკრაინა და მით უფრო, საქართველო კი არა, საკუთარი წევრი ქვეყნები დაიცვას. პირველ რიგში, ეს ეხება ბალტიის ქვეყნებიდან უფრო ლიტვას, ევროპაში კი – პოლონეთს. სამიტის ფარგლებში რასმუსენმა მკაფიოდ განაცხადა, რომ რუსეთი არ აპირებს წითელი ხაზების დარღვევას, იმიტომ რომ იცის, ჩვენ წითელი ხაზების დარღვევას არ მოვითმენთო.

წითელ ხაზებში კი მან მხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნები იგულისხმა და არა უკრაინა ან, მით უფრო, საქართველო.

დასავლეთის „გაციება და დისტანცირება“ საქართველოსთან ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს დაიწყო. 2011 წელს პენტაგონმა უარი უთხრა კონგრესს საქართველოსთვის ტანკსაწინააღმდეგო დანადგარების გადაცემაზე. 2009 წლიდან კი დასავლეთს არც ერთ დიდ და სერიოზულ შეხვედრაზე საქართველოს თემა და საკითხი რუსეთის წინაშე არ დაუყენებია.

ეს არის სიმართლე და რეალობა. ამიტომაც არც აგვისტოს ომამდე მოგვცეს მაპ-ი. დასავლეთი რუსეთთან ომს უკრაინის გამოც არ აპირებს. მეტიც, დასავლეთმა პოროშენკო აიძულა, ექსტრემისტებს დაზავებოდა, პუტინისთვის კი ხელი ჩამოერთმია.

ამ ფონზე ირაკლი ალასანიას განცხადებები თავდაცვითი სისტემებისა თუ საწვრთნელი ბაზის შესახებ ექსპერტებისთვის, ასევე, დიდი პიარკამპანიის ნაწილია. სერიოზულმა საერთაშორისო ექსპერტებმა „პრაიმტაიმთან“ პირად საუბარში განმარტეს, რომ არავითარი თავდაცვის სისტემებზე საუბარი საბოლოოდ არ იქნება, რაც შეეხება საწვრთნელ ბაზას, აქ საუბარია უკვე არსებულ საჩხერის სამხედრო ბაზაზე. ასე რომ, სიახლე ამ მიმართულებითაც არაფერი იქნება.

შესაძლოა ამიტომაც, ქართულმა დელეგაციამ მხოლოდ ზოგადი შეფასებები გააკეთა. საინტერესოა, რას იტყვის პრეზიდენტი მარგველაშვილი, ან საგარეო საქმეთა მინისტრი ფანჯიკიძე დეკლარაციის 31-ე პარაგრაფზე. შემთხვევითი არ არის, რომ ამ მიმართულებით დეტალები არ ხმაურდება. ინფორმაცია ამის თაობაზე ქართულ დელეგაციას არც გაუვრცელებია. ჯერ კომენტარები არ გაკეთებულა, კონკრეტულად რას გულისხმობს ახალი პაკეტი, რომელიც საქართველომ სამიტზე მიიღო. ირაკლი ალასანია არც იმაზე საუბრობს, ჩაერთვება თუ არა საქართველო ნატოს მიერ სწრაფი რეაგირების ქვედანაყოფის შექმნაში, რომელმაც მხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნები უნდა დაიცვან რუსული საფრთხისგან. ექსპერტების განმარტებით, არ ჩაერთვება. ან თუ მაინც მიიღებს თბილისი ამ პროცესში მონაწილეობას, მხოლოდ ცალმხრივად, ნატო სანაცვლოდ საქართველოს ვერაფერს მისცემს.

ასე რომ, „გლობალისტების“ ყიჟინი, თითქოს უელსის სამიტზე რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა და ამ გამარჯვების ღარიბაშვილი-მარგველაშვილის დაპირისპირების პრიზმაში გადატანა, სრული სისულელე და აბსურდია.

მთავარი ის არის, რომ ნატომ გაფართოება გააჩერა და საქართველო არა მხოლოდ მაპ-ის გარეშე დარჩა (უკვე მერამდენედ), არამედ დასავლეთის მხრიდან დაცვის გარანტიის გარეშეც.

2008 წლის ომი მაინც ათვლის წერტილი იყო. პუტინმა ყველას მიანიშნა, რომ ის არ აპირებს, მოითმინოს ნატოს გაფართოება და არც ნატოს შეიარაღების განთავსებას დაუშვებს მის საზღვრებთან ახლოს. სწორედ ამიტომ ბარაკ ობამამ რამდენიმე ხნის წინ განაცხადა: საქართველო არ დგას ნატოსკენ მიმავალ გზაზეო. ამ განცხადებით უკვე ამერიკის პრეზიდენტმა გააკეთა მინიშნება რომ არ აპირებს რუსეთის გავლენების ზონაში ხელების ფათურს.

ასე რომ, მთელი ეს ოპოზიციური ყიჟინა, რომ საქართველოში ხელისუფლებაში პრორუსული ძალა მოვიდა სათავეში და რომ ვერტიკალზე ერთი პრორუსია და მეორე პროდასავლური, მხოლოდ პროპაგანდაა, რომელიც მაინც ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული.

ისე, საინტერესოა, რომ ქართველ „გლობალისტებს“ ამ კრიზისულ მომენტში იმის ინტერესი უფრო აქვთ, როგორ შეცვალონ და გადააყენონ ხელისუფლება. თუმცა, ეს სულ სხვა თემაა.

რაც შეეხება უელსის სამიტს, მას თავისი გმირიც ჰყავდა და ანტიგმირიც. ამ სამიტმა აჩვენა, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირება სულ უფრო სერიოზულ ფაზაში გადადის. ექსპერტებმა 2014 წლის სამიტი 1999 წლის სამიტს შეადარეს. მაშინ რუსეთი დემონსტრაციულად არ ესწრებოდა ნატოს სამიტს – ნატო იუგოსლავიაში სამხედრო ოპერაციას ატარებდა. ახლა ის დემონსტრაციულად მონაწილეობს ამ სამიტში. თუკი მაშინ დასავლეთში მთავარი კითხვა ასეთი იყო: როდის ჩაერთვება რუსეთი საერთაშორისო პროცესებში. ახლა მთავარი კითხვაა: როდის დაანებებს რუსეთი თავს საერთაშორისო საზოგადოებას. მესამე მსოფლიო ომი არავის უნდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო დიდი ხანია, დასავლეთის დღის წესრიგიდან ჩამოხსნეს, ამიტომაც სამიტზე ორი ძირითადი თემა აინტერესებდათ – უკრაინა და ავღანეთი.

უკრაინაში ცდილობენ, ქაოსი და საომარი ვითარება როგორმე დაასტაბილურონ, ავღანეთში კი ფიქრობენ, ქვეყნიდან ნატოს ჯარების გასვლის შემდეგ როგორ აიცილონ თავიდან ქაოსი და არეულობა.

ეს იყო თითქმის ყველაფერი უელსის სამიტის შესახებ. ჯერჯერობით ნატო პოზიციებს თმობს და რუსეთის საფრთხის განეიტრალებას ცდილობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ადიგენში დატრიალებული ტრაგედიის უცნობი დეტალები

my View
მირიან ბოძოლიშვილი

მარიამობის დღესასწაულზე ადიგენის რაიონის სოფელ ყარათუბანში მომხდარ საზარელ მკვლელობას სამი ახალგაზრდის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ საქმის შესახებ „პრაიმტაიმი“ გასულ კვირასაც წერდა, თუმცა ამჯერად მკითხველის ყურადღება გარდაცვლილთა თანასოფლელის მონათხრობზე მინდა შევაჩერო, რომელსაც სრულიად სხვა საქმეზე შევხვდი და ადიგენში დატრიალებულ ტრაგედიაზე ჩამოაგდო საუბარი.

„პირდაპირ მიზანში ვყავდი ამოღებული. ავუხსენი, რომ ვიყავი პოლიციის თანამშრომელი“

„მთელ სოფელში საშინელება ტრიალებს. მაგარი ვაჟკაცი ბიჭები გამოასალმეს სიცოცხლეს. ერთ-ერთი მოკლულის ძმა ბედზე გადარჩა, მასაც ესროლა და როცა საკონტროლო უნდა მიეყოლებინა, ბედზე პოლიციის თანამშრომელი გამოჩნდა და ეს 22 წლის ბიჭი, პრაქტიკულად მან გადაარჩინა. ამ პოლიციელს მოუღერა იარაღი, მაგრამ, ალბათ, მისთვის სროლა ვერ გაბედა... დამატებითი ეკიპაჟის გამოძახება მოახერხა პოლიციელმა და ეს გამხეცებული კაცი, როგორც იქნა, დააკავეს, თორემ იმ მე-4 ბიჭსაც მოუსწრაფებდა სიცოცხლეს“, – მიყვებოდა გარდაცვლილთა თანასოფლელი.

„პრაიმტაიმი“ დაინტერესდა, ვინ იყო პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მე-4 ახალგაზრდის გადარჩენა მოახერხა. გაირკვა, რომ ის 31 წლის თემურ მსხვილიძეა. ჩვენ შევეცადეთ, ტრაგედიის დეტალები უშუალოდ მისგან მოგვესმინა, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მან ყველა დეტალზე საუბრისგან თავი შეიკავა. ის კი გვიამბო, როგორ აღმოჩნდა შემთხვევის ადგილზე და როგორ შეეცადა დამნაშავის განეიტრალებას. ჩვენი მცდელობის მიუხედავად, მან ფოტოს გადაღებაზე კატეგორიული უარი გვითხრა, – „არ მიყვარს თავის წარმოჩენა, ისეთი არაფერი გამიკეთებიაო“...

მისი მონაყოლით ირკვევა, რომ პოლიციის დეტექტივი საზარელ მკვლელობას სრულიად შემთხვევით შეესწრო, რა დროსაც დაინახა, რომ სანადირო თოფით შეიარაღებულმა მამაკაცმა ახალგაზრდების მისამართით ცეცხლი გახსნა, მანქანიდან გადმოხტა და დამნაშავის განეიტრალებას შეეცადა. მისი მცდელობის მიუხედავად, მკვლელობაში ბრალდებულმა 3 ახალგაზრდის მოკვლა მოასწრო, თუმცა დაჭრილი ბექა სირბილაძის მიმართ, პოლიციელის ჩარევის გამო, საკონტროლო გასროლა ვეღარ მოახერხა.

თემურ მსხვილიძე, პოლიციის დეტექტივი:

„მე დეტექტივ-გამომძიებელი ვარ და შესაბამისად, ჩემი თანამდებობა მაძლევს საშუალებას, სამოქალაქო ფორმით გადავადგილდე. იმ დღესაც ასე, არასამუშაო დროს ჩემი ავტომობილით გადავადგილდებოდი. სოფელ ყარათუბანში ოთხმა ახალგაზრდამ გამიქნია ხელი, ვიფიქრე, დახმარება სჭირდებოდათ. მითხრეს, სხვას ველოდებოდითო, ბოდიში მომიხადეს, მარიამობა მომილოცეს და უკან მიბრუნდნენ. ის იყო, მანქანის დაქოქვასა და გზის გაგრძელებას ვაპირებდი, რომ უკნიდან მომადგა კიდევ ერთი ავტომობილი, საიდანაც გადმოვიდა მამაკაცი და მოულოდნელად ამ ბიჭების მისამართით გახსნა ცეცხლი. უცებ გადმოვედი მანქანიდან, დავინახე, რომ იქვე, ჩემგან სულ რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, იდგა ეს პიროვნება და ხელში ეჭირა სანადირო თოფი, ის ისროდა ახალგაზრდების მიმართულებით. მივედი ახლოს, ცალი ხელი კისერში ვტაცე და ვეცადე მისი განეიტრალება. ფიზიკურად ძლიერი აღმოჩნდა და ამ ჭიდაობაში მოახერხა, რომ თოფით ჩემკენ შემობრუნებულიყო და დამიმიზნა.

– ანუ თქვენს მოკვლასაც აპირებდა?

– პირდაპირ მიზანში ვყავდი ამოღებული. ავუხსენი, რომ ვიყავი პოლიციის თანამშრომელი თემურ მსხვილიძე. მან მიცნო კიდეც, რადგან სამსახურებრივად გვქონია ურთიერთობა (მკვლელობაში ბრალდებული ადიგენის საჯარო რეესტრის უფროსი გახლდათ. – ავტ.). ყვიროდა, – ვინც ხელს შემიშლის ამათ დახოცვაში, ყველას დავხოცავო. ამასობაში უკვე მიწაზე იყო დავარდნილი ოთხივე ბიჭი. სამი გარდაცვლილი და ერთიც დაჭრილი. როგორღაც მოვახერხე და ადგილზე დამხმარე ეკიპაჟი გამოვიძახე, ადგილზე მალევე გამოცხადდა შესაბამისი ჯგუფი და მოხდა ამ პიროვნების დაკავება თანამშრომლებისა და ჩემ მიერ. დაჭრილი გადავიყვანეთ საავადმყოფოში და, საბედნიეროდ, მისი გადარჩენა შესაძლებელი გახდა.

– როგორც სოფელში ყვებიან, მეოთხე ახალგაზრდა სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა, რადგან მკვლელმა მისი მისამართით საკონტროლო გასროლა ვეღარ მოასწრო...

– ასე გამოვიდა. ვცდილობდი, თოფის ლულა გამეკონტროლებინა და კიდევ არ მოეხდინა გასროლა, ან ჩემი, ან დაჭრილი პიროვნების მისამართით. როგორც გითხარით, სულ ოთხი ბიჭი იყო, პირველი სროლების დროს ოთხივე ძირს დავარდა. როდესაც მისთვის იარაღის წართმევა შევეცადე, მე-4 პიროვნებისთვის გასროლა აღარ უცდია.

ჩვენს მკითხველს შევახსენებ, რომ ადიგენის რაიონის სოფელ ყარათუბანში საზარელი მკვლელობა 28 აგვისტოს მოხდა. მოკლულები არიან: 27 წლის ვაჟა ნარიმანიშვილი, 25 წლის ბორის სირბილაძე და 20 წლის გიორგი სირბილაძე, მეოთხე – 22 წლის ბექა სირბილაძე კი მძიმედ დაიჭრა. მკვლელობაში ბრალდებული მათივე თანასოფლელი, ადიგენის საჯარო რეესტრის უფროსი დავით კუბლაშვილია.

სოფელში ყვებიან, რომ მოკლული ბიჭები კუბლაშვილის ვაჟთან მეგობრობდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, მარიამობის დღესასწაულზე ბიჭები კუბლაშვილის ოჯახში იმყოფებოდნენ, სადაც დალიეს, შემდეგ კი კუბლაშვილის ვაჟთან ერთად დაბაში წავიდნენ, სადაც ლუდი დალიეს. ნასვამებს კუბლაშვილის ვაჟთან ჩხუბი მოუვიდათ, მან მამას დაურეკა და საშველად უხმო. თანასოფლელების განცხადებით, დავით კუბლაშვილიც ნასვამი ყოფილა. სახლიდან სანადირო თოფი წამოიღო და ადგილზე მისულმა ბიჭებს ესროლა.

მეორე ვერსიით, მოკლულ ბიჭებს წინა დღით კუბლაშვილის ბიჭთან კამათი მოუვიდათ, მეორე დღეს საქმის გასარჩევად მიაკითხეს და შინიდან გამოიყვანეს. ჩხუბის დროს კი შვილმა მამას უხმო საშველად.

შსს-ს ინფორმაციით, არც დაკავებული და არც მოკლულები წარსულში ნასამართლევები არ არიან.

მომხდარის შემდეგ, კუბლაშვილის ოჯახმა სოფელი დატოვა. გავრცელებული ინფორმაციით, სოფელი მამა-შვილის დასჯას ლინჩის წესით ითხოვს.

დავით კუბლაშვილი

რას უყვება „პრაიმტაიმს“ პოლიციის დეტექტივი და როგორ იხსნა სიკვდილისგან მეოთხე სამიზნე?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„თავისუფალი სექტორი“ - მაგდა



მაგდა კლდიაშვილი

რამდენიმეწლიანი პოლიტიკური ცხოვრების შემდეგ, ჟურნალისტი მაგდა ანიკაშვილი კვლავ ძველ და საყვარელ საქმიანობას უბრუნდება, თუმცა, ამჯერად, სრულიად განსხვავებული გარემოთი და უჩვეულო პროფილით. მალე, ქართველი მაყურებელი საკუთარ ტელეეკრანზე ახალ სპორტულ ტელეარხს - TVS-ს იხილავს. უფრო კონკრეტულად, არხი მაუწყებლობას 22 სექტემბერს დაიწყებს. მაგდა ანიკაშვილი TVS-ის სახე და თოქ-შოუ „თავისუფალი სექტორის“ წამყვანი იქნება. დაწვრილებით ამის შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ, რომელიც ექსკლუზიურად, „პრაიმტაიმმა“ მაგდა ანიკაშვილთან ჩაწერა.

- მაგდა, აქტიურ ჟურნალისტიკას უბრუნდებით, თუმცა განსხვავებული პროფილითა და ფორმატით. ამ გადასახედიდან, შეცდომად ხომ არ თვლით, რომ პოლიტიკაში წახვედით?

- სიმართლე გითხრათ, ყოველთვის ძალიან მენატრებოდა ტელევიზია. მის გარეშე ცხოვრება, ადამიანისთვის, რომელსაც ოდესმე უმუშავია, უბრალოდ შეუძლებელი, წარმოუდგებელია. ჩემთვის ბედნიერება იყო ის, რომ მეტ-ნაკლებად მქონდა ჟურნალისტიკასთან, ტელევიზიასთან შეხება. სტუმრად როცა მივდიოდი რაიმე თოქ-შოუში, სულ მეგონა, მე ვიყავი წამყვანი. მინდოდა წამყვანის ფუნქციები შემეთავსებინა. ახლა, ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი ეტაპი იწყება ჩემს ცხოვრებაში, საინტერესო და ბედნიერი, თითქოს სახლში ვბრუნდები. ყველა ტელევიზიას აქვს ეს მომენტი, როდესაც თავი ოჯახში გგონია. საინტერესოა, რომ ეს სფერო ახალია. ჩემთვის ძალიან მოულოდნელი შემოთავაზება იყო და როგორც დიდ გამოწვევას, ისე აღვიქვამ. საერთოდ, ძალიან მიყვარდა სპორტი, მაგრამ გულშემატკივრის დონეზე. ახლა პროფესიულად მომიწევს ამასთან შეხება და ვფიქრობ, ეს ძალიან საინტერესოა. თუმცა, სრულიად ვაცნობიერებ, რომ ეს შეხება არ იქნება პროფესიული განხილვების დონე. ეს იქნება საზოგადოებრივი ხედვა სპორტის, როგორც მოქალაქის, ჟურნალისტის და ამით გახდება საინტერესო, არა მხოლოდ სპორტში ჩახედული ადამიანებისთვის, სპორტის მოყვარულებისთვის, არამედ ნებისმიერი მოქალაქისთვის. ვცდილობთ, სპორტი წარმოვაჩინოთ, როგორც ქვეყნის ცხოვრების ნაწილი, რომელიც ეხება ყველას. აქ არ არის საუბარი რომელიმე მატჩის ანგარიშზე. საუბარია ჩვენს შვილებზე, რომლებიც დადიან სხვადასხვა სპორტულ სექციებზე, რამდენად ხელმისაწვდომია ეს ყველაფერი, ცხოვრების ჯანსაღ წესზე, სოციალურ თემატიკაზე, თუ როგორ იხარჯება ბიუჯეტი, იმიტომ, რომ სახელმწიფო აფინანსებს სპორტულ ფედერაციებს და ეს პრობლემები, ყველაფერი კარგად გამოჩნდება. რაც შეეხება ჩემ ყოფნას პოლიტიკაში, ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ეს შეცდომა იყო. საერთოდ, არ მიმაჩნია სწორად წარსული ნაბიჯების ნეგატიური შეფასება და ფიქრი იმაზე თუ რა არ უნდა გამეკეთებინა. იყო საოცრად დინამიკური წლები. მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი მთელი ქვეყნის ისტორიაში. მინდა, მადლობა ვუთხრა, ყველა იმ ადამიანს, ვისთან ერთადაც მიმუშავია პოლიტიკურ პარტიაში თუ პარტიის მიღმა. განსაკუთრებით ჩემს მეგობრებს და კოლეგებს, ვისთან ერთადაც ძალიან ბევრი რამე გავიარეთ, კარგიც და ცუდიც და საბედნიეროდ მეგობრებად დავრჩით, რაც ხშირად არ ხდება პოლიტიკაში.

- ქართველი მაყურებელი, ზოგადად, ძალიან კრიტიკულია. ხომ არ ნერვიულობ, რომ ახალ ტელევიზიაში, იმ სფეროში მიდიხარ, რომელსაც ყველაფერი დასამტკიცებელი აქვს და როგორც აღნიშნე, სადაც, აქამდე მხოლოდ გულშემატკივრის როლში იყავი?

- სიმართლე გითხრათ, პირიქით. ახალი ტელევიზიაა და ყველა ერთად ვიწყებთ. ეს არის ყველაზე დიდი პოზიტივი, რომელიც დავინახე ამ ყველაფერში. თვითონ შემოთავაზება ძალიან მოულოდნელად მივიღე. არაფერი ვიცოდი ამ პროექტის შესახებ. მითხრეს, ჩვენ, ყველანი, ახალ საქმეს ვიწყებთ. საუბარი არ არის მხოლოდ სპორტული ტელევიზიაზე, ვგულისხმობ იმას, რომ არ იქნება მარტო უცხოური მატჩების ტრანსლაცია, არამედ ორიგინალური გადაცემები, ჩვენი ჟურნალისტების მიერ მომზადებული, სპორტზე, სპორტსმენებზე, სპორტის პრობლემებზე. სწორედ ეს იყო ყველაზე საინტერესო, სასიამოვნოა იქ მისვლა, სადაც ყველაფერს თავიდან იწყებენ. ახალი პროექტი რომ არ ყოფილიყო, არც ვიცი შეთავაზებას დავთანხმდებოდი თუ არა. ამას ჰქონდა დიდი მუხტი. სპორტის დიდი გულშემატკივარი ვიყავი, თუმცა, როდესაც ვუყურებდი სპორტულ გადაცემებს, მქონდა განცდა, რომ ადამიანები საუბრობენ პროფესიულ, სპეციფიკურ ენაზე, რომელიც ყოველთვის ყველასთვის გასაგები არ არის. ვფიქრობ, არის მოთხოვნა გულშემატკივრის ენაზე საუბრის და ამ დისკუსიაში სპორტის მოყვარულების მონაწილეობის. ასეთი განცდა ძალიან ბევრს აქვს, ვინც პროფესიონალის დონეზე არ არის გარკვეული, მაგრამ ვისაც უნდა, რომ ქართული სპორტი იყოს წარმატებული. სტერეოტიპია, რომ გვაქვს მცირე დაფინანსება და ამის გამო არ არის წარმატება, სინამდვილეში გაცილებით უფრო ბევრ და ღრმა პრობლემებთან გვაქვს საქმე. ჩვენი ამოცანა არ არის ვინმესთან დაპირისპირება, არამედ რეალურად შეფასება იმისა, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია უკეთესად, სახელმწიფოს და მოქალაქეებს, სპორტსმენებს. საჯარო დისკუსია ამ თემებზე, გასაჯაროება, ფართო საზოგადოების ჩართვა სპორტის პრობლემებში ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ამოცანა დავისახეთ მეც და არხის ხელმძღვანელობამაც. გარანტირებული არაფერია, თუმცა, ვფიქრობ, რომ სპორტი და მისი პრობლემატიკა საინტერესოა მაყურებლისთვის.

- აღნიშნეთ, რომ შეთავაზება მოულოდნელად მიიღეთ, ვისგან მიიღეთ წინადადება და როგორ აღმოჩნდით TVS-ში?

- ვახტანგ წერეთელი გავიცანი, რომელსაც აქამდე არ ვიცნობდი, არაფერი ვიცოდი მისი საქმიანობის შესახებ და არც ის, რომ ტელევიზიის გაკეთებას აპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ გარემო არასაქმიანი იყო და იმ მომენტში ტელევიზიაში დაბრუნებაზე არ ვფიქრობდი, მაინც დავინტერესდი. მეც მიმაჩნდა, რომ სპორტის პრობლემატიკა უფრო ინტენსიურად უნდა შუქდებოდეს ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა, რომ დისკუსია საჯარო უნდა იყოს, არამხოლოდ კინკლაობის და პიროვნული დაპირისპირების დონეზე.

- ადამიანთა გარკვეული ნაწილი, ვინც იგებს, რომ მაგდა ანიკაშვილი სპორტულ ტელევიზიაში გადავიდა სამუშაოდ, გაკვირვებას ვერ მალავს, იმიტომ, რომ აქამდე სულ სხვა სფეროში იყავით. თავად როგორ უყურებთ ასეთ დამოკიდებულებას?

- გაკვირვებას და სკეპტიკურ განწყობას მიჩვეული ვარ. როდესაც პოლიტიკაში წავედი, ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სკეპტიკურად ბევრი განეწყო. განსაკუთრებით, როდესაც ჯანდაცვის და სოციალური სფერო ავირჩიე სამუშაოდ. ბოლოს კი იმით დასრულდა, რომ შეხვედრებზე ადამიანები თავიანთი დაავადებების შესახებ მიყვებოდნენ და მკურნალობის დანიშვნას მთხოვდნენ. ძალიან ვწუხდი, მაგრამ მორედიბულად ვუხსნიდი, რომ ექიმი არ ვარ, მიუხედავად იმისა, რომ სისტემაში კარგად გავერკვიე. ახალ სფეროში მუშაობის დაწყებას დიდი აზარტი ახლავს თან. ჟურნალისტს აქვს ფუფუნება გა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ანიკაშვილი ეკრანს უბრუნდება

მოიყენოს პროფესიული უნარები და გარკვეულ დონეზე შეისწავლოს საკითხი, რაც ძალიან საინტერესოა.

- თქვენს გადაცემაზე ვისაუბროთ, რა ერქმევა, როგორი ფორმატი ექნება და რა სიხშირით გავა ეთერში?

- გადაცემას „თავისუფალი სექტორი“ ერქმევა და კვირაში ორჯერ, ორშაბათს და ხუთშაბათს - საღამოს რვა საათზე გავა ეთერში. ფორმატი არის კლასიკური თოქ-შოუ. იქნება ბევრი სტუმარი, არამხოლოდ პროფესიონალები. მოვიწვევთ პოლიტიკოსებს, მთავრობას, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებს. საზოგადოება მიჩვეულია, კითხვაზე პასუხი მხოლოდ სპორტის სამინისტროს და ფედერაციებს მოსთხოვოს. თუმცა სპორტზე პასუხისმგებელია მთელი ხელისუფლება, განსაკუთრებით, პარლამენტი. საკანონმდებლო ორგანოში თითქმის არ ხდება სპორტის პრობლემების განხილვა, არსებობს კომიტეტიც. ძალიან მინდა, მაჟორიტარი დეპუტატებიც იყვნენ ჩართულნი ამ პროცესში. მნიშვნელოვანია, ზოგადად აქტიური ადამიანების, ცნობილი სახეების მონაწილეობა დისკუსიებში. გადაცემა იქნება ძალიან მწვავე. უკვე ბევრი თემა განვიხილეთ გუნდში, რაც ძალიან მინდა საჯარო მსჯელობის საგანი გახდეს.

- როგორც წესი, ხშირად გადაცემა, დებატები, საუბრად რჩება და საქმე არ კეთდება პრობლემების მოსაგვარებლად. რეალურად, შეძლებთ, რომ სწორედ ამ მიმართულებით იმუშაოთ?

- მთლიანად ამისკენ ვართ მიმართული. კრიტიკა იქნება კონსტრუქციული, არავის ინტერესი არ არის ვინმეს პიროვნული შეურაცხყოფა მიაყენოს, ვინმეს რეიტინგს დაემუქროს. პირიქით, ნუ გავჩუმდებით პრობლემებზე, თვალს ნუ დავხუჭავთ, ერთად მოვაგვაროთ. იმედი მაქვს, ამ განწყობას ყველა კარგად დაინახავს, რადგან ეს არი მხოლოდ ქართული სპორტის, სპორტსმენების და გულშემატკივრების ინტერესს მოემსახურება. განწყობა კონსტრუქციულია და იმედი მაქვს, კრიტიკას ყველა ადეკვატურად შეხვდება.

- გუნდი უკვე შეარჩიეთ, ვინც თქვენთან ერთად იმუშავებს?

- როდესაც TVS-ში მივედი, უკვე ძალიან დიდი სამუშაო იყო გაწეული. რაც მომწონს აქ, ის არის, რომ მართლა ერთი გუნდია. ყველა აკეთებს ერთ დიდ საქმეს. რაც ყველა ტელევიზიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

- ვიზუალს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტელევიზიაში, რეიტინგისთვისაც საჭიროა, ამ მხრივ, რამდენად კმაყოფილი ხართ?

- როდესაც ტელევიზიას აკეთებ, ამას ყურადღება არ მიაქციო, უბრალოდ წარმოუდგენელია. ტელევიზია - პირველ რიგში ვიზუალური მხარეა. თუ ამას ყურადღებას არ აქცევ, რადიოში ან პრესაში უნდა იმუშაო. TVS-ში ყველას კარგად ესმის და ხვდებიან, რომ პრობლემებზე საუბრის მიღმა, ადამიანები, გართობის გამოც უყურებენ ტელევიზიას, უნდათ, რომ დაისვენონ, დრო კარგად გაატარონ, ვიზუალურად რაიმე საინტერესო ნახონ. სწორედ მათთვის იქნება ეს ტელევიზია. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ ჩემს ჩაცმულობაზე, სპეციალურად იზრუნებს ატელიე CLOSET-ი და სილამაზის სალონი ,,მილანი“. ამისთვის, დიდი მადლობა მათ.

ეს ტელევიზია ნამდვილად ახალი სიტყვაა ქართულ მედიაში. სამაუწყებლო ბადე გავსებულია არა მხოლოდ უცხოური თამაშების ტრანსლირებით, არამედ ორიგინალური გადაცემებით ქართულ სპორტზე. ეს არის სიახლე და ძალიან დროული პროდუქტი. მუდმივად სხვა ქვეყნის სპორტის სახეობების გულშემატკივრობა, სხვისი წარმატების ყურება ქართველ გულშემატკივარს აღარ აკმაყოფილებს. ჩვენ გვინდა, საყვარელ სახეობებში საკუთარი სპორტსმენები ვნახოთ, ამაზე თუ არ ვისაუბრეთ, ვიფიქრეთ, როგორ უნდა გაკეთდეს ეს ყველაფერი, არასდროს არაფერი შეიცვლება. TVS ნამდვილი ეროვნული პროექტია. დიდი მხარდაჭერა ქართული სპორტის, რომელსაც დღეს თავისი დიდი ტრიბუნა არ აქვს. ცალკეული გადაცემები საქმეს არ შველის, საჭიროა საჯარო დისკუსია, საჯარო ტრიბუნა, რომ ეს მწვავე თემა განიხილო, არა მხოლოდ ზოგადი ლაპარაკის, არამედ პასუხისმგებლობის მქონე და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან დისკუსიის დონეზე. რათა მათ მუდმივად ჰქონდეთ განცდა, რომ საზოგადოება ამაზე ფიქრობს და ნერვიულობს. ტელევიზია, ყველა შემთხვევაში, იქნება დიდი მუხტის მიმცემი სპორტის სამყაროსთვის. გვინდა, ხალხმა იცოდეს კარგიც და ცუდიც და, რა თქმა უნდა, ერთად უნდა ვიფიქროთ, ცუდის გამოსწორებაზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ანი ტყებუჩავა



მაია ასათიანი

paparazzi

თამუნა ლეკვეიშვილი

მიშა ანდღულაძე

ვანო ჯავახიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: თინა თუთიხანი

ნუკი კოშკელიშვილი

თამუნა მუსერიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ გონგაძე

„სიმინდის კუნძული“ „ოსკარზე“

გიორგი ოვაშვილი: „ფილმი საქართველომ წარადგინა და ეს სხვანაირად სასიამოვნოა“

გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“ საქართველომ 5 სექტემბერს ამერიკული კინოაკადემიის უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში ნომინაციაზე წარადგინა. ამის შესახებ გადაწყვეტილება კულტურის სამინისტროში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ გაასაჯაროვა. 12 ივლისს ფილმი კარლოვი ვარის 49-ე საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული და მთავარი პრიზის „ბროლის გლობუსის“ მფლობელი გახდა. რამდენიმე თვის მანძილზე ფილმს კიდევ ბევრი ფესტივალი აქვს მოსავლელი.

„ოსკარის“ უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაზე წარსადგენი ქართული კინოსურათი სპეციალურმა კომისიამ ფარული კენჭისყრის შედეგად გამოავლინა. ოთხი დღის განმავლობაში ჟიურიმ ოთხი ქართული ფილმი ნახა. თინათინ ყაჯრიშვილის „პატარძლები“, ლევან კოლუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“, გიორგი ოვაშივილის „სიმინდის კუნძული“და მარიამ ქაცარავას „ზღვარი“.

კომისიის შემადგენლობაში იყვნენ: ლანა ღოღობერიძე, მიხეილ კობახიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, კოტე ჯანდიერი, ვლადიმერ კაჭარავა, ნინო მხეიძე, ნანა ჯანელიძე, ნანა ექვთიმიშვილი, რუსუდან ჭყონია, ნატა მურვანიძე, კახა კანდელაკი.

ნანა ჯანელიძე: - ფილოსოფიური ფილმია, ბიბლიური ტიპის თხრობით. ადამიანი და ღმერთი, ადამიანი და სამყაროა - ამაზეა ფილმი. დიდი სუნთქვით არის გადმოცემული სათქმელი. დროული ფილმია, ადამიანი დაფიქრდეს არა ყოველდღიურობაზე, არამედ მარადიულ თემებზე. ფილმს ჯერ დიდი გზა აქვს გასავლელი. უცხოურ ფილმთა ცხრა ნომინანტიდან, ხუთი უნდა აირჩიონ. ფილმს წარმატებას ვუსურვებ.

ეს ფილმი ჯერ მხოლოდ კანდიდატ ფილმადაა წარდგენილი და კინოაკადემიის ნომინაციაში მოსახვედრად კიდევ ერთი შერჩევა უნდა გაიაროს. აი, არჩევის შემთხვევაში კი „სიმინდის კუნძული“ „საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის“ კატეგორიაში იქნება წარდგენილი. კინოაკადემია ნომინაციებს 2015 წლის 15 იანვარს გამოაცხადებს, თავად დაჯილდოების ცერემონია 22 თებერვალს დოლბის თეატრში გაიმართება.

ევროპული კინოაკადემიის პროგრამით ლუქსემბურგში მყოფი გიორგი ოვაშვილი ვიპოვეთ.

გიორგი ოვაშვილი: - როდესაც დამირეკეს და ეს სიახლე შემატყობინეს, უცნაური და სასიამოვნო გრძნობა დამეუფლა. ფილმი საქართველომ წარადგინა და ეს სხვანაირად სასიამოვნოა.

- კონკურენტი ფილმები ნანახი გაქვთ?

- კოლუაშვილის და ყაჯრიშვილის ფილმები ნანახი მაქვს. კოლეგებს პატივს ვცემ და მივიჩნევ, რომ ღირსეული კონკურენტები იყვნენ.

- ჩვენ როდის ვიხილავთ „სიმინდის კუნძულს?“

- 17 სექტემბერს „ამირანში“ პრემიერაა, ეკრანებზე კი 24 სექტემბრიდან გამოვა.

სოფო ჭყონია მოდის კვირეულს აკეთებს

„მასშტაბური და საკმაოდ მრავალფეროვანი იქნება, ბევრი საინტერესო სტუმრით“

მოდის სფეროში მოღვაწე სოფო ჭყონია მალე მოდის კვირეულის ტიპის პროექტის გაკეთებას გეგმავს. ჯერჯერობით დეტალებს არ ამხელს. თუმცა ექსკლუზიურად ჩვენი მკითხველისთვის ინფორმაციას ადასტურებს და აცხადებს, რომ ეს იქნება მასშტაბური პროექტი. სოფო პარიზშია და „პრაიმტაიმის“ შეკითხვებს ინტერნეტის მეშვეობით გასცა პასუხები.

სოფო ჭყონია: - ჯერ ვერ გეტყვით, კონკრეტულად რის გაკეთებას ვაპირებ, მაგრამ ვაკეთებთ ძალიან საინტერესო პროექტს. ერთის თქმა შემიძლია - მასშტაბური და საკმაოდ მრავალფეროვანი იქნება, ბევრი საინტერესო სტუმრით. BE NEXT-ი საკმაოდ წარმატებული პროექტი აღმოჩნდა და ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა სურვილი, რომ მათთანაც ჩავატაროთ. ასე რომ, მომავალი წლიდან რამდენიმე ქვეყანაში ჩატარდება და საერთაშორისო პროექტის სტატუსიც შეიძინა. ჩვენი მთავარი მიზანია განათლების დონის და პროფესიონალიზმის ამაღლება. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ამის დეფიციტია! ბევრი შრომა, გამძლეობა და შეუპოვრობა არის საჭირო იმისთვის, რომ წარმატებას მიაღწიო, განსაკუთრებით, მოდის სფეროში. სამომავლოდ ძალიან ბევრ სიახლეებს ვაპირებთ და BE NEXT Georgia უფრო მასშტაბური იქნება. თითქმის მთელი მსოფლიოდან გვწერენ დიზაინერები და გვიგზავნიან თავიანთ ნამუშევრებს.

- რა ხდება მოდის ქალაქში - პარიზში? ახლა რას საქმიანობთ?

- პარიზი ის ქალაქია, რომელმაც საკუთარი თავი მაპოვნინა! აქ ყოველთვის რაღაც ხდება. უბრალოდ, პარიზის ქუჩებში რომ გაისეირნო, უკვე ძალიან დიდი ინსპირაციაა. ეს ქალაქი სუნთქავს ხელოვნებით, მოდით და სიყვარულით. რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, ვაგრძელებ პატარა ფილმების გადაღებას მოდის კორიფეებზე და არა მარტო მოდის. ჯერ კიდევ ბევრ საინტერესო ადამიანთან მელის შეხვედრა. ამჟამად უკვე 36 ფილმი, ანუ პორტრეტი მაქვს გადაღებული. მიუხედავად იმისა, რომ მოდის სფეროში აქტიურად ვმოღვაწეობ, კინო ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. ვაპირებ განათლების მიღებას და უკვე გადავდგი ამ კუთხით ნაბიჯები.

პარიზი ჯადოსნურ ყუთს ჰგავს, ყოველდღე ახალი და საინტერესო ხალხი მხვდება. ამოუწურავი თემაა. წინ კიდევ ბევრი სიურპრიზი მელოდება, ვიცი. თითქმის ყველა იმ ადამიანთან, ვისთანაც ინტერვიუ ჩავწერე, ყველასთან მეგობრული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, რაც დიდი პატივია ჩემთვის.

- ახლა ცხოვრებაში იმას აკეთებთ, რაც გინდათ?

- რა თქმა უნდა! ასე რომ არ იყოს, შევცვლიდი ჩემს ცხოვრებას. ცხოვრება რთულია, მაგრამ მთავარია, რომ ყველაფერს მარტივად შეხედო და შენ თავს უთხრა - „ყველაფერი გაივლის“, როგორც მეფე სოლომონის ბეჭედზე ეწერა.

- იოგით საფრანგეთშიც ხართ დაკავებული?

- იოგას აქტიური მიმდევარი ვარ. მიმდევარი იმიტომ, რომ იოგა ვარჯიში არ არის, იოგა ცხოვრების სტილია.

- თქვენთვის იდილია რა არის?

- ჩემი იდილია ჩემი შვილები და ჩემი საქმეა. უნდა აკეთო ის, რაც გიყვარს და მაშინ ყველაფერი გამოგივა.

„პარიზი ის ქალაქია, რომელმაც საკუთარი თავი მაპოვნინა! უბრალოდ, პარიზის ქუჩებში რომ გაისეირნო, უკვე ძალიან დიდი ინსპირაციაა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უნივერსიტეტში წმინდა მღვდელმოწამე არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის მემორიალური დაფა იხსნება

EXCLUSIVE

my View
თამარ გონგაძე

დაბადებიდან 115 წლისთავზე ასრულდა მისი ოცნება და იგი, 93 წლის შემდეგ, კვლავ უბრუნდება მშობლიური უნივერსიტეტის კედლებს

2014 წლის 13 სექტემბერს წმინდა მღვდელმოწამე არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძის დაბადებიდან 115 წლისთავზე ასრულდა მისი ოცნება და იგი, 93 წლის შემდეგ, კვლავ უბრუნდება მშობლიური უნივერსიტეტის კედლებს.

წმინდა გრიგოლ ფერაძის საზოგადოების და პირადად მისი დამფუძნებლის, ილია ფერაძის ინიციატივითა და თაოსნობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზის ფოიეში წმინდანის მემორიალური დაფა გაიხსნება. გახსნის დღეს დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში სავედრებელი პარაკლისი აღევლინება. პოლონეთიდან ელოდებიან წმინდა გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფს - ჰენრიკ პაპროცკის.

წმინდა გრიგოლ ფერაძის საზოგადოება 2002 წელს დაფუძნდა. საზოგადოებამ მესამედ გამოსცა წიგნი გრიგოლ ფერაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. წიგნი საჩუქრად რიგდება. საზოგადოება აღნიშნავს დაბადების და გარდაცვალების დღეს. 6 სექტემბერს ვარშავის უნივერისტეტში ტარდება დიდი კონფერენცია, სადაც მოღვაწე პროფესორი დავით ყოლბაია თავის გამოცემებში აქვეყნებს წმინდა გრიგოლის ნაშრომებს. ბატონ დავითს თბილისში 13 სექტემბერს ელოდებიან. იქვე დაგეგმილია ხუთტომეულის გამოცემა. ორი ტომი უკვე გამოცემულია. ილია ფერაძემ თავის წინაპარზე გადაიღო დოკუმენტური ფილმი - „ის, რაც გვახსენებს გრიგოლ ფერაძეს“. ფილმში წმინდანის საქართველოში ცხოვრების ფაქტებს თამაზ ტყემალაძე და ელდარ ნადირაძე ყვებიან.

ილია ფერაძე: „მემორიალური დაფის გახსნაში მხარში დაგვიდგა უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი ვლადიმერ პაპავა. დაფის დიზაინი ჩემმა ქალიშვილმა ნინო ფერაძემ გააკეთა, გია ჯაფარიძემ ჩამოასხა, უწმინდესმა აკურთხა.

წმინდა გრიგოლის ერთ ძმას, სიმონს, სამი შვილი ჰყავდა. იმ ერთი შტოს წარმომადგენელი გახლავართ. წმინდა გრიგოლ ფერაძე ბაბუაჩემის ბიძაშვილიშვილი იყო“.

გრიგოლ ფერაძე უნივერსიტეტში სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდა. საქართველოდან 1921 წელს წავიდა. საეკლესიო კრებამ თეოლოგიური ცოდნის გასაღრმავებლად ერთადერთი ახალგაზრდა კურსდამთავრებულის საზღვარგარეთ გაგზავნა გადაწყვიტა. გრიგოლი მისი პედაგოგის კორნელი კეკელიძის რეკომენდაციით გაგზავნეს გერმანიაში. 1926 წელს ბერლინის უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. გახდა ევროპის ცნობილი ორიენტალისტი. ქართული ეკლესიის ისტორიაზე ლექციებს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში კითხულობდა. იყო ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი. 1927 წელს ლოზანაში მსოფლიო საეკლესიო კონფერენციას საბჭოთა კავშირიდან ერთადერთი ის დაესწრო.

„მთელი თავისი ემიგრაციაში ცხოვრების მანძილზე სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდა. წერილებში, რომლებიც შემონახულია, ის, ივანე ჯავახიშვილსა და კორნელი კეკელიძეს სწერდა - ეგებ დამეხმარეთ და დამაბრუნოთ სამშობლოშიო. მინდა ჩემი ცოდნა მშობლიურ უნივერსტიტეტს მოვახმაროო. მიუხედავად არა ერთი მცდელობისა, კომუნისტურმა მთავრობამ არ მისცა სამშობლოში დაბრუნების უფლება. მშობლიურ უნივერსიტეტში მოღვაწეობა ოცნებად დარჩა. დაბრუნების თაობაზე ორჯერ მიმართა იოსებ სტალინსაც კი. კომუნისტებს კი თეოლოგები არ სჭირდებოდათ. ჩემი ამ ინიციატივით ჩემს წინაპარს თითქოს ამ სურვილს ვუსრულებ.

1929 წელს პარიზში ქართულ სათვისტომოსთან ჩავიდა. იქ ქართველი ემიგრანტები იყრიდნენ თავს. მათი თხოვნით ეკლესიის წესდება დაწერა და წმინდა ნინოს სახელობის პირველი მართლმადიდებლური ქართული ეკლესია აშენდა. ხან ლათინურად ტარდებოდა წირვა, ხან არ ტარდებოდა. 1931 წელს ქართული სათვისტომოს თხოვნით ბერად აღიკვეცა, შემოსავლიან სამსახურს თავი დაანება და გახდა ამ ტაძრის მოძღვარი. გამოსცა ქართული ჟურნალი, სადაც დიასპორის წერილები ქვეყნდებოდა. ლოზანაში პოლონეთის მიტროპოლიტი ვალედინსკი გაიცნო. მან პოლონეთში დაპატიჟა წმინდა გრიგოლი. 1933 წელს ვარშავაში ერთი პირობით ჩავიდა. თუ პოლონეთის ეკლესია საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას ცნობდა.

იყო ევროპაში პირველი პატროლოგი (ეკლესიის მამათა ცხოვრების, ნაშრომთა და მოძღვრების შესწავლა და გადმოცემა). იცოდა 16 ენა. წყაროებს ორიგინალში ეცნობოდა. ოცნება აუხდა, იმოგზაურა იერუსალიმში და 1936 წელს შეგროვილი მასალებისგან გამოსცა წიგნი - „საქართველოს ძეგლები წმინდა მიწაზე“. წიგნი ერთი ამოსუნთქვით წასაკითხია.

იმდენად საინტერესო იყო მისი ლექციები, რომ მუსულმანებიც ესწრებოდნენ თურმე ლექციებს. გერმანელებმა მეორე მსოფლიო ომის დროს ბერლინში გადასვლა და ლექციების წაკითხვა შესთავაზეს, მაგრამ გრიგოლ ფერაძემ უარი განაცხადა. ფაშისტური გერმანიის პოლონეთში შეჭრის შემდეგ მათი მხარდამჭერი ქართველების დასმენით - ებრაელებს იფარებსო, მამა გრიგოლი დაიჭირეს და ოსვენციმის ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. 1942 წლის 6 დეკემბერს მამა გრიგოლი ამ ბანაკში მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა. მისი გარდაცვალების ორი ვერსია არსებობს. ერთ-ერთი ებრაელი პატიმრის ნაცვლად გაზის კამერაში ის შევიდა. ეს ებრაელი მრავალშვილიანი იყო და სულ შვილებზე საუბრობდა, გრიგოლმა ის გადაარჩინა. ომი რომ დასრულდა მისი ჯვარი პოლონეთის მიტროპოლიტს მიუტანეს. მეორე ვერსიით ციხეში ვიღაცამ პური მოიპარა. პატიმრები 20-გრადუსიან ყინვაში ფეხშიშველნი დაამწკრივეს ეზოში და სანამ დამნაშავე არ გამოვა, ცოცხლები ვერ გახვალთო, ბრძანება გასცეს. ამ დროს გამოსულა მამა გრიგოლი - მე მოვიპარეო, დაიბრალა. ჯერ წყალი გადაუსხიათ და ძაღლები მიუსევიათ. მერე ბენზინი და დაუწვავთ. ტყვეებისთვის უთქვამთ, მიდით, თქვენი მეგობარი გაგათბობთო. მისი საფლავი არ არსებობს.

ოსვენციმის საკონცეტრაციო ბანაკში ნამყოფი ვარ, იმ ადგილზე, სადაც ჩემი წმინდანი წინაპარი აწამეს.

უდიდესი მნიშვნელობის 72 ნაშრომი აქვს. მასზე ორი ფილმი არსებობს. ერთი პოლონელებმა გადაიღეს, მეორე რეზო თაბუკაშვილმა დაიწყო და მისი გარდაცვალების მერე მისმა მოწაფეებმა დაასრულეს.

ვარშავის მართლმადიდებლური ეკლესია დიდ პატივს მიაგებდა თავიდანვე. საბჭოთა კავშირის დროს ჩვენ კათალიკოს პატრიარქს სამი წერილი მოსწერეს - მამა გრიგოლი წმინდანად შერაცხეთო. პოლონელებს რომ შეერაცხათ - მორწმუნეთა რწმენით, მისი სული საქართველოში არ დაბრუნდებოდა. ის კი მუდმივად ოცნებობდა აქ დაბრუნებაზე. 1995 წელს 19 სექტემბერს, ილია მეორის თაოსნობით, წმინდა სინოდმა მამა გრიგოლი წმინდანად შერაცხა. ზუსტად ორ თვეში პოლონეთშიც შერაცხეს... ამდენად, მამა გრიგოლი ორი მართლმადიდებელი ქვეყნის წმინდანია. პოლონეთში წმინდა გრიგოლის სახელობის სამი ეკლესიაა. საქართველოში მისი სახელობის არაფერია. ბაკურციხეში დანგრეული სახლია, სადაც მშობლები ცხოვრობდნენ. ჩვენ პროექტი გავაკეთეთ, გვინდა რომ სახლმუზეუმი გაკეთდეს, მაგრამ თანხები სჭირდება. ვცდილობთ სპონსორის მოძიებას“.







ილია ფერაძე: „მთელი თავისი ემიგრაციაში ცხოვრების მანძილზე სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდა. წერილებში, რომლებიც შემონახულია, ის, ივანე ჯავახიშვილსა და კორნელი კეკელიძეს სწერდა - ეგებ დამეხმარეთ და დამაბრუნოთ სამშობლოშიო. ორჯერ მიმართა იოსებ სტალინსაც კი. ჩემი ამ ინიციატივით ჩემს წინაპარს თითქოს ამ სურვილს ვუსრულებ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო დარასელი

ᲤᲝᲢᲝ: ᲗᲘᲜᲐ ᲗᲣᲗᲘᲚᲐᲜᲘ

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ნინუცა გაბისონია

ასაკი: 20წ,
მოდელერალი (Band Gravity)

ზედა - Nasty Gal
შარვალი - Jennyfer
ჩანთა - Mango
ფეხსაცმელი - Bershka

სალომე სომხიშვილი

ასაკი: 16,
სკოლის მოსწავლე

ფეხსაცმელი - Benssimon
ქვედაბოლო - River Island
ზედატანი - დიზაინერული
ჩანთა - David Jones
საათი - Snobi

Nancy Woland

ასაკი: 23 წ.
მხატვარი

კაბა - New Look
ჩანთა - HandMade
ყელსაბამი - HandMade by Nancy Woland

ვანო გელაშვილი

ასაკი: 23 წ.
ტრეისერი (პარკურის სახეობა)

ზედა - Element

ამ ბრენდის სამოსს იწერს საიტებიდან ან შოულობს მეორადებში. ფეხსაცმელებს დეზერტირების ბაზრობის გვერდით ყიდულობს. ხშირ შემთხვევაში აცვია ბრიჯები ან ნეპალური შარვლები.

STREET Style

ანა ბარათაშვილი

ასაკი: 31 წ.
ოჯახის ექიმი

კაბა - შეკერილი
ჩანთა - Hand made
ფეხსაცმელი - Zara
საათი - Titan
სათვალე - Victoria's Secret

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შვიდწლიანი პაუზის შემდეგ ცუცა

„შენს ქვეყანაში წარმატებული და ამერიკისთვის საჭირო ადამიანი“. მეც ამ კუთხით მიმიღეს და ჩასვლიდან რვა თვეში მივიღე მწვანე ბარათი. შარშან კი ამერიკის მოქალაქე გავხდი“

my View
თამარ გონგაძე

ცუცა კაპანაძე სამშობლოშია. მსახიობი შვიდწლიანი პაუზის შემდეგ ამერიკიდან სამკვირიანი ვიზიტით სტუმრობს საქართველოს. ძალიან პოზიტიური ადამიანია; პირველი, რასაც მასთან კონტაქტით იღებთ, დადებითი ენერგიაა და ეს გადამდებია. „რა მაგარია ქალია“ , - მითხრა ფოტოგრაფმა როგორც კი მისგან წამოვედით. ენერგიით გავსებთ და კარგ განწყობაზე დგებით. ეს ყველას არ შეუძლია. არც სხვისი გაცინებაა იოლი. კომიკოსობა ტრაგიკოსობაზე რთულიაო, ამბობენ. ცხოვრებაც არ აქვთ სულ სახალისო და სატაშფანდურო. ყველაზე ტრაგიკულები კომიკოსი მსახიობები არიანო, რობინ უილიამსის თვითმკვლელობაზე საუბარს მოაყოლა ცუცამ. ალბათ, ასეც არის. ერთ მომენტში, როდესაც შვილის თემას შეეხო, ისე დამასევდიანა, ცხოვრებაზე ღრმად ჩავფიქრდი. უკან რომ ვიხედები სიცარიელეა, ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობ, არ მივიხედოო, მითხრა. ასეთი მხიარული ქალი ასეთ ტკივილს ატარებს. მოკლედ, ცუცა კაპანაძე თბილისშია!

რას უწუნებს ცუცა თბილისს?

ცუცა კაპანაძე: „საქართველოში შვიდი წელი არ ვყოფილვარ. ხუთი წლის წინ მხოლოდ ხუთი დღით ვიყავი ჩამოსული - საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილმა“ დამაჯილდოვა ნომინაციით - „წარმატებული პერსონა“ და გადმომცა პრიზი ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის ამერიკაში. მაგრამ ამ ვიზიტს არ ვთვლი. 23 აგვისტოს ჩამოვედი და მარიამობას ჯვრის მონასტერში შევხვდი, მოძღვარი მამა კონსტანტინე ვინახულე და ჩემს უსაყვარლეს მიწაზე ჩემს უსაყვარლეს მოძღვართან ვეზიარე“.

ამერიკაში, 2007 წელს, ხათუნა იოსელიანთან ერთად წავიდა. მსახიობებმა, ჩასვლიდან რვა თვეში, მწვანე ბარათი მიიღეს, შარშან კი მოქალაქეობა. ცუცა და ხათუნა ნიუ-იორკის ქართული კულტურის ცენტრში - „მოცეკვავე წერო“ - მოღვაწეობენ, ამერიკელ ქართველ ბავშვებს ქართულ კულტურასა და სულს არ აკარგვინებენ. ამით ბედნიერია.

„ზემო იმერეთიდან გახლავართ, კოპწია იმერეთიდან, საიდანაც კულტურა და განათლება მოდის. ჩამოვედი თუ არა, საჩხერე ვნახე პირველ რიგში, დედულეთი - სხვიტორი მოვინახულე. იქ რომ არ წავსულიყავი, მორალური უფლება არ მქონდა. თბილისი დიდი ხანია არ მინახავს და ყველაფერი მომეწონა. რა არ მომეწონა, იმასაც გეტყვით - ეს არის ახალი ხიდი, იუსტიციის სახლი და „ტრუბები“, რომლებიც შეძლება ცალკე, არქიტექტურული თვალსაზრისით, ძალიან ლამაზი შენობებია, მაგრამ იმ კონკრეტულ გარემოს და ლანდშაფტს არ უხდება, სადაც დგას. ძალიან ამოვარდნილია ძველი თბილისის ხედიდან. ტურისტებისთვის მიმზიდველია მტკვარზე ბორანი რომ დგას, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა, რიყეზე მდგარი „ტრუბების“ მნიშვნელობას ვერ მივხვდი. ლონდონში ახალი შენობები სპეციალურად ხავსმოკიდებული აგურისფრით არის აშენებული, რომ ისტორიული ქალაქის საერთო ხედიდან არ ამოვარდეს“.

„მე რომ ამერიკის მოქალაქე ვარ, ეს შევარდნაძის დამსახურებაა“

ისევე, როგორც ყველა „პასეანსელი“, ცუცაც ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრ-სტუდია „მოდინახეს“ მსახიობია. ჩამოსვლისთანავე მოინახულა ძველი მეგობრები. „მერვეკლასელო“ და „პა სეანსის“ სეანსები 90-იანი რუხი წლების გამონათება იყო. ცუცა მეგობრების ეკრანიდან გაუჩინარებას განიცდის.

„მინდა ჩემი გულისტკივილი გამოვთქვა. სამწუხაროდ, ეს უნიჭიერესი ადამიანები არ სჭირდებათ. იქნებ შეკრებილიყავით რომელიმე არხზე და გაგეკეთებინათ პროექტი და მე პერიოდულად შემოგიერთდებით-მეთქი, ვუთხარი ბიჭებს. მათ მიპასუხეს, ჩვენ რამდენიმე პროექტით ყველა არხზე ვიყავით, სადაც გვითხრეს - რა კარგი იქნება თქვენი ერთად გამოჩენაო... მაგრამ წინა ხელისუფლებას (იგულისხმება შევარდნაძის დრო) დითირამბებს უმღეროდით, თან ძველი სახეები ხართო. ასე მიპასუხეს. აი, აქ მთავრდება ყველაფერი. იუმორს ასაკი არ აქვს. თუ იუმორისტულ გადაცემას კონკურენტი არ ჰყავს, ის ერთ დონეზე იყინება. მაყურებელსაც იმ გემოვნებაზე ტოვებ, რა გემოვნებასაც სთავაზობ. ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველები რომ მხვდებიან, იმ იუმორს მისტირიან ჩვენ რომ ვაკეთებდით. იმ დროს სხვებიც აკეთებდნენ იუმორისტულ შოუებს, მაგრამ სათანადო კონკურენცია ვერ გაგვიწიეს. მე ხელისუფლების კრიტიკას არ ვიწყებ, არავისტი ვარ, მე ჩემი ქვეყნისტი ვიყავი და ვიქნები. ეგებ ქართველები კერპთაყვანისმცემლობას მოვეშვათ. მოვიქცეთ ასე და ერი და ბერი გაერთიანდება. ჩემი თაობა კინოკადრივით ამოგვჭრეს და გვერდით გადავწიეს. ეს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. იუმორისტი არ უნდა დაყო „ვიღაცისტად“ და მთავრობის დითირამბების მომღერლად და არამომღერლად. მე რომ ამერიკის მოქალაქე ვარ, ამაში დიდი დამსახურება აწგანსვენებულ ედუარდ შევარდნაძეს მიუძღვის. ბატონმა ედუარდმა 1986 წელს „შემოქმედებაში გაწეული წვლილისთვის“ ღირსების ორდენით დამაჯილდოვა. 2007 წელს საბუთები რომ შევიტანე ამერიკის საელჩოში, თან მივიტანე ყველაფერი, რაც კი რამ გამიკეთებია. თავისი პასპორტით წარვადგინე სახელმწიფოს პირველი პირის მიერ მოცემული ჯილდო. ამერიკელებს ხელოვანების, სპორტსმენებისა და მეცნიერებისადმი აქვთ ასეთი მიდგომა და დამოკიდებულება - „შენს ქვეყანაში წარმატებული და ამერიკისთვის საჭირო ადამიანი“. მეც ამ კუთხით მიმიღეს და ჩასვლიდან რვა თვეში მივიღე მწვანე ბარათი. შარშან კი ამერიკის მოქალაქე გავხდი“.

„ქართული ხელოვნება და სულიერება რომ არ დავუკარგოთ ჩვენს ემიგრანტებს, ამისთვის ვიღწვით“

ნოსტალგია

„სხვა მხარეში მცხოვრებ ქართველებს ჩვენი ქვეყნის დიდი ნოსტალგია გვაქვს. როცა სხვა ქვეყანაში ცხოვრობ, სხვა ტკივილით გიყვარს და სულ სხვანაირად უყურებ შენს ქვეყანას. სხვა თვალით აღიქვამ აქ განვითარებულ მოვლენებს. მხოლოდ ამერიკაში 150 ათასი ქართველი ცხოვრობს. ქვეყანა არ არსებობს ჩვენ არ ვცხოვრობდეთ. მე ღმერთის იმედი მაქვს, ჩვენი ქვეყანა გაბრნყინდება. ნიუ-იორკის ქართული კულტურის ცენტრში კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ ვასწავლით ბავშვებს. ახლა ზუსტად იმ მდგომარეობაში ვართ, რაც მეფე გიორგის თავის მონოლოგში უწერია: თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის და ვერ გაამარჯვებინებსო. „ნატვრის ხის“ ფრაზა გახსოვთ - „ფუნქცია დავკარეთ და ერი საშოვარზე გაშვებულ ცხვრის ფარას დაემსგავსა“, - ასეა“.

პირველი წლები

„ამერიკას პირველად გასტროლებით 1988 წელს ვესტუმრე, ბერლინის კედელიც არ იყო დანგრეული. ქვეყნის ტურისტის თვალით ნახვა კარგია, მაგრამ იქ ცხოვრების შესაძლებლობა რომ მომეცა, თუ დამიჯერებთ, ერთი წლის განმავლობაში ყოველ ღამე ვტიროდი. ყველა და ყველაფერი მენატრებოდა. მერე, მიუხედავად იმისა, რომ ხუთი წელი მანჰეტენზე ვცხოვრობდი, სადაც გძრნობ, რომ ამ ზესახელწიფოს ნაწილი ხარ, ეს გრძნობა არ მტოვებდა. მერე ბრუკლინში გადავედი. ნიუ-იორკის შტატი 16 კუნძულისგან შედგება, ბრუკლინი ერთ-ერთია. აქ ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხი ცხოვრობს, რუსულითაც ფანტასტიკურად გახვალ. „აპწეკა“, „გასტრონომ“ - რუსულად აწერია. ჩავედი და პირველ წლებში მოვწყდი ჩემს საყვარელ საქმეს. დავიწყე მეგობრის ოჯახში მუშაობა, ბავშვებს ვზრდიდი. მერე მოხუც ბებიასთან ვიყავი მომვლელად. შემოსავლის წყარო მჭირდებოდა. როცა საბუთები არ გაქვს და ენა არ იცი, ყველა სამუშაოზე მიდიხარ. თავმოყვარეობას დროებით გვერდით დებ. ზემო იმერელს კუდი რომ ყავარზე გაქვს გადებული, დროებით ხრი :) მერე ნელ-ნელა სწავლობ ყველაფერს. მეც კი მინდოდა ოფისში და ტელევიზიაში მემუშავა, მაგრამ აქედან ჩატანილი ინგლისურით ვერაფერს გავხდებოდი. რა დონეზეც ვიცოდი ენა, ისეთ სამსახურს ვშოულობდი“.

ნიუ-იორკის ქართული კულტურის ცენტრი

20 წლის წინ ვიქტორ სირელსონმა და მისმა მეუღლემ ლიკა ბახტურიძე-სირელსონმა ქართული კულტურის ცენტრი „მოცეკვავე წერო“ დააარსეს. თავიდან ცენტრში მხოლოდ ქართულ სიმღერასა და ცეკვას ასწავლიდნენ და ანსამბლი ჰქონდათ. ამერიკაში ამასობაში დარჩნენ ქართველი ბალერინები, სუხიშვილების მოცეკვავეები, მომღერლები (დათო ჭკუასელი). ლიკა ჩემი ნათლულია და ვუთხარი, წრეები გაეფართოებინათ. დღეს უკვე ბრუკლინში დიდების თეატრი, ბავშვთა თეატრი და სტუდია ერთად არის. ჩვენთანაა საბალეტო სტუდია, ცეკვის წრე (ქორეოგრაფიული ანსამბლი), სიმღერის გაკვეთილები, მსახიობის ოსტატობა, მუსიკალური სკოლა, საჭადრაკო სკოლა. ბავშვებს მსახიობის ოსტატობას მე ვასწავლი და სპექტაკლებს ვდგამ. ქალბატონი ხათუნა დიდებთან მუშაობს.

2008-ში ნიუ-იორკის ქართული თეატრი გაიხსნა, დავდგით ოტია იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“. იმ დროს რუსეთ-საქართველოს ომი იყო და გაეროს წინ საპროტესტო აქციაზე ვიდექით. თბილისი უნდა აიღონო რომ ითქვა, რეპეტიციები შევაჩერეთ, რა დროს სპექტაკლია, ჩვენ ქვეყანაში ომი გვაქვს-მეთქი. ამერიკელებმა გვითხრეს - პირიქით, ამ დროს უნდა იყოთ ძლიერი და სულიერად არ უნდა გატყდეთო. 15 სექტემბერს პრემიერა გვქონდა ბროდვეიზე. გაეროს ელჩი ირაკლი ალასანია იყო. მან წარმოთქვა სიტყვა. ქართული დროშებით მოვიდნენ ქართველები. ეს იყო ერის ერთად დგომის და ქართული ხელოვნების ზეიმის დღე. მთელი დარბაზი ტიროდა.

სპექტაკლის მოკლე შინაარსი ამერიკელ მაყურებელს პროგრამის სახით ინგლისურად ხვდება, დანარჩენს მოქმედებით იგებენ. ნოდარ დუმბაძის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ქალბატონმა ხათუნამ „თეთრი ბაიარაღები“ დადგა. მე ნუნუ ექიმს ვთამაშობდი. ძალიან დიდი წარმატება ხვდა წილად. ანშლაგით ჩაიარა. ქართველ ემიგრაციას ძველი სპექტაკლების ნოსტალგია და მონატრება აქვს. ჩვენს პატარა თეატრს თავისი მაყურებელი და გულშემატკივარი ჰყავს, რომელიც მუდმივად გვერდში გვიდგას. ამბობენ, რა ბედნიერები ვართ, ჩვენი თეატრი გვაქვს და დარბაზში რომ ვსხედვართ, გვგონია, რომ საქართველოში ვართო.

„ყველა მამაკაცს ჰქონდა პრეტენზია, რომ მე თეატრისთვის თავი დამენებებინა. ამიტომ არ შევქმენი ოჯახი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კაკანაძე სამშობლოს დაუბრუნდა

„კარგი სამსახური რომ გექნება, მერე მომაკითხე და მოვიფიქრებ მაგ საკითხს-მეთქი. ოჯახი ოჯახია, მაინც ჩარჩოში ხარ, რაც არ უნდა ამერიკა და თავისუფლება ეძახო. არ მინდა თავისუფლების შეზღუდვა. როცა რეპეტიცია მაქვს, მცალია იმის რომანტიკული ვახშმისთვის? მირჩევნია ასე ვიყო. ხელოვანს ვეძებ“

„იცით, რას ვნანობ? შვილი რომ არ მყავს. უკან მოხედვის მეშინია. ჩემ უკან სიცარიელეა“

„ალ პაჩინო ჩემ მხარეს წამოვიდა და ჩავეხუტე - „აი ლავ იუ-მეთქი“ და უცებ, არც ვაცია, არც ვაცხელე და ვაკოცე. სულ სამ ქალს აქვს „დათრევით“ ნაკოცნი ალ პაჩინოსთვის. ერთი არ ვიცი ვინ არის, მეორე მიშელ პფაიფერი და მესამე მე - კაიფობ? კეკელკა ცუცას. აი, იქ იფეთქა იმერულმა კეკელკობამ“

თეატრში ხელფასს არ ვიღებთ. პრემიერაზე სიმბოლური თანხით შემოვიფარგლებით. ყველას ჩვენი სხვა ძირითადი სამსახური გვაქვს. ქართული ხელოვნება და სულიერება რომ არ დავუკარგოთ ჩვენს ემიგრანტებს, ამისთვის ვიღწვით. სტუდიაში ბავშვებს თვეში 50 დოლარზე ნაკლებად ვერ მოამზადებ. შენობის ქირა, 3 800 დოლარი, გადასახდელია.

„მასწ, ჯიგარი რა არისო“ - მეკითხებიან ამერიკის მოქალაქე ქართველი ბავშვები. ჩვენ ცოდნას ჩვენ ქვეყანას მოვახმართო, ამბობენ. მე ვიქნები საქართველოს პრეზიდენტიო. ყველაში კოდია ჩადებული, მაინცდამაინც პრეზიდენტი რატომ უნდა გამოხვიდეთ-მეთქი? ძველი თბილისის დალაგება რა სიამაყეა, თქვენ არ იცით-მეთქი, ვუყვები. ახლა ძველი თბილისი არ იციან, რა არის. ნიჭიერი ბავშვები არიან და წარმატებულები ნებისმიერ სფეროში. მარკ ტვენის სკოლაში, სადაც ძნელია მოხვედრა, თითქმის ყველა ქართველი ხვდება. რამდენიმე ტელევიზიას შევთავაზე, გადავიღებ უამრავ წარმატებულ ქართველზე სიუჟეტს და გაუშვით-მეთქი, არ უნდათ. დათო ფრანგიშვილს ჭიდაობის სკოლა აქვს, ამერიკის და ევროპის ჩემპიონები არიან. მხოლოდ „იმედის“ დილას ვაშუქებინებ.

„ნანა“

ნიუ-იორკში არის წარმატებული კინორეჟისორი ქეთი ორჯონიკიძე - ტელევიზიის კლასს ასწავლის ჩვენთან. ადრე თეა თუაშვილი ასწავლიდა. ქეთიმ ემიგრანტებზე გადაიღო მოკლემეტრაჟიან ფილმი „ნანა“, სადაც მთავარ როლს მე ვასრულებ. დანარჩენები ამერიკელები არიან. მაისში ფილმი ნიუ-იორკის კინოფესტივალზე ოთხი ნომინაციით იყო წარდგენილი, ქეთი „საუკეთესო რეჟისორის ქალის“ ნომინაციით წარადგინეს. მსახიობის ნომინაცია არ ყოფილა.

ჰოლივუდის პროფესორმა რობერტ ტუტაკმა და ვუდი ალენის რეჟისორმა საოცარი რეცენზია დაწერეს.

ქართველი ემიგრანტი ქალის ცხოვრება რეალურ მოვლენებზეა დაფუძნებული. ნანა უვლის მოხუც კაცს, რომელიც ვერ ლაპარაკობს, ჩავარდნილია. სცენარი ქეთიმ თავისივე დოკუმენტური ფილმის საფუძველზე გააკეთა. სამი ქართველი ქალი მოხუც კაცს უვლიდა. ამ სახლში გარდაცვლილი ცოლის სული ცხოვრობდა და მის ქმარს რომ ვიღაც ქალები ეხებოდნენ, ვერ იტანდა ეს სული. ამ სახლში პარანორმალური ფაქტები ხდებოდა, ცვიოდა ნივთები... ეს ფილმი იმ სტუდიაში გავახმოვანე, სადაც მარტინ სკორსეზე ახმოვანებს თავის ფილმებს და სადაც მერლინ მონრომ გაახმოვანა ფილმი. ვთვლი, ეს ქართული ფილმის გამარჯვებაა. ქეთიმ კიდევ ერთი ფილმი გადაიღო ემიგრაციაზე - „ქართული პური“. მთავარ როლს კახი კავსაძე ასრულებს. მე ასისტენტი ვიყავი.

ნიუ-იორკის კინოაკადემიაში რამდენიმე თვე თავისუფალი მსმენელი ვიყავი. ეტიუდები გავაკეთე. ჩვენ მუნჯურად - სტანისლავსკის მეთოდით ვმუშაობთ, ისინი მაიზნერის სისტემით. მითხრეს, შექსპირის ინგლისურით ილაპარაკეთო. მონოლოგს გაძლევენ, ათ წუთში უნდა ისწავლო და ზეპირად წაიკითხო. კარგი ინგლისური არ ვიცი მონოლოგი ათ წუთში ვისწავლო. კასტიგი რომ გაიარო, ფულს იხდი, 800 დოლარიდან იწყება. თუ აგიყვანა, საოცარ თანხას გიხდიან, თუ არ აგიყვანა, დაკარგულია ეს თანხა. ამდენად, ვერ დავდივარ კასტინგებზე“.

ალ პაჩინოსთან შეხვედრა

„ალ პაჩინო ბროდვეიზე შექსპირის „ვენეციელ ვაჭარს“ თამაშობდა. ანშლაგებით მიდიოდა მისი ყველა სპექტაკლი. ჩვენი თეატრის მთელი ჯგუფი ვიყავით მისული. სპექტაკლის მერე გარეთ დავხვდით. გავძვერით და წინ აღმოვჩნდით. გააღო თუ არა კარი, „ალ, ალ“ - ყვირის დაახლოებით სამი ათასი კაცი. მე ვხტივარ, ხელებს, ფეხებს, ყველაფერს ვიქნევ. ალ პაჩინო ჩემ მხარეს წამოვიდა და ჩავეხუტე - „აი ლავ იუ-მეთქი“ და უცებ, არც ვაციე, არც ვაცხელე და ვაკოცე. არ ელოდა, „აი ლავ იუ ბეიბიო“, მითხრა თვითონაც და ლოყაზე მიჩქმიტა. სურათი გადამიღეთ-მეთქი ვყვიროდი. ძალიან სასაცილო ვიყავი, აი, იქ იფეთქა იმერულმა კეკელკობამ. სულ სამ ქალს აქვს „დათრევით“ ნაკოცნი ალ პაჩინოსთვის. ერთი არ ვიცი ვინ არის, მეორე მიშელ პფაიფერი და მესამე მე - კაიფობ? კეკელკა ცუცას. ქუჩაში მელ გიბსონს ვეძებ თვალებით. ლევან უჩანეიშვილს ვურეკავ, ლევან, გიბსონი ცოლს გაეყარა-მეთქი. სხვას შეეყარაო, „მახარა“. მეორე რუსი მოუყვანია. გაშორდა იმ რუსსაც. ლევანი მექსიკიდან მირეკავს, ცუცა, გაეყარა მეორეს და ასე თქვა, რაც ქართველებს რუსებმა გაწყენინათ, მე ამოვიყარე თქვენი ჯავრიო. მაგრამ გალოთდა და არ გირჩევო“.

„ამიტომ არ შევქმენი ოჯახი“

„ცუცა გათხოვდაო - ეს მეოთხე ხელისუფლებამ გამივრცელეთ ქორები. მე ვთქვი, მთხოვნელი მყავს, მაგრამ სხვა შტატში ცხოვროს და ჩემ ანყობილ თეატრს ვერ დავტოვებ-მეთი. აქ გადმოატრიალეს და გამათხოვეს. ახლა მართლა რომ გავთხოვდე, არ დაიჯერებენ :) არიან მთხოვნელები, მაგრამ არ მომწონს... ერთი ამერიკელია, ერთი ქართველი. ქართველს ვუთხარი, კარგი სამსახური რომ გექნება, მერე მომაკითხე და მოვიფიქრებ მაგ საკითხს-მეთქი. ძნელი გადასაწყვეტია. ოჯახი ოჯახია, მაინც ჩარჩოში ხარ, რაც არ უნდა ამერიკა და თავისუფლება ეძახო. არ არის ასე. არ მინდა თავისუფლების შეზღუდვა. მე სპექტაკლი მაქვს, მას შეიძლება უნდოდეს რომანტიკული ვახშამი სადმე რესტორანში. როცა რეპეტიცია მაქვს, მცალია იმის რომანტიკული ვახშმისთვის? ვერ გავაცდენ იმას, რაც ძალიან მიყვარს. ამის კამანდრობის ნერვი არ მაქვს. მირჩევნია ასე ვიყო.

- და ამერიკელს რას უწუნებთ?

- რა ვიცი, ისევ ჩემი ქართველი მირჩევნია. ხელოვანს ვეძებ. ვნახოთ.

- სიყვარული რა არის?

- ცხოვრების მამოძრავებელი ღერძი. სიყვარულის გარეშე ვერაფერს გააკეთებ.

- ელოდებით?

- ველოდები. ბედნიერი ვარ, რომ ეს გრძნობა გამომიცდია. მეოთხე კლასიდან მოყოლებული თერთმეტი ნელი მიყვარდა. ახლა იმერეთში რომ ვიყავი და ის ქუჩები გავიარე, გჯერათ, ჩამესმოდა ყურში - „მიყვარხარ“ - რა ლამაზი სიტყვაა... თუ უსიყვარულოდ „მზეც არ სუფევს ცის კამარაზე“ და „სიო არ დაჰქრის“, როგორ შეიძლება რამე შექმნა? ყველა მამაკაცს ჰქონდა პრეტენზია, რომ მე თეატრისთვის თავი დამენებებინა. ამიტომ არ შევქმენი ოჯახი.

- ახლა ხომ არ ნანობთ ამას?

- იცით, რას ვნანობ? შვილი რომ არ მყავს. უკან მოხედვის მეშინია. მაქსიმალურად ვცდილობ უკან არ მოვიხედო. ჩემ უკან სიცარიელეა. მე სულ ბევრ შვილზე ვოცნებობდი. გოგო ანცი და კუდრაჭა მინდოდა მყოლოდა, ბიჭი ახოვანი და ფართე მხრებით - „მოდექი და იცურავე“. წარმოვიდგენდი - როგორ ეტრფოდნენ ჩემს ვაჟს გოგონები. ქალის პატივისცემა ეცოდინებოდა. საყვარელ ქალს ფეიერვერკს მოუწყობდა, იმას, რაც მინდოდა, რომ ჩემთვის გაეკეთებინათ. ჩემი ბიჭები დამცინოდნენ - რა ცეცხლი და ფეიერვერკი მოგინდა? რაშზე ამხედრებულს რომ ელოდი, ამიტომ დარჩი გაუთხოვარიო. ხომ არის ნათქვამი, „მაშინ მოვა სიყვარული, როცა სულაც არ ელი, იისფერად, ვარდისფერად განათდება მთა-ველიო“. მე ისევ ველი და ველი, და მოვა. მაგრამ როდის? „როცა საღამო ენძელების სანთლებს დაინთებს“. სიყვარულს ნებისმიერ ასაკში თავისი ხიბლი აქვს. რომანტიკოსი უნდა იყო და ეს ცხოვრება თვითონ უნდა გაილამაზო. გული არასდროს ბერდება. ყოველთვის უნდა გაიღიმო, მაშინაც კი, როდესაც შენი უსაყვარლესი ადამიანი მიდის ცხოვრებიდან. სარკის წინ უნდა უთხრა თავს - რა ლამაზი ხარ, ცხოვრება მშვენიერია! ხშირად გამიკეთებია ასე. ამ ქვეყანაზე ერთხელ მოვდივართ!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N35 (285) ორშაბათი, 8 სექტემბერი 2014 წ.
ყოველკვირეული გაზეთი
ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge

შვიდწლიანი პაუზის შემდეგ ცუცა კაპანაძე სამშობლოს დაუბრუნდა

სოფო ჭყონია მოდის კვირეულს აკეთებს

„მასშტაბური და საკმაოდ მრავალფეროვანი იქნება, ბევრი საინტერესო სტუმრით“

EXCLUSIVE

უნივერსიტეტში წმინდა მღვდელმონამე არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის მემორიალური დაფა იხსნება

ილია ფერაძე: „მთელი თავისი ემიგრაციაში ცხოვრების მანძილზე სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდა“

„თავისუფალი სექტორი“ - მაგდა ანიკაშვილი ეკრანს უბრუნდება

ISSN 1987-7404
9 771987 740005

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება